

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა

ნინო მიქელაძე

**ფისკალური კონსოლიდაციის მოსალოდნელი მაკროეკონომიკური
ეფექტების რეგულირება საქართველოში**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

ფისკალური კონსოლიდაციისა და მისგან მომდინარე მაკროეკონომიკური ეფექტების ანალიზი მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი კრიზისებისა და რეცესიების შემდეგ, როდესაც საჭირო ხდება ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირება. საქართველოსთვის ფისკალური კონსოლიდაციის მოსალოდნელი ეფექტები ჯეროვნად არ არის გამოკვლეული და საჭიროებს მეტ ანალიზს, ხარჯებისა და შემოსავლების მიმართულებით რომელი ინსტრუმენტის გამოყენებას ექნება უკეთესი მაკროეკონომიკური ეფექტები.

სადისერტაციო კვლევის მიზნებია: ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ეკონომიკაზე გავლენის გაანალიზება, ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის ანალიზი და სხვადასხვა ალტერნატივის გავლენის შესწავლა როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე - ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია ხარისხობრივი გაუმჯობესების მიღწევისთვის საჭირო ინსტრუმენტის შერჩევა, რაც ინკლუზიურ ზრდას განაპირობებს და ასევე სხვადასხვა ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადზე შესაძლო ეფექტების შეფასება ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკულ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსთვის ინკლუზიურ ზრდაზე მოქმედი ფისკალური ინსტრუმენტების განსაზღვრა, ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის გაანალიზება, ასევე - ხარჯებისა და გადასახადების ინსტრუმენტების გამოყენებით ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად მაკროეკონომიკურ ცვლადებზე გავლენის განსაზღვრა და ერთმანეთთან შედარება.

Abstract

The analysis of fiscal consolidation and its macroeconomic effects is of critical importance, particularly in the aftermath of economic crises and recessions, when governments face the urgent need to reduce budget deficits and public debt. In the case of Georgia, the anticipated macroeconomic consequences of fiscal consolidation remain insufficiently explored. In particular, there is a pressing need for empirical analysis to determine which fiscal instruments—on both the expenditure and revenue sides—are most effective in fostering desirable macroeconomic outcomes.

The primary objectives of this dissertation are to examine the economic impacts of various instruments employed in the implementation of fiscal consolidation, to analyze the concept and conditions under which expansionary fiscal consolidation may occur, and to assess the effects of different fiscal instruments on economic growth, key budgetary indicators, and broader macroeconomic variables. Furthermore, the research seeks to identify policy instruments capable of promoting qualitative improvements that support inclusive economic growth. A key component of the analysis involves evaluating the potential effects of different fiscal policy tools on selected macroeconomic indicators.

The practical contribution of this dissertation lies in identifying fiscal instruments that can support inclusive growth in the context of Georgia, analyzing the expansionary fiscal consolidation, and comparing the differential impacts of expenditure- and revenue-based consolidation strategies on key macroeconomic variables.

შინაარსი

შესავალი.....	x
თავი I - ფისკალური პოლიტიკის არსი და განხორციელების ძირითადი მიმართულებები	1
1.1 ფისკალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები.....	1
1.2 ფისკალური მულტიპლიკატორების არსი და გავლენა ეკონომიკაზე.....	24
1.3 ფისკალურ კონსოლიდაციასთან დაკავშირებული გამოწვევები.....	31
1.3.1 ფისკალური კონსოლიდაციის განსაზღვრება და ძირითადი მიმართულებები.....	31
1.3.2 ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები.....	39
თავი II - ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია და მისი გავლენა ბიუჯეტის მაჩვენებლებზე	46
2.1 ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია საქართველოში	46
2.1.1 ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის არსი და კრიტერიუმები.....	53
2.1.2 ექსპანსიური კონსოლიდაციის განხორციელების პერიოდი საქართველოში.....	57
2.2 ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე	76
2.2.1 ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების კომპოზიციის ცვლილების განსხვავებული შედეგები.....	81
2.2.2 ხარჯების კომპოზიციის ცვლილების შესაძლო გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ბიუჯეტის მაჩვენებლებზე	84
2.3 ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე	90
თავი III - ფისკალური კონსოლიდაციის მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში	103
3.1 ფისკალური პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში.....	103
3.2 კონსოლიდაციის განხორციელების შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში	124
3.2.1 კვლევის მეთოდოლოგია	126
3.2.2 ხარჯების შემცირებითა და შემოსავლების ზრდით გამოწვეული მაკროეკონომიკური ეფექტები.....	144
3.3 მაკროეკონომიკური ეფექტების რეგულირება	159
დასკვნები და რეკომენდაციები.....	164
გამოყენებული ლიტერატურა.....	170
დანართი 1 - საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორების საშუალო შეწონილი ეკონომიკური ზრდის გამოთვლა.....	186
დანართი 2 - შემოსავლებისა და დანახარჯების ელასტიკურობების გამოთვლა	192
დანართი 3 - სტატისტიკური მონაცემები, რაც გამოყენებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გამოსათვლელად:	200

დანართი 4 - ანალიზში გამოყენებული ეგზოგენური ცვლადები და მათი გამოთვლა.....	201
დანართი 5 - მოდელების ვერიფიკაციისთვის ჩატარებული ტესტები	203

გრაფიკები

გრაფიკი 1: ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის განსაზღვრა	4
გრაფიკი 2: ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები	25
გრაფიკი 3: არმი-რანის მრუდი	27
გრაფიკი 4: ბიუჯეტის დეფიციტი, %-ულად GDP-სთან.....	41
გრაფიკი 5: მთავრობის ვალი, %-ულად GDP-სთან.....	41
გრაფიკი 6: ფისკალური კონსოლიდაციის ინტენსივობა საქართველოში.....	48
გრაფიკი 7: ფისკალური ბალანსის ტენდენცია (%-ულად GDP-სთან)	50
გრაფიკი 8: ბიუჯეტის შემოსავლები (%-ულად GDP-სთან).....	51
გრაფიკი 9: საქართველოსა და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ეკონომიკური ზრდა.....	55
გრაფიკი 10: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები საქართველოსთვის, %-ულად GDP-სთან.....	57
გრაფიკი 11: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში	86
გრაფიკი 12: პირდაპირი გადასახადების ზრდით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე.....	100
გრაფიკი 13: არაპირდაპირი გადასახადების ზრდით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე.....	100
გრაფიკი 14: მიმდინარე ხარჯების შემცირებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე.....	101
გრაფიკი 15: კაპიტალური ხარჯების შემცირებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე.....	101
გრაფიკი 16: ბიუჯეტის შემოსავლები 2024 წელს	106
გრაფიკი 17: პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი GDP-სთან	109
გრაფიკი 18: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების განაწილება 2024 წელს (%-ულად GDP-სთან და %-ულად მთლიან საგადასახადო შემოსავლებში).....	109
გრაფიკი 19: გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების კონტრიბუცია, წლების მიხედვით ..	113
გრაფიკი 20: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი GDP-ში, წლების მიხედვით	114
გრაფიკი 21: ხარჯების ცვლილების დეკომპოზიცია	115
გრაფიკი 22: ხარჯების დეკომპოზიცია, პროცენტულად მთლიან ხარჯებში	115
გრაფიკი 23: ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო	117
გრაფიკი 24: მთავრობის ზომა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის	118
გრაფიკი 25: ბიუჯეტის დანახარჯები და მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე საქართველოში	118
გრაფიკი 26: ბიუჯეტის დანახარჯებისა და მოსახლეობის 1 სულზე GDP-ის დამოკიდებულება ზოგიერთ ქვეყანაში.....	119
გრაფიკი 27: მთავრობის ზომა და ეკონომიკური ზრდა საქართველოში.....	120
გრაფიკი 28: მთავრობის ვალის დეკომპოზიცია, %-ულად GDP-სთან	121
გრაფიკი 29: ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო ეფექტების თეორიული ჩარჩო.....	124
გრაფიკი 30: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის წარმოდგენილი ვარიაციის დეკომპოზიცია	151
გრაფიკი 31: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური შოკების GDP-ზე გავლენა	152

გრაფიკი 32: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური შოკების კერძო მოხმარებაზე გავლენა.....	155
გრაფიკი 33: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური შოკების ექსპორტსა და იმპორტზე გავლენა	157
გრაფიკი 34: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური შოკების ინფლაციასა და reer-ზე გავლენა	158

ცხრილები

ცხრილი 1: ფისკალური პოლიტიკის როლი სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის მიხედვით	21
ცხრილი 2: ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება.....	37
ცხრილი 3: ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია.....	52
ცხრილი 4: საქართველოსა და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ეკონომიკური ზრდები	56
ცხრილი 5: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირება ფისკალური კონსოლიდაციისას .	59
ცხრილი 6: „მკაცრი ეპიზოდის“ წლები საქართველოსთვის.....	61
ცხრილი 7: აგებული რეგრესიები შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის.....	65
ცხრილი 8: ავტოკორელაციის LM ტესტი	66
ცხრილი 9: მოდელი პირველი რიგის სხვაობით.....	68
ცხრილი 10: ავტოკორელაციის LM ტესტი	68
ცხრილი 11: რეზიდუალების დიაგნოსტიკა კორელოგრამით.....	69
ცხრილი 12: რეგრესია ავტორეგრესიული ნაწილით.....	70
ცხრილი 13: ავტოკორელაციის LM ტესტი	72
ცხრილი 14: რეგრესიების საბოლოო შედეგები	73
ცხრილი 15: ფისკალური კონსოლიდაციის ძირითადი მახასიათებლების ცვლილება.....	87
ცხრილი 16: დეფიციტის შემცირებისას მხოლოდ მიმდინარე ხარჯების, მხოლოდ კაპიტალური ხარჯების, და მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირების წლები, შემოსავლების ზრდასთან ერთად.....	89
ცხრილი 17: ფისკალური კონსოლიდაციის ძირითადი მახასიათებლები (შერჩეული წლებისთვის).....	89
ცხრილი 18: ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე	92
ცხრილი 19: ჰიპოთეზები და მიღებული შედეგები.....	99
ცხრილი 20: საბიუჯეტო პროცესი.....	103
ცხრილი 21: ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტის ურთიერთკავშირი	104
ცხრილი 22: გადასახადის სახეები დაბეგვრის ობიექტის მიხედვით.....	108
ცხრილი 23: გადასახადის სახეები მათი ბიუჯეტიდან ამოღების დონის მიხედვით	110
ცხრილი 24: მოქმედი გადასახადები საქართველოში	113
ცხრილი 25: ფისკალური წესები საქართველოში	122
ცხრილი 26: ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ეკონომიკაზე.....	126
ცხრილი 27: ანალიზში გამოყენებული ცვლადები და მათი შესაბამისი აღნიშვნები მოდელში .	129

ცხრილი 28: ინფორმაცია ანალიზში გამოყენებულ (რეალურ) ცვლადებზე.....	135
ცხრილი 29: ერთეულოვანი ფესვის ტესტი	138
ცხრილი 30: კოინტეგრაციის ტესტი სხვადასხვა შერჩეული ცვლადისთვის	140
ცხრილი 31: ერთეულოვანი ფესვის ტესტი გალოგარიტმებულ ცვლადებზე	142
ცხრილი 32: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ლაგების შერჩევა	144
ცხრილი 33: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ავტოკორელაციის შემოწმება.....	145
ცხრილი 34: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ერთეულოვანი ფესვის შებრუნებული მაჩვენებლის შემოწმება.....	146
ცხრილი 35: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ნარჩენობითი წევრების ნორმალურობის ტესტი.....	147
ცხრილი 36: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ჰეტეროსკედასტურობის ტესტი.....	149
ცხრილი 37: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ნარჩენობითი წევრების კორელაციის მატრიცა	150

აბრევიატურები

ააიპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დღგ	დამატებული ღირებულების გადასახადი
BDD	Basic Data and Directions ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი
BVAR	Bayesian Vector Autoregressive ბაიეზიანური ვექტორული ავტორეგრესია
DSGE	Dynamic Stochastic General Equilibrium დინამიკურ სტოქასტური საერთო წონასწორობა
FAVAR	Factor Augmented Vector Autoregression ფაქტორებით გაფართოებული ვექტორ ავტორეგრესიული მოდელი
GDP	Gross Domestic Product მთლიანი სამამულო პროდუქტი
GMM	Generalized Method of Moments მომენტების განზოგადებული მეთოდი
IMF	International Monetary Fund საერთაშორისო სავალუტო ფონდი
OECD	Organisation for Economic Cooperation and Development ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PPP	Purchasing Power Parity მსყიდველობითუნარიანი პარიტეტი
SVAR	Structural Vector Autoregressive სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესია
VAR	Vector Autoregressive ვექტორული ავტორეგრესია
VECM	Vector Error Correction Model ვექტორული ცდომილების კორექციის მოდელი
WB	World Bank მსოფლიო ბანკი
ZLB	Zero Lower Bound დაბალი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

შესავალი

თემის აქტუალობა

ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი განმხორციელებელი ნაწილია, რასაც, მონეტარული პოლიტიკისგან განსხვავებით, შესაძლოა მყისიერი შედეგი არ ჰქონდეს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის გატარებისას ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე გავლენა უნდა შეფასდეს როგორც მოკლევადიანი, ასევე - საშუალოვადიანი პერიოდისთვისაც.

ფისკალური პოლიტიკა, რომლის განხორციელებაც ფინანსთა სამინისტროს მიერ ხდება, შეიძლება განხორციელდეს გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების ცვლილების გზით. სწორი ფისკალური პოლიტიკის განხორციელება კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ მსოფლიოს კრიზისების შემდეგ მუდმივად უდგას სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საჭიროება. ფისკალური პოლიტიკა შესაძლოა იყოს ექსპანსიური ან შემზღუდველი, სადაც პირველი მათგანი გულისხმობს ხარჯების ზრდასა და შემოსავლების შემცირების ღონისძიებების გატარებას, ხოლო შემზღუდველი ანუ გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას უზრუნველყოფს. ამასთან, ფისკალური პოლიტიკა არსებობს კონტრციკლური ანუ ანტიციკლური და პროციკლური, სადაც პირველი მათგანი გულისხმობს ციკლების საპირისპირო მიმართულებით მოძრაობას, რაც ეკონომიკური გაუმჯობესებისა და ბუმის დროს გამკაცრებული პოლიტიკის გატარების საჭიროებას გულისხმობს, ხოლო კრიზისისა და რეცესიის დროს კი ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებას. პროციკლური ფისკალური პოლიტიკის დროს კი გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა იწვევს მაღალ ხარჯებსა და დაბალ გადასახადებს ანუ ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ უმჯობესია, როდესაც ფისკალური პოლიტიკა არის კონტრციკლური, რაც რეცესიის

დროს ფისკალურ სტიმულებს, ხოლო ბუმის დროს ფისკალურ კონსოლიდაციას გულისხმობს.

თანმიმდევრული ფისკალური პოლიტიკის განხორციელებასა და ფისკალურ კონსოლიდაციასთან¹ დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა მეტად აქტუალურია, განსაკუთრებით კი თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც ბუმის შემდგომ საჭირო ხდება ეკონომიკური აქტივობის დასტაბილურება. ამასთან, უფრო მნიშვნელოვან და ყურადსაღებ ეპიზოდს წარმოადგენს კრიზისების შემდგომი პერიოდი, როდესაც საჭიროა ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება ფისკალური დეფიციტის ზღვრულ ნორმებში დასაბრუნებლად და ეკონომიკური მაჩვენებლების დასტაბილურებისთვის (ბედიანაშვილი და სხვები, 2024). ფისკალური კონსოლიდაცია კი ეკონომიკური პოლიტიკის ის მიმართულებაა, რაც როგორც საქართველოსთვის, ასევე - სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის ხშირად არის რეკომენდირებული. ამასთან დაკავშირებით როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ისე სარეიტინგო კომპანიებიც (Fitch, Moody's, S&P) ხაზს უსვამენ აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების საჭიროებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა მიმართულებებით ხასიათდება ფისკალური პოლიტიკა და რა როლი აქვს ფისკალურ კონსოლიდაციას ეკონომიკურ განვითარებასა და მდგრადობაზე.

საქართველოსთვის ფისკალური კონსოლიდაციისა და მისი მაკროეკონომიკური ეფექტების შესახებ თემის კვლევა ჯერ კიდევ სიახლეა, რადგან ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია 1995 წლიდან². კონსოლიდაციის კუთხით ფისკალურ პოლიტიკაში არსებულ ცვლილებებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით ანალიზი ბოლო წლებში დაიწყო აქტიურად, რაც ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი შედეგების შესახებ მსჯელობასაც გულისხმობს. ასევე აღსანიშნავია, რომ

¹ ფისკალური კონსოლიდაცია გულისხმობს გამკაცრებულ ფისკალურ პოლიტიკას, როდესაც სახელმწიფო ეკონომიკიდან უფრო მეტ რესურსს იღებს (გადასახადების სახით), ვიდრე - აბრუნებს (ხარჯები). აღნიშნულ ტერმინს იყენებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი ფისკალური კორექტირების განსაზღვრის მიზნით. იხ: <https://www.imf.org/external/np/pp/eng/2010/020410a.pdf> (IMF, 2010).

² ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია 2002 წლიდან არსებული მონაცემები, იხ: https://www.mof.ge/saxelmwifo/finansebis_statistika.

ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით³, ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან სამამულო პროდუქტთან არ უნდა აღემატებოდეს 3 პროცენტს, ხოლო მთავრობის ვალის შეფარდება კი არ უნდა აღემატებოდეს 60 პროცენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიზისებისა და ეკონომიკური შოკების გამო საჭიროა ფისკალური კონსოლიდაცია და მისი განხორციელების სხვადასხვა გზის შესახებ მსჯელობა. ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაზრდილია ამის საჭიროება და შესაბამისად, თემის აქტუალობაც. ამასთან, ცვალებადი ეკონომიკური გარემოს გამო მნიშვნელოვანია წინასწარ იყოს განსაზღვრული განსახორციელებელი ფისკალური ღონისძიებების მოსალოდნელი ეფექტები ეკონომიკაზე და მის ელემენტებზე, ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტები კი არაჯეროვნად არის გამოკვლეული და აჩენს სიღრმისეული კვლევის ჩატარების საჭიროებასა და სივრცეს, რის მიხედვითაც შესაძლებელია ეფექტების რეგულირება და ეკონომიკაზე მორგებული ინსტრუმენტის შერჩევა კონსოლიდაციის განსახორციელებლად.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ფისკალური პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების გავლენა და მისი თავისებურებები. გამოავლინოს, როგორ მოქმედებს სხვადასხვა ინსტრუმენტი საქართველოს ეკონომიკაზე ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას და შეადაროს სხვადასხვა ალტერნატივა საქართველოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას. ნაშრომის მიზანს ასევე წარმოადგენს ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების სხვადასხვა ალტერნატიული გზისა და მათი გავლენის შესწავლა ეკონომიკურ ზრდაზე, ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებსა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კვლევა მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს, თუ საქართველოსთვის ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას რომელი ინსტრუმენტის გამოყენებამ შეიძლება უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდა როგორც რაოდენობრივად, ასევე - მოახდინოს ხარისხობრივი გაუმჯობესება. შესაბამისად, შეისწავლოს ფისკალური კონსოლიდაციის ინსტრუმენტების გავლენა

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3>.

ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, ნაშრომის მიზანია კონსოლიდაციის შესაძლო ეფექტების რეგულირების პროცესში ყველაზე მიზანშეწონილი ინსტრუმენტის გამოვლენა, ეკონომიკის სპეციფიკაციიდან გამომდინარე.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, **ნაშრომის ამოცანებია:**

- ეკონომიკურ მდგომარეობაზე ფისკალური კონსოლიდაციის როლთან დაკავშირებით არსებული თავისებურებების განხილვა სხვადასხვა თეორიის მიხედვით;
- იმ ძირითადი გამომწვევი მიზეზების ჩამოყალიბება, რაც იწვევს ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროებას;
- ფისკალური კონსოლიდაციის ძირითადი კრიტერიუმების განხილვა;
- შესაბამისი პერიოდის გამოვლენა საქართველოსთვის, როდესაც ფისკალური კონსოლიდაცია ექსპანსიურ პოლიტიკას გულისხმობს;
- ხარჯების შემცირების კუთხით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის ანალიზი და იმის განსაზღვრა, თუ ქვეყნის ეკონომიკისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ხარჯების კომპოზიცია და კონცენტრირება მიმდინარე ან კაპიტალური ხარჯების შემცირებაზე;
- ექსპანსიურ ფისკალურ კონსოლიდაციასთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა მიდგომის მიმოხილვა;
- ეკონომიკური სტიმულების მისაღწევად კონსოლიდაციის შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა;
- ფისკალური კონსოლიდაციის ეკონომიკური ეფექტების გამოვლენა, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასთან და ბიუჯეტის მაჩვენებლებთან მიმართებაში;
- თეორიული მოდელების მიმოხილვა და ეკონომიკაზე ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო გავლენების განსაზღვრა საქართველოსთვის;

- მოსალოდნელი მაკროეკონომიკური ეფექტების რეგულირება ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- რეკომენდაციების შემუშავება: კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება ფისკალური პოლიტიკის გამტარებლობისთვის, თუ რომელი ღონისძიებების მეშვეობით არის შესაძლებელი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების პარალელურად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ასევე, რომელი ფისკალური ინსტრუმენტის გამოყენება არის მიზანშეწონილი ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის, რაც ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაში აისახება. სხვადასხვა მაკროეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით, რომელი ინსტრუმენტის გამოყენებაა უმჯობესი საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკაციების გათვალისწინებით, ეკონომიკური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

კვლევის საგანი და ობიექტი

ნაშრომის კვლევის საგანია გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკის გავლენის კვლევა ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე. კვლევის ობიექტი კი არის ფისკალური პოლიტიკა და მისი განხორციელებისას გამოყენებული ინსტრუმენტები, უფრო კონკრეტულად კი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას გამოყენებული ინსტრუმენტები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სადისერტაციო ნაშრომში სხვადასხვა ეკონომისტის ნაშრომებია განხილული და გამოყენებული, მათ შორის: Afonso&Sousa (2010), Ardanaz et al. (2021), Blanchard&Perotti (2002), Calderon&Serven (2004), Karagöz& Keskin (2016), Martinez-Aguilar (2017), Martinez-Vazquez (2012), Mawejje et al. (2021), Oseni (2023), Yang (2015). გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ეკონომიკაზე გავლენის შესწავლის თვალსაზრისით, ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც განიხილავენ ფისკალური პოლიტიკის განსხვავებულ შედეგებს ეკონომიკასა და სხვადასხვა ეკონომიკურ ინდიკატორზე. ამ საკითხებზე მუშაობის თვალსაზრისით გამოყენებული

ნაშრომების ქართულ ავტორთა შორის აღსანიშნავია: მიქიაშვილი (2023), ტაბაღუა (2016), ტაბაღუა (2023), ჩიხლაძე და რუსაძე (2019), Grigolia (2019), Tabaghua (2017).

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა ქართული და უცხოური ავტორების თეორიულ და ემპირიულ ნაშრომებს. ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშები და პერიოდული გამოცემები, სადაც ასევე გაანალიზებულია ფისკალური პოლიტიკის შედეგები ეკონომიკაზე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით. ნაშრომის კვლევაში ასევე გამოყენებულია ეკონომიკური პოლიტიკის განმახორციელებელი სხვადასხვა უწყებისა და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კვლევითი ნაშრომები.

კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის სტატიები და სამეცნიერო პუბლიკაციები. ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზის შედეგები წარმოდგენილია სხვადასხვა მონაცემთა ბაზაში არსებული ლიტერატურებიდან. აღნიშნული ლიტერატურებია პუბლიკაციები და სტატიები, რაც დაკავშირებულია ფისკალური პოლიტიკის განხორციელებასა და ფისკალური კონსოლიდაციის როლთან ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებაში.

აღწერითი ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით და ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, ცხადი გახდა, რომ ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ და გავაანალიზოთ ქვეყნის ფისკალური მდგომარეობა, ასევე ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებამდე შეფასდეს სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში მისაღები შესაძლო შედეგები ეკონომიკურ განვითარებაზე.

რაც შეეხება გამოყენებულ კვლევის მეთოდებსა და მოდელებს, იგი მოიცავს რაოდენობრივ ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენასა და სტრუქტურირებას, რასაც ეფუძნება კვლევის რაოდენობრივი შეფასება და რის მეშვეობითაც დგინდება ფისკალური კონსოლიდაციის სხვადასხვა ეტაპი და მისგან

მიღებული შედეგები ეკონომიკის გარკვეულ მაჩვენებლებზე. ამასთან, ნაშრომის აღნიშნული ნაწილი ითვალისწინებს ეკონომეტრიკული მოდელ(ებ)ის მიმოხილვასა და ანალიზს, ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდების გამოყენებას, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორზე და ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. აღნიშნული მეთოდების გამოყენებამ საშუალება მოგვცა, აგვეხსნა გადასახადებისა და ხარჯების სხვადასხვა მიმართულების ცვლილების გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანაბრობაზე. ამასთან, სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორზე ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო გავლენების სანახავად გამოყენებულია შემდეგი ეკონომეტრიკული მოდელები: ვექტორ ავტორეგრესიული (Vector Auto-Regression – VAR) მოდელი, რომელიც მეტად მოქნილობით გამოირჩევა. ზოგიერთი ანალიზის დროს ასევე გამოყენებულია ბაიზიანური ვექტორ ავტორეგრესიული (Bayesian Vector Auto-Regression – BVAR) მოდელი, რაც მონაცემთა შედარებით მცირე რაოდენობაზე მუშაობისას ერთ-ერთ ყველაზე უპირატეს გადაწყვეტილებად მიიჩნევა. ხოლო იმ შემთხვევაში კი, სადაც BVAR მოდელი ვერ მუშაობდა, გამოყენებულია ვექტორული ცდომილების კორექციის (Vector Error Correction Model - VECM) მოდელი, თუ არსებობდა კონტეგრაცია ცვლადებს შორის.

კვლევის მეცნიერული სიახლე

კვლევის პროცესში ფისკალური კონსოლიდაციის სხვადასხვა ინსტრუმენტის ეკონომიკურ ზრდაზე შესაძლო გავლენის საილუსტრაციოდ, განვსაზღვრეთ ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის წლები და ამის მიხედვით გავაანალიზეთ შედეგები. ხოლო იმის სანახავად, თუ ფისკალური კონსოლიდაციის რომელი ღონისძიება იწვევს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ავაგეთ შესაბამისი მოდელი და შედეგების ინტერპრეტაცია მოვახდინეთ. რაც შეეხება კონსოლიდაციის გავლენას სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე, ეს საკითხი ჯერ ისევ სუსტად არის წარმოდგენილი ლიტერატურაში და საჭიროებს დამატებით კვლევებს კონსოლიდაციის შესაძლო ეფექტებისა და მისი მიმართულებების რეგულირების თვალსაზრისით. შესაძლო

ეფექტების სანახავად გამოვიყენეთ ეკონომეტრიკული ვექტორ ავტორეგრესიული (VAR) მოდელი და ისე ვაჩვენეთ შედეგები, თეორიული ჩარჩოს დახმარებით. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტებისა და ინკლუზიურ ზრდაზე გავლენის შესახებ არსებული კვლევებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენება და გაანალიზება საქართველოსთვის, უახლესი მონაცემების გათვალისწინებით.

შესაბამისად, კვლევის სამეცნიერო ღირებულება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის ძირითადი კრიტერიუმების საფუძველზე საქართველოსთვის შესაბამისი წლების გამოვლენა;
- ხარჯვითი კომპონენტების ცვლილების გავლენის განსაზღვრა ეკონომიკურ მდგომარეობაზე;
- სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომეტრიკული მოდელების დახმარებით მოდელის აგება და არსებული შედეგებით იმის განსაზღვრა, ფისკალური კონსოლიდაციის რომელი ინსტრუმენტის საშუალებით მიიღწევა საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა;
- სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლის გამოვლენა არგუმენტირებული ფისკალური პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ეკონომიკური ზრდისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;
- ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებისას მიღებული შედეგების წარმოდგენა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე გავლენის თვალსაზრისით და მათგან უპირატესი ინსტრუმენტის შერჩევა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა შემდეგ საკითხებში ვლინდება:

- ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება კვლევისას წარმოდგენილი შედეგებით, რაც ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პროცესში არსებული სხვადასხვა მაჩვენებლის გამოყენების დროს შეიძლება იქნას მიღებული;
- სტატისტიკური და ეკონომეტრიკული აპარატის გამოყენებით ფისკალური კონსოლიდაციის ეფექტების წარმოდგენა ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში აისახება;
- ნაშრომში გამოყენებულია მიდგომა, რაც აანალიზებს ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების კრიტერიუმებს და შეისწავლის, რომელ წლებში ფიქსირდება წარმატებული ფისკალური კონსოლიდაცია, რაც ფისკალური დეფიციტის შემცირების პარალელურად ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებასაც გულისხმობს და ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის სახელით მოვიაზრებთ;
- ნაშრომში შემოთავაზებული მოდელი და კონცეფცია შეიძლება გამოყენებული იყოს პრაქტიკაში, ფისკალური პოლიტიკის გატარების წინა პერიოდში, რაც ფისკალური გადაწყვეტილების მიღების წინა ეტაპზე ფისკალური კონსოლიდაციის მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრასა და შერჩეული ინსტრუმენტების დასაბუთებულ ახსნას განაპირობებს;
- ვინაიდან ჯერ კიდევ სრულად და საკმარისად არ არის შესწავლილი ფისკალური კონსოლიდაციის მოსალოდნელი მაკროეკონომიკური ეფექტები, განსაკუთრებით კი ეკონომიკაზე მორგებული ფისკალური კონსოლიდაციის შესაბამისი ინსტრუმენტის შერჩევის მიმართულებით, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, მიმდინარე ნაშრომი მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ მიმართულებით არსებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი გავლენების წარმოჩენას ემსახურება და ცდილობს კვლევითი მიმართულებით არსებული სივრცის შევსებას. კვლევამ აჩვენა, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ხელშემწყობ ინსტრუმენტებს მთავრობის მოხმარების შემცირება და

არაპირდაპირი გადასახადების ზრდა წარმოადგენს, სადაც მთავრობის მოხმარების შემცირების ეფექტი პირველი 2 წლის განმავლობაში ვლინდება, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების შემცირებას ასევე საშუალოვადიან პერიოდშიც აქვს გავლენა ინკლუზიურ ზრდაზე;

- იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოში ფისკალური პოლიტიკა ნაკლებად მოქნილია გადასახადების ცვლილების თვალსაზრისით, ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას, ნაშრომი ზოგიერთი მიმართულებით ანალიზის დროს აქცენტს მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილებაზე აკეთებს, რაც მეტად რეალურს ხდის ზოგად სურათსა და არსებულ პრობლემას;
- ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსთვის არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლო გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და მათი რეგულირება მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, რაც დღემდე არაჯეროვნად არის ლიტერატურაში შეფასებული და სუსტად არის წარმოდგენილი. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ კაპიტალური ხარჯების შემცირება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე უარყოფით გავლენას ახდენს, ხოლო მთავრობის მოხმარების (რაც მიმდინარე ხარჯების ნაწილია) შემცირებამ და დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მონაცემები, მიღებული შედეგები ღირებულია არა მხოლოდ საქართველოს ქრილში, არამედ - საქართველოს ეკონომიკის მსგავსი ტიპის ქვეყნებისთვისაც, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ-საბჭოთა რეგიონის ქვეყნებისთვის. ამასთან, ნაშრომში ხაზგასმულია იმ გასათვალისწინებელი ფაქტორების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საბოლოო შედეგებზე, ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების

პროცესში. ნაშრომში შემოთავაზებულია რეგულირების ძირითადი მიმართულებები და კვლევის შედეგებთან დაკავშირებით გარკვეული ხედვები, რაც გამოსადეგია ფისკალური პოლიტიკის გატარების პროცესში.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. კვლევის შედეგები მოხსენებული იქნა შემდეგ სამეცნიერო კონფერენციებზე: მე-19 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სოციალური მეცნიერებები რეგიონული განვითარებისთვის 2024“ (ლატვია, 2024 წლის ოქტომბერი); მე-6 ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“ (ქუთაისი, 2024 წლის 13 სექტემბერი); მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ (თბილისი, 2023 წლის 3 ნოემბერი); ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია: მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები (თბილისი, 2023 წლის 6 თებერვალი). დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია 11 სამეცნიერო ნაშრომში, რომელთაგან 2 სტატია გამოქვეყნებულია Web of Science-ის რეიტინგულ ჟურნალებში: „Economics Ecology Socium“ და „Entrepreneurship and Sustainability Issues“.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 233 გვერდისგან, რომელიც მოიცავს 3 თავს, 9 ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს, 34 გრაფიკსა და 37 ცხრილს. ნაშრომის სამი თავი შემდეგი შინაარსით არის წარმოდგენილი:

- ნაშრომის პირველი თავი ეხება ფისკალური პოლიტიკის არსს სხვადასხვა თეორიული მიდგომის მიხედვით. განხილულია სხვადასხვა ეკონომიკური სკოლისა და ცნობილი ეკონომისტების მოსაზრებები ეკონომიკურ განვითარებაზე ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ. ამ თავში ასევე გაანალიზებულია მოსაზრებები ფისკალურ კონსოლიდაციასთან დაკავშირებით, ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ასევე განხილულია ფისკალური კონსოლიდაციის რაობა, მისი აუცილებლობა თანამედროვე მსოფლიოში და განხორციელებისას არსებული გამოწვევები. პირველ თავში რაოდენობრივად

არის წარმოდგენილი ფისკალური მულტიპლიკატორების ეკონომიკაზე გავლენა, სხვადასხვა ეკონომისტისა და კვლევითი ნაშრომების ანალიზის შედეგად.

- სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილულია, თუ რას გულისხმობს ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია და როდის შეიძლება ადგილი ჰქონდეს ეკონომიკურ გაუმჯობესებას, ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად. გაანალიზებულია საქართველოს ბიუჯეტის მაჩვენებლები და ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლები საქართველოსთვის. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდისთვის შეფასებულია საქართველოსთვის კონსოლიდაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ბიუჯეტის ძირითად მაჩვენებლებზე, ასევე დახასიათებულია ფისკალური პოლიტიკის ციკლურობა. აღნიშნული თავი ასევე იკვლევს, თუ რა გავლენა აქვს ფისკალურ კონსოლიდაციას ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში, რაც ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენის მდგომარეობის გაუმჯობესებასაც გულისხმობს.
- ნაშრომის მესამე თავი მოიცავს კვლევით მეთოდებსა და მოდელებს, სადაც განხილულია საქართველოში არსებული ფისკალური პოლიტიკა და ცვლილებები საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით და გაანალიზებულია ფისკალური პოლიტიკის გატარების ისტორია. ამის შემდეგ, ნაშრომი იკვლევს ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო გავლენას საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, სადაც შეფასებულია გავლენები ცალკე მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირების, ცალკე კი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გაზრდის შედეგად, სადაც თითოეული მათგანი კიდევ არის ჩაშლილი სხვადასხვა ინსტრუმენტად. მესამე თავში ასევე საუბარია ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების ისეთ გზებზე, რაც მორგებულია საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შემოთავაზებულია რეკომენდაციები, თუ რომელი ინსტრუმენტის განხორციელებაა მეტად ეფექტიანი, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე.

თავი I - ფისკალური პოლიტიკის არსი და განხორციელების ძირითადი მიმართულებები

1.1 ფისკალური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები

ფისკალური პოლიტიკა, რაც მთავრობის გადაწყვეტილებას გულისხმობს ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ, განსხვავებულად არის გაანალიზებული სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის მიერ. თითოეული მიდგომა განსხვავებულად განსაზღვრავს ფისკალური პოლიტიკის როლს, ეფექტიანობასა და ეკონომიკაზე გავლენას. ამ ქვეთავში განსაზღვრულია, თუ როგორც ხსნის ფისკალურ პოლიტიკას სხვადასხვა ეკონომიკური სკოლა, თუმცა მანამდე მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკის, როგორც ტერმინის გამოყენების ისტორიული ასპექტის ნახვა.

„ფისკალური პოლიტიკა“, როგორც ტერმინი, პირველად მე-20 საუკუნის დასაწყისში იქნა გამოყენებული, ჯონ მეინარდ კეინზის მიერ (Keynes, 1936). აღნიშნული ტერმინის ქვეშ მოიაზრებოდა მთავრობის საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკა და აქედან გამომდინარე, მთავრობის ეკონომიკაზე ზემოქმედება. როგორც ქვევით იქნება საუბარი, კეინზიანური ეკონომიკა მთავრობის ეკონომიკაში ჩარევას ემხრობა ეკონომიკური მერყეობების სამართავად, რისთვისაც სწორედ ფისკალური პოლიტიკა გამოიყენება. კეინზიანელებამდე კლასიკური სკოლის წარმომადგენლებიც ანალიზებენ მთავრობის დანახარჯებსა და საგადასახადო პოლიტიკას, თუმცა ისინი ტერმინ „ფისკალურ პოლიტიკას“ არ იყენებდნენ და არც მთავრობის ჩარევას ემხრობოდნენ მერყეობების გამოსასწორებლად.

ფისკალური პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების ერთ-ერთი მიმართულება, მიზნად ისახავს უმუშევრობის შემცირებასა და მოთხოვნის სტიმულირების საშუალებით სრული დასაქმების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნემდე ტერმინი „ფისკალური“ საგადასახადო პოლიტიკასთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან უფრო მეტად ასოცირდებოდა, ვიდრე - მოთხოვნის მართვასთან. ამის

შემდეგ კი ნელ-ნელა დაიწყო მისი გამოყენება ეკონომიკური მსჯელობების პროცესში. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ეკონომისტები უკვე ერთმანეთისგან განასხვავებენ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, სადაც ფისკალური პოლიტიკა საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკების განხორციელებასთან არის დაკავშირებული, ხოლო მონეტარული - ფულის მიწოდებასთან და საპროცენტო განაკვეთებთან.

„ფისკალური პოლიტიკის“ აქტიურად გამოყენება ეკონომისტებმა უკვე მაშინ დაიწყო, როდესაც საჭირო გახდა მონეტარული და ფისკალური ინსტრუმენტების ერთმანეთისგან გამოჯვანა. კეინზი თავის ნაშრომში (Keynes, 1936) ფისკალურ პოლიტიკაში მოიაზრებს ორი ძირითადი ინსტრუმენტის, გადასახადებისა და ხარჯების ცვლილების შედეგად ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას, ეკონომიკის დასტაბილურებასა და რეცესიის აღმოფხვრას. ავტორს ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტები შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი.

- მთავრობის მიერ დანახარჯების ცვლილებას შეუძლია მოთხოვნის სტიმულირება:
 - ეკონომიკური დაღმავლობის დროს, ძირითადად შემცირებულია კერძო სექტორის მოთხოვნა, რაც უმუშევრობას და რეცესიას იწვევს;
 - მთავრობის მიერ ხარჯების ზრდა აუცილებელია მოთხოვნის სტიმულირებისა და ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებისთვის (კეინზი ეთანხმება დანახარჯების გაზრდას დეფიციტის პირობებშიც კი).
- გადასახადები გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე:
 - გადასახადების შემცირების შედეგად შესაძლოა გაიზარდოს განკარგვადი შემოსავალი და შესაბამისად, მოხმარება;
 - გადასახადების ზრდა იწვევს გადახურების პროცესში არსებული ეკონომიკის დამშვიდებას.

ფისკალური პოლიტიკის, როგორც საბიუჯეტო პოლიტიკის მნიშვნელოვნება კიდევ უფრო გაიზარდა მონეტარული პოლიტიკის მიერ განხორციელებული პოლიტიკის პარალელურად. ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს შესაბამისი პოლიტიკის

განხორციელებას - გამკაცრებას (გადასახადების ზრდას და/ან ხარჯების შემცირებას) და შერბილებას (გადასახადების შემცირებას და/ან ხარჯების ზრდას). ასევე შესაძლოა ფისკალური პოლიტიკა იყოს ნეიტრალური, როდესაც არც გამკაცრებულ და არც შერბილებულ ფისკალურ პოლიტიკას არ აქვს ადგილი.


ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი განმახორციელებელი ნაწილია, რასაც, მონეტარული პოლიტიკისგან განსხვავებით, შესაძლოა მყისიერი შედეგი არ ჰქონდეს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის გატარებისას ძირითად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე გავლენა უნდა შეფასდეს როგორც მოკლევადიანი, ასევე - საშუალოვადიანი პერიოდისთვისაც. აღსანიშნავია, რომ ხშირად დისკუსია სწორედ იმაზე მიდის, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა გრძელვადიან პერიოდში უფრო ხელშესახებია.

კეინზი თავის ნაშრომში (Keynes, 1936) ეთანხმება იმ აზრს, რომ მთავრობა გადასახადებისა თუ ხარჯების ცვლილებით აქტიურად უნდა ცდილობდეს ეკონომიკის დასტაბილიზებას. საუბარი ასევე შეეხება კონტრციკლური ფისკალური პოლიტიკის გატარებას. მართლაც, უმჯობესია, თუ ფისკალური პოლიტიკა არის კონტრციკლური, რაც კრიზისის დროს ექსპანსიური, ხოლო ეკონომიკური გაუმჯობესებისა და ბუმის დროს გამკაცრებული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. მიმდინარე ნაშრომი იმ შემთხვევაზე გააკეთებს აქცენტს, როდესაც ტარდება გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა, რაც ფისკალურ კონსოლიდაციას გულისხმობს. როგორც კეინზი აღნიშნავს, კონტრციკლური პოლიტიკის გატარებისას:

- რეცესიის დროს ადგილი აქვს დეფიციტის გაზრდას, რათა გამოიწვიოს მოთხოვნის სტიმულირება. მაგალითად, როდესაც მცირდება გადასახადები ან იზრდება სახელმწიფო ხარჯები;

- ეკონომიკური ბუმის დროს ადგილი აქვს სიჭარბეს, რაც ხელს უშლის ეკონომიკის გადახურებას. მაგალითად, როდესაც იზრდება გადასახადები ან მცირდება სახელმწიფო ხარჯები.

გრაფიკი 1: ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის განსაზღვრა



წყარო: აგებულია ავტორის მიერ

კეინზის შემდგომ ფისკალური პოლიტიკაზე საუბარი გახშირდა და ამ პოლიტიკასა და ტერმინს ეკონომიკური ციკლების სამართავად იყენებდნენ, რაც შემდგომში ნელ-ნელა დამკვიდრდა სამეცნიერო წრეებსა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის. ეს პერიოდი 1950-1970-იან წლებს გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ მილტონ ფრიდმანი განიხილავდა, რომ ფისკალური პოლიტიკა არ იყო ისეთი ეფექტიანი, როგორც - მონეტარული

პოლიტიკა (Friedman, 1968). ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას მისი ეფექტიანობასთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები კი სხვადასხვა მიზეზით აიხსნებოდა.

ფისკალური პოლიტიკის ნაკლებ ეფექტიანობის შესაძლო მიზეზებს შორის მოიაზრება: ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას არსებული დროითი ლაგი, გამოდევნის ეფექტის არსებობა, პოლიტიკური შეზღუდვები და მონეტარული პოლიტიკის მეტად მოქნილობა.

- ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას არსებული დროითი ლაგი: გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობის მიერ ბიუჯეტის ხარჯვით თუ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება დროს მოითხოვს, ეკონომიკური მერყეობების დროს აღნიშნულმა დროში დაყოვნებამ შესაძლოა შედეგები ნაკლებად ეფექტიანი გახადოს. უფრო მეტიც, შესაძლოა ეკონომიკის აღდგენა უკვე დაწყებულიც იყოს ფისკალური სტიმულის განხორციელებისას და ამან საჭიროზე მეტად მოახდინოს ეკონომიკაზე გავლენა. როგორც ტეილორი აღნიშნავს, ფისკალური სტიმულის დაგვიანებას რეალური ეკონომიკა საპირისპირო მიმართულებით მიჰყავს, რაც ინფლაციის ზრდას იწვევს (Taylor & Weerapana, 2017). აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა არსებული მდგომარეობა ეკონომიკური მაჩვენებლებით იყოს დასაბუთებული, რასაც ასევე გარკვეული დრო სჭირდება, სანამ ეკონომიკური ზრდისა თუ სხვა ეკონომიკური აქტივობის შესახებ არსებული ინდიკატორები გამოქვეყნდება. მაგალითად, კოვიდ-19 პანდემიის დროს საქართველოს ბიუჯეტში საგადასახადო და ხარჯვით კომპონენტებში ცვლილების საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა ბიუჯეტის კანონის ცვლილება⁴, რასაც, თავის მხრივ, გარკვეული პროცედურები ჰქონდა და

⁴ ინფორმაცია თითოეულ წელს არსებული ბიუჯეტის კანონპროექტების, კანონებისა და მათში ცვლილების შეტანის შესახებ მოცემულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ამოქმედებასთან შედარებით მეტ დროს მოითხოვდა;

- გამოდევნის ეფექტის არსებობა: აღნიშნული მიზეზი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც მთავრობა ეკონომიკის სტიმულირების მიზნით ზრდის ხარჯებს, რაც მეტი ვალის აღებას გულისხმობს. მაღალი ვალი, თავის მხრივ, საპროცენტო განაკვეთების ზრდამი შეიძლება აისახოს, რაც მოსახლეობას უბიძგებს მოხმარების შემცირებისკენ, სამომავლოდ გადასახადების ზრდის შემთხვევაში დანაზოგის განხორციელების მიზნით (Barro, 1974). ეს ყოველივე კი ამცირებს კერძო ინვესტირების განხორციელების შესაძლებლობას, იწვევს გამოდევნის ეფექტს და ხელს უშლის ფისკალური პოლიტიკის თავდაპირველი მიზნის მიღწევას - ეკონომიკის სტიმულირებასა და მოთხოვნის გაზრდას;
- პოლიტიკური შეზღუდვები: ფისკალური ეფექტიანობის ანალიზისას გასათვალისწინებელია პოლიტიკური ფაქტორიც, უფრო კონკრეტულად კი პოლიტიკური ციკლები, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების ცვლილების ტენდენცია დამოკიდებული იყოს არა მხოლოდ ეკონომიკური ციკლების მიმართულებაზე, არამედ - საარჩევნო პერიოდზე. როგორც ცნობილია, ხშირად მთავრობა სახელმწიფო ხარჯებს სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში ზრდის, თუმცა ნაკლებად ცდილობენ გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რაც გადასახადების ზრდასა და ხარჯების შემცირებაში აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისების შემდეგ ქვეყნები დგანან მთავრობის გაზრდილი ვალისა და ბიუჯეტის დეფიციტის წინაშე, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის გატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მეტად რთულია, რაც გარკვეულწილად პოლიტიკური სასურველობიდან გამომდინარეობს და არა ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან;
- მონეტარული პოლიტიკის მეტად მოქნილობა: ეს ფაქტორი გულისხმობს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების შეფასებას სხვადასხვა ასპექტში.

მაგალითად, მონეტარული პოლიტიკის ზოგიერთი ინსტრუმენტის გამოყენება უფრო სწრაფად შეიძლება მოხდეს დროში, ვიდრე - ფისკალური პოლიტიკის მიერ გადასახადის ან ხარჯის ცვლილება. მონეტარული პოლიტიკა უფრო მეტი სიხშირით ცვლის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რისთვისაც ნაკლები ბიუროკრატია სჭირდება, მაშინ როცა ფისკალურ პოლიტიკას ხარჯების ან გადასახადების ცვლილებისთვის ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანა და პარლამენტის მიერ მისი დამტკიცება სჭირდება, რაც გარკვეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული და იწვევს იმ დროითი ლაგის არსებობას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამასთან, მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც დამოუკიდებელ ინსტიტუტად არის მიჩნეული და ნაკლებად შეიძლება შეეხოს პოლიტიკური ფაქტორი, რაც გადაწყვეტილების მიღებისას მეტ მოქნილობას აძლევს (Taylor, 1993).

ზემოთ აღნიშნული მიზეზების მიუხედავად, ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მისი საჭიროება და აუცილებლობა კრიზისების დროს კიდევ უფრო ვლინდება. ეს იმ მიზეზითაც შეიძლება აიხსნას, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტი ძირითადად უფრო მასშტაბურია და ეკონომიკის სხვადასხვა მონაწილე სუბიექტს უფრო მეტად შეეხება და მისი ეფექტი დროშიც დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს.

ფისკალური პოლიტიკის მეტად ეფექტიანობის შესაძლო მიზეზებს შორის მოიაზრება: პირდაპირი გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე, მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორები, მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობა კრიზისის დროს, განაწილებითი ეფექტის არსებობა, ლიკვიდურობის ხაფანგის არსებობა (განვითარებულ ქვეყნებში).

- პირდაპირი გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე: როგორც კეინზი განმარტავს (Keynes, 1936), ფისკალური პოლიტიკა, უფრო კონკრეტულად კი სახელმწიფო ხარჯების ცვლილება, მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების პროცესში, განსაკუთრებით კი დროის მოკლევადიან

პერიოდში. ამ დროს შემცირებულია კერძო სექტორის მოთხოვნა და სახელმწიფოს ჩარევა აღნიშნული ეფექტის გასანეიტრალებლად ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად არის მიჩნეული. ამასთან, მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკის მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ამცირებს გრძელვადიან პერიოდში მიმდინარე ეკონომიკური ვარდნის გავლენას და ეკონომიკურ ზიანს;

- მაღალი ფისკალური მულტიპლიკატორები: ფისკალური მულტიპლიკატორი აჩვენებს სახელმწიფო ხარჯების ან გადასახადების ცვლილების ეფექტს მთლიან შემოსავალზე. მაღალ ფისკალურ მულტიპლიკატორებს ადგილი აქვთ განსაკუთრებით ეკონომიკური დაღმავლობისა და რეცესიების დროს, სწორედ ამიტომ მიიჩნევა ფისკალური პოლიტიკის განხორციელება მონეტარულ პოლიტიკაზე მეტად ეფექტიანად. რეცესიის დროს, როდესაც მთავრობა ხარჯებს ზრდის, ეს იწვევს ეკონომიკაში მოთხოვნის გაზრდას, რაც, მულტიპლიკატორის ეფექტის საშუალებით, მოხმარებასა და ინვესტიციებს კიდევ გაზრდის. მულტიპლიკატორებთან დაკავშირებით არსებული მიდგომით, რეცესიის დროს უფრო მაღალია ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა, ასევე ფისკალური მულტიპლიკატორი უფრო მაღალია ხარჯვითი კომპონენტის გამოყენებისას და იმ დროს, როდესაც ქვეყანაში კაპიტალის მობილურობა დაბალია;
- მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობა კრიზისის დროს: აღნიშნული საკითხი დამოკიდებულია კრიზისების მიმართ საბანკო სექტორისა და საზოგადოების რეაქციაზე. მაგალითად, ასეთ დროს მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი ხშირად შესუსტებულია და ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ვერ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება მოხმარებისა და ინვესტიციების სტიმულირების მიმართულებით. ამასთან, ამ პერიოდში ხშირად ბანკებიც მეტად ფრთხილები ხდებიან გასესხების დროს, ხოლო გაურკვეველობიდან გამომდინარე მოსახლეობამაც შესაძლოა შეიკავოს თავი სესხის აღებისგან და ხარჯვისგან,

უფრო მეტად დანაზოგებისკენ გადაერთონ, რაც საბოლოოდ მოთხოვნის შესუსტებას გამოიწვევს;

- განაწილებითი ეფექტის არსებობა: მონეტარული პოლიტიკისგან განსხვავებით, ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები შესაძლოა ისე იყოს გამოყენებული, რომ მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენაზე უფრო მეტად იყოს მიმართული, რაც მის ეფექტიანობას გაზრდის, ვინაიდან დაბალშემოსავლიანები, უფრო დიდი ალბათობით, გაზრდიან მოხმარებას გაზრდილი შემოსავლის შედეგად. ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკის მიერ ხშირად გამოყენებული ინსტრუმენტებია უმუშევრობის დახმარება, ინვესტიციები ჯანდაცვასა და განათლებაზე და მიზნობრივი ტრანსფერები (Blanchard, O., & Leigh, D., 2013). შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაბალშემოსავლიან მოსახლეობას მაღალი მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება გააჩნიათ და დამატებული შემოსავლის უფრო მეტ ნაწილს დახარჯავენ, რასაც უფრო დიდი გავლენა ექნება ერთობლივ მოთხოვნაზე;
- ლიკვიდურობის ხაფანგის არსებობს: ლიკვიდურობის ხაფანგი, რაც ძირითადად განვითარებული ქვეყნების პრობლემაა, გულისხმობს ძალიან დაბალ და ფაქტობრივად ნულთან ახლოს მყოფ საპროცენტო განაკვეთებს (ZLB – Zero Lower Bound), რაც ეროვნულ ბანკს უზღუდავს შემდგომი მონეტარული სტიმულის განხორციელების საშუალებას და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა მცირდება. ამ დროს სტიმულირების მიზნით ფულის მიწოდების გაზრდა მეტად ვეღარ შეამცირებს საპროცენტო განაკვეთებს, რაც ლიკვიდურობის ხაფანგს გულისხმობს და მნიშვნელოვანი ხდება ფისკალური პოლიტიკის ჩართვა ეკონომიკის სტიმულირების პროცესში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვნება უფრო მეტად იზრდება სხვადასხვა დროის კრიზისების შედეგად. მაგალითად, ბოლო პერიოდში შეგვიძლია გამოვყოთ მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და კოვიდ-19 პანდემიის პერიოდები, როდესაც საჭირო გახდა მთავრობის დახმარება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, რამაც გაზარდა ფისკალური პოლიტიკის მიერ ეკონომიკაზე

შესაძლო ეფექტების შესახებ ინტერესი (Bedianashvili et al., 2025; Bedianashvili et al., 2024a). აღნიშნული კრიზისების დროს ქვეყნებმა ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულების, მასტიმულირებელი ანუ შერბილებული პოლიტიკის გამოყენება დაიწყეს, რაც გადასახადების შემცირებითა და სამთავრობო ხარჯების ზრდით იყო წარმოდგენილი და ეკონომიკის სტიმულირებას ისახავდა მიზნად.

თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას ფისკალური პოლიტიკის გატარება გულისხმობს გარკვეული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად მთავრობის მიერ ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მენეჯმენტს. აღნიშნულ ეკონომიკურ მიზნებს მიეკუთვნება:

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ზრდა;
- შემოსავლების გადანაწილება და სოციალური უსაფრთხოება;
- მოსახლეობის საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური ციკლების დარეგულირება.

სხვადასხვა ლიტერატურაში დეტალურად არის გაანალიზებული ფისკალური პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე, რაც ძირითადად ეკონომიკურ ზრდაზე გავლენით არის წარმოდგენილი. ასევე აღნიშნული ეფექტები მოცემულია სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის ჭრილში, როგორცაა მოხმარება, ინვესტიციები, ინფლაცია, უმუშევრობა და ა.შ. შესაბამისად, ავტორები მიმოიხილავენ, რამდენად უწყობს ხელს ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდასა თუ სხვადასხვა რაოდენობრივ ეკონომიკურ მაჩვენებელს. ამასთან, ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროში ავტორები იკვლევენ ფისკალური პოლიტიკის ხარისხობრივ გავლენასაც, რაც გულისხმობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე ფისკალური პოლიტიკის გავლენას. კონკრეტულად კი ხდება იმის ანალიზი, იწვევს თუ არა ფისკალური პოლიტიკის გარკვეული ღონისძიებების განხორციელება დადებით ეფექტს მოსახლეობის ყველაზე მეტად მოწყვლად ჯგუფზე, შემოსავლების უთანაბრობასა და გადანაწილებაზე.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკურ აქტივობაზე გავლენა უფრო ხშირად არის გაანალიზებული, ვიდრე - ფისკალური პოლიტიკის გავლენა. თუმცა, ბოლო წლებში ფისკალური პოლიტიკის ეფექტების აქტუალური განხილვა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მხრივ, რაც ნაწილობრივ მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და შემდეგ უკვე კოვიდ-19 პანდემიისგან გამომდინარე ეფექტებით არის გამოწვეული. ამასთან, აღსანიშნავია მონაცემების სიმწირე, რასაც ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ლიტერატურაში, ვინაიდან მონეტარული პოლიტიკის ანალიზისგან განსხვავებით, სადაც ყოველთვიური მონაცემებია ხელმისაწვდომი, ფისკალური პოლიტიკის გავლენის შეფასებისას ზოგიერთი მოდელით შესაძლებელია კვარტალური ფისკალური ცვლადების გამოყენება, უმეტესი მოდელი კი წლიურ მაჩვენებლებს იყენებს.

ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობასა და ეკონომიკაზე გავლენების შესახებ ანალიზი სხვადასხვა თეორიის მიხედვით არის ჩამოყალიბებული და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლა ფისკალური პოლიტიკისა და ეკონომიკის დასტაბილურებისთვის სახელმწიფოს ჩარევის როლს განსხვავებულად წარმოაჩენს. ზოგიერთი ეკონომიკური სკოლა ფისკალურ პოლიტიკას აუცილებელ და საჭირო პოლიტიკად მიიჩნევს, განსაკუთრებით კი ეკონომიკური დაღმავლობისა და მერყეობის დროს. ზოგიერთი სკოლა სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა თუ ხარჯების ცვლილების აუცილებლობას მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობის შემთხვევაში განიხილავს. შესაბამისად, შეგვიძლია გავყვეთ ისტორიულად სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიას და ვნახოთ, რა მიდგომები გააჩნიათ ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკაში ჩარევასთან და ფისკალური პოლიტიკის როლთან დაკავშირებით. თუმცა, ამის გარდა ასევე ყურადღებას გავამახვილებთ, გაანალიზებული ეკონომიკური სკოლების დამოკიდებულებას ფისკალური კონსოლიდაციის გავლენებთან დაკავშირებით და ფისკალური პოლიტიკის ეფექტებს შემოსავლების გადანაწილებასა და უთანაბრობასთან მიმართებაში.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არამხოლოდ ზოგადად ფისკალური პოლიტიკის როლის განსაზღვრა, არამედ უფრო კონკრეტულად,

ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა თუ არის მნიშვნელოვნად შეფასებული სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის მიერ. მაგალითად, რამდენად უწყობს შემოსავლებს შორის უთანაბრობის შემცირებას ფისკალური პოლიტიკა და არის თუ არა ფისკალური კონსოლიდაცია ეფექტიანი ღონისძიება სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის ანალიზი ამ მიმართულებებზე უნდა შეეხოს.

კლასიკური ეკონომიკური სკოლა, რომელიც კეინზიანელებამდე ჩამოყალიბდა, მხარს უჭერს ბაზრის თავისუფლებას, რომ ბაზარი თავისით დარეგულირდება. **ადამ სმიტი და დავიდ რიკარდო** სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას უჭერდნენ მხარს ეკონომიკის უკეთ ფუნქციონირებისთვის. სწორედ ადამ სმიტისგან მოდის ე.წ უხილავი ხელის იდეაც. იგი თავის ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ მხარს უჭერს ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის იდეას, ვინაიდან ბაზარი თავისთავად დარეგულირდება და საზოგადოებრივი კეთილდღეობა გაიზრდება, როდესაც ინდივიდები საკუთარ თავზე იზრუნებენ. კლასიკური ეკონომიკური სკოლისთვის ფისკალური პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში არაეფექტიანად არის მიჩნეული, ვინაიდან ბაზარი მოთხოვნა-მიწოდების შედეგად თავისთავად დაკორექტირდება (Smith, 1937). კლასიკური სკოლის მიდგომაა, რომ მთავრობის ძირითადი როლი საზოგადოებრივი საქონლის მიწოდებით უნდა შემოიფარგლოს.

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები ფისკალური პოლიტიკის შეზღუდულ როლზე საუბრობენ, რაც გულისხმობს ბაზრის წონასწორობის აღდგენას მოთხოვნა-მიწოდების საშუალებით, მთავრობის ჩარევის საჭიროების გარეშე. კლასიკური სკოლის წარმომადგენლები იზიარებენ სეის კანონს (Say's law), რომლის თანახმადაც წარმოება თვითონ ქმნის საკუთარ მოთხოვნას და აქედან გამომდინარე, საჭირო არ ხდება ფისკალური პოლიტიკის ჩარევით მოხდეს მოთხოვნის სტიმულირება. საბოლოოდ კი, მათი აზრით, გრძელვადიანი პერიოდისთვის ეკონომიკა მიმართული იქნება სრული დასაქმების მიმართულებით.

სწორედ კლასიკური სკოლა მიიჩნევს, რომ როდესაც მთავრობა იღებს ვალს ფისკალური დეფიციტის დასაფინანსებლად, ეს იწვევს ე.წ გამოდევნის ეფექტს, რაც გულისხმობს მთავრობის მიერ ვალის აღების შემდგომ საპროცენტო განაკვეთების ზრდას და შესაბამისად, კერძო სექტორის მიერ ინვესტიციების განხორციელების კლებას. შედეგად, აღნიშნული სკოლის წარმომადგენლების აზრით, ფისკალური პოლიტიკის ეფექტი შესაძლოა ნეიტრალური ან საზიანოც კი აღმოჩნდეს ეკონომიკისთვის.

კლასიკური ეკონომისტები ფისკალურ კონსოლიდაციას სასარგებლოდ მიიჩნევენ გრძელვადიან პერიოდში. ერთი მხრივ, მთავრობის ვალის შემცირება იწვევს კერძო სექტორის ინვესტიციების გამოდევნის ეფექტის შეზღუდვას, ხოლო მეორე მხრივ, დეფიციტის შემცირება გულისხმობს ინფლაციური ზეწოლის შეზღუდვას, რაც ეკონომიკური სტაბილურობის გაუმჯობესებასა და რესურსების ეფექტიანად გადანაწილებას უწყობს ხელს.

ავსტრიული ეკონომიკური სკოლა ისეთი ეკონომისტების იდეებზე აღმოცენდა, როგორებიც არიან ლუდვიგ ფონ მიზესი და ფრიდრიხ ჰაიეკი. ისინი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევას მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ და ხაზს უსვამდნენ ინდივიდების მნიშვნელობას, დეცენტრალიზებულად გადაწყვეტილების მიღებას და საბაზრო პროცესებს.

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნავენ მთავრობის მინიმალური ჩარევის საჭიროებას, ვინაიდან ბაზარი თავად დაკორექტირდება და მიაღწევს წონასწორობას, ფისკალური პოლიტიკის ჩარევის გარეშე.

ამასთან, ავსტრიული ეკონომიკური სკოლა ასევე ეწინააღმდეგება ფისკალური დეფიციტისა და მთავრობის ვალის არსებობას. ავსტრიული სკოლის ეკონომისტებს ამის მიზეზად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ვალის აღებით სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება იწვევს ინფლაციასა და ფინანსურ კრიზისებს (Mises, 1949). ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ

ფისკალურმა პოლიტიკამ აქცენტი სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე უფრო მეტად უნდა გააკეთოს, ვინაიდან ეს გამოიწვევს ვალის შემცირებას.

ავსტრიული სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი ფრიდრიხ ჰაიეკი ფისკალური პოლიტიკის როლს არაეფექტიანად მიიჩნევს და თავის ნაშრომში (Hayek, 1944) აღნიშნავს, რომ ფისკალური ჩარევა ხელს უშლის რესურსების ეფექტიან განაწილებას, დამაზიანებელია ეკონომიკისთვის და აფერხებს ბაზრის თავისუფლად ფუნქციონირებას.

ავსტრიული ეკონომიკური სკოლა ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროებას ხედავს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის შედეგად მიღებული გადახრების შესამცირებლად. მაგალითად, გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები რესურსების არაეფექტიან განაწილებას იწვევს, ხოლო ფისკალური კონსოლიდაცია მთავრობის ჩარევის შემცირების გზას წარმოადგენს, რაც გრძელვადიან პერიოდში ბაზრების თავისუფლად ფუნქციონირების საშუალებას იძლევა (Hayek, 1944).

ნეოკლასიკური ეკონომიკის სკოლა (მე-19 საუკუნის 70-იანი წლები) დაფუძნებულია კლასიკურ პრინციპებზე და ხაზს უსვამს რაციონალურ მოლოდინებსა და გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკის სვლას სრული დასაქმებისკენ. ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური აგენტები გადაწყვეტილებებს იღებენ არსებული ინფორმაციის საფუძველზე და სწრაფად რეაგირებენ ეკონომიკაში არსებულ ცვლილებებზე.

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობაზე საუბრისას რიკარდოს ექვივალენტურობის ჰიპოთეზაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლის მიხედვითაც, როდესაც მთავრობა ზრდის სახელმწიფო ხარჯებს და მის დასაფინანსებლად ვალს იღებს, ინდივიდები ელოდებიან, რომ ვალის დასაფინანსებლად გადასახადები გაიზრდება (Palley, 2012). აქედან გამომდინარე, ისინი მეტს დაზოგავენ მიმდინარე პერიოდში და შეამცირებენ ფისკალური პოლიტიკის მასტიმულირებელ ეფექტს.

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა გარკვეულწილად არაეფექტიანად არის მიჩნეული ნეოკლასიკური ეკონომისტებისთვის, ვინაიდან ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტები კომპენსირდება გადასახადის გაზრდის მოლოდინით ან გადაფარვით (Lucas, 1972). აღნიშნული აიხსნება რაციონალური ქცევით და კერძო სექტორში დანაზოგებსა და ინვესტიციებში ცვლილებებს გულისხმობს.

ნეოკლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებიც, კლასიკური ეკონომისტების მსგავსად აღნიშნავენ, რომ მთავრობის სესხება კერძო სექტორის ინვესტიციების გამოდევნის ეფექტს იწვევს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი საპროცენტო განაკვეთების ზრდას იწვევს. *ნეოკლასიკურ თეორიას სერიოზული დარტყმა მიაყენა კეინზიანური თეორიის წარმოშობამ.*

ნეოკლასიკური ეკონომისტები ფისკალურ კონსოლიდაციას გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად მნიშვნელოვან ღონისძიებადაც კი მიიჩნევენ. თუმცა, ასევე აღნიშნავენ მიმდინარე პერიოდში კონსოლიდაციის გამო შემცირებული ხარჯების ან გაზრდილი გადასახადების არაეფექტიანობასაც (Barro, 1974). როგორც ბარო განმარტავს, კეინზიანური მიდგომისგან განსხვავებით, ფისკალური კონსოლიდაცია არ წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის. მიზეზი მდგომარეობს რიკარდოს ექვივალენტურობის თეორიაში, რომლის მიხედვითაც ხარჯების დასაფინანსებლად ვალის აღება აჩენს სამომავლოდ გადასახადების ზრდის მოლოდინს, რაც დღესვე იწვევს ხარჯების შემცირებას და დაზოგვის სტიმულირებას, ეს კი აფერხებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. ეს მიდგომა ასევე მოქმედებს გადასახადების შემცირების დროს, როდესაც მიმდინარე პერიოდის მაღალი ვალი სამომავლოდ გადასახადების კვლავ გაზრდას გამოიწვევს, ამის მოლოდინი კი ერთობლივ მოთხოვნას ამცირებს. აღნიშნულ მოსაზრებას ბარო-რიკარდოს თეორემასაც უწოდებენ (მექვაბიშვილი, 2016).

კეინზიანური ეკონომიკური სკოლა, (1929-1933 წლების მსოფლიო კრიზისის შემდეგ აღმოცენდა, 1970-იანი წლების შუა ხანებამდე) რომელიც **ჯონ მეინარდ კეინზის** მიერ არის ჩამოყალიბებული, ხაზს უსვამს ეკონომიკის სტაბილიზების პროცესში სახელმწიფოს

ჩარევას. კეინზი დაუპირისპირდა კლასიკურ თეორიას. იგი მხარს უჭერდა სახელმწიფოს ჩარევას, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ხარჯების ინსტრუმენტის გამოყენებით ფისკალური პოლიტიკის გატარებას ეკონომიკური აქტივობის კლების დროს, რასაც თან სდევს კერძო სექტორში მოთხოვნის კლება და ზრდის უმუშევრობაზე ზეწოლას, ამ დროს კი მნიშვნელოვანი ხდება ფისკალური პოლიტიკის გატარებით მოთხოვნის სტიმულირება და ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესება (Keynes, 1936).

აღნიშნული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები ფისკალური პოლიტიკის როლს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. მათი აზრით, ფისკალური პოლიტიკა განსაკუთრებით ეფექტიანია დროის მოკლევადიან პერიოდში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკა არაეფექტიანია. ამის მიზეზი ისაა, რომ დასაქმება და გამოშვება ერთობლივ მოთხოვნაზეა დამოკიდებული, განსაკუთრებით კი ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდში, რაზეც ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა და მოთხოვნის სტიმულირება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობას ხშირად ადგილი აქვს ე.წ. ლიკვიდურობის ხაფანგის დროს, როდესაც საპროცენტო განაკვეთები ნულთან ახლოსაა (ZLB) (აღნიშნული მდგომარეობა ძირითადად განვითარებული ქვეყნების პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს და ამ სიტუაციას ადგილი არ აქვს საქართველოში).

კერძო მოხმარებისა და ინვესტიციების შესუსტების დროს მოთხოვნის გასაზრდელად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად სწორედ მთავრობის ხარჯებია მიჩნეული, რაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯების სახით ან სოციალური მომსახურებით (კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები) (Mankiw, 2021). ამასთან, მოხმარების სტიმულირებისთვის ასევე მნიშვნელოვანია გადასახადების შემცირება, განსაკუთრებით კი რეცესიის დროს, ვინაიდან ეს იწვევს მომხმარებლებისთვის განკარგვადი შემოსავლების ზრდას, რაც თავის მხრივ წაახალისებს მოხმარებას. კეინზი აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების დროს დადებითი შედეგის მიღებისას ასევე ითვალისწინებს ფისკალური პოლიტიკის

მულტიპლიკატორების ეფექტებსაც. ამასთან, გასათვალისწინებელია მიღებული ეფექტების დროითი ფაქტორიც.

კეინზიანელები ფისკალური ჩარევის დროს მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკური აქტივობის ფაზას. მაგალითად, გრეგორი მენქიუ განმარტავს, რომ კეინზიანური ეკონომიკური მიდგომით, რეცესიის დროს ფისკალურ კონსოლიდაციაზე მეტად ფისკალური სტიმულია საჭირო, რათა მოთხოვნა გაზარდოს, ხოლო სრული დასაქმების პირობებში, გაზრდილი ინფლაციის თავიდან ასარიდებლად ფისკალური კონსოლიდაცია უფრო სწორ პოლიტიკად არის მიჩნეული (Mankiw, 2021).

მონეტარული ეკონომისტების ძირითადი ყურადღება ფულის მიწოდებისა და ცენტრალური ბანკის როლზეა გამახვილებული, რაც ეკონომიკურ აქტივობაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკა მთავრობის დანახარჯებსა და საგადასახადო პოლიტიკას მოიცავს, ხოლო მონეტარული პოლიტიკის აქცენტი ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიწოდებასა და საპროცენტო განაკვეთების კონტროლზე კეთდება. *მონეტარიზმი მიჩნეულია ნეოკლასიკური მიმდინარეობის ერთ-ერთ სახედ, რომელიც კეინზიანური მოდელის წინააღმდეგი იყო.*

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლებისთვის ფისკალურ პოლიტიკაზე მეტად მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელოვნება. ვინაიდან ეროვნული ბანკის როლია ინფლაციის მართვა, საპროცენტო განაკვეთებზე კონტროლი და ეკონომიკის დასტაბილურება, რაც ფისკალურ პოლიტიკაზე მეტად ეფექტიანად და მოქნილად შეიძლება განახორციელოს (Friedman, 1968). მონეტარისტები ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობას „დროითი ბიჯის“ არსებობას უკავშირებენ, რამაც შესაძლოა ეკონომიკური ციკლის მერყეობები უფრო მეტადაც კი გაზარდოს (მექვაბიშვილი, 2016).

ამასთან, მონეტარისტები ახალი კეინზიანელების მსგავსად აღნიშნავენ, რომ ფისკალური პოლიტიკა მონეტარულზე მეტად ეფექტიანი შეიძლება გახდეს ლიკვიდურობის ხაფანგის პირობებში, როდესაც საპროცენტო განაკვეთები ნულთან

ახლოსაა (ZLB) და მხოლოდ მონეტარული პოლიტიკით ვეღარ განხორციელდება მოთხოვნის სტიმულირება.

ახალი კლასიკური ეკონომიკური სკოლა ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვნებას სკეპტიკურად უყურებს (Lucas, 1972). აღნიშნული სკოლის წარმომადგენლების შეხედულებები ფისკალური პოლიტიკის შესახებ ფორმირებულია რაციონალური მოლოდინებითა და რიკარდოს ექვივალენტობის პრინციპით. ეს გულისხმობს, რომ დეფიციტის დასაფინანსებლად გაწეულ სახელმწიფო ხარჯებს რეალური გავლენა არ აქვს ეკონომიკაზე, ხოლო თუ მთავრობა გაზრდის ვალს, ეს შექმნის სამომავლოდ გადასახადების გაზრდის შესახებ მოლოდინებს, რაც მომხმარებლებს უბიძგებს დღესვე მეტის შენახვისკენ და დააკომპენსირებს მასტიმულირებელ ეფექტს.

შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის როლზე საუბრისას აღნიშნული ეკონომიკური სკოლა ფისკალურ პოლიტიკას არაეფექტიანად მიიჩნევს ეკონომიკის სტიმულირების პროცესში. ეს, თავის მხრივ, ფისკალური პოლიტიკის სტიმულირების პროცესში არსებული დაბალი მულტიპლიკატორებით შეიძლება აიხსნას.

ახალი კლასიკური ეკონომისტები რაციონალური მოლოდინების თეორიას ითვალისწინებენ და განმარტავენ, რომ ფისკალურ კონსოლიდაციას ეკონომიკაზე შეზღუდული გავლენა ექნება, რადგან სამომავლოდ გადასახადის გაზრდის მოლოდინიდან გამომდინარე მოსახლეობა მიმდინარე პერიოდში უკვე შეცვლის ქცევას. საბოლოოდ, ეს გამოიწვევს განხორციელებული ფისკალური პოლიტიკის ეფექტების განეიტრალებას. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობს ასევე რობერტ ბარო თავის ნაშრომში „რაციონალური მოლოდინები და მონეტარული პოლიტიკის როლი“, სადაც ფისკალური კონსოლიდაციისა და ზოგადად, ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობას უსვამს ხაზს, რაციონალური მოლოდინების არსებობის გამო.

პოსტ-კეინზიანური ეკონომისტები ავრცობენ კეინზიანელების იდეას, თუმცა ხაზს უსვამენ გაურკვევლობის, ფინანსური არასტაბილურობის როლსა და ინსტიტუციების მნიშვნელოვნებას ეკონომიკური შედეგების ჩამოყალიბებაში. პოსტ-კეინზიანური

ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ ვალის დინამიკაზე, შემოსავლების გადანაწილებასა და ფინანსურ სისტემაზე.

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობაზე განსაკუთრებით ერთობლივი მოთხოვნის მართვასა და დასტაბილურებაში ხედავენ, როდესაც კერძო სექტორის ინვესტიციები ხშირად არ არის სტაბილური (Davidson, 1991). ამასთან, პოსტ-კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ ფისკალური პოლიტიკა აუცილებლად ინფლაციის გამომწვევი არ არის მოთხოვნის მართვის დროს, ვინაიდან ფული ენდოგენურად, საბანკო სექტორში იქმნება და ფულის მიწოდებით არ არის შეზღუდული.

ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორიენტირად მიჩნეულია შემოსავლების თანაბრად გადანაწილება და უთანაბრობის შემცირება, რაც ეკონომიკის სტაბილურობაზე ახდენს გავლენას.

პოსტ-კეინზიანური ეკონომიკა ფისკალურ კონსოლიდაციას ეკონომიკისთვის საზიანოდაც კი მიიჩნევს, ვინაიდან თუკი მთავრობა ეკონომიკური დაღმავლობისას განახორციელებს ფისკალურ კონსოლიდაციას დეფიციტის შემცირების მიზნით, ამან შესაძლოა კიდევ უფრო გააძლიეროს რეცესიის პროცესი (Davidson, 1991).

ახალი კეინზიანური ეკონომიკური სკოლა კეინზიანურ იდეებზეა დაფუძნებული, თუმცა ასევე ითვალისწინებს მიკროეკონომიკის მიმართულებით არსებული არასრულყოფილი კონკურენციის თემებსა და ხისტი ხელფასებისა და ფასების საკითხებს (Mankiw, 2002). ახალი კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ საბაზრო ეკონომიკაშიც არსებობს სიხისტეები, რაც ეკონომიკის წონასწორობას უშლის ხელს, განსაკუთრებით კი მოკლევადიან პერიოდში.

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები კეინზიანელების მსგავსად აღნიშნავენ ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი უმუშევრობის შემცირების პროცესში, როდესაც ადგილი აქვს ხელფასებისა და ფასების სიხისტეს. ამასთან, კეინზიანელების მსგავსად ისინიც ხაზს უსვამენ სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელობას რეცესიის პერიოდში, მოთხოვნისა და კერძო სექტორის ხარჯების სტიმულირების

მიზნით. ამასთან, ისინი ითვალისწინებენ მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობასაც, თუმცა როგორც ფისკალური პოლიტიკის შემავსებლად, ვინაიდან ფისკალური პოლიტიკა შესაძლოა უფრო მეტად ეფექტიანიც კი იყოს. აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები არიან გრეგორი მენქიუ, დავიდ რომერი, ჯონ ტეილორი და ოლივიე ბლანშარი.

ახალი კეინზიანური ეკონომიკის წარმომადგენლებიც ფიქრობენ, რომ ეკონომიკური აქტივობის შემცირების პერიოდში ფისკალური კონსოლიდაცია რეცესიას უფრო გააღრმავებს, განსაკუთრებით კი ხისტი ხელფასებისა და ფასების გამო (Mankiw, 2002). ამასთან, აღნიშნული სკოლის ეკონომისტები მხედველობაში იღებენ, რომ ინფლაციური ზეწოლის დროს ეკონომიკისა და ფასების დასაბალანსებლად ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროება დგება.

თანამედროვე მონეტარული თეორია შედარებით ახალი ეკონომიკური სკოლაა, რომელიც სრულიად განსხვავებულად აანალიზებს ფისკალურ და მონეტარულ ეკონომიკას. აღნიშნული თეორია ეჭვქვეშ აყენებს არსებულ შეხედულებებს, თუ როგორ ურთიერთობს მთავრობა ეკონომიკასთან. როგორც კელტონი (Kelton, 2020) აღნიშნავს, თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ თუ ქვეყანა უშვებს საკუთარ ვალუტას, მაშინ მუდმივად ექნება საკმარისი ფულის მასა და ფულის დაბეჭდვით შეუძლია დაიფინანსოს ხარჯები, დეფიციტსა და ვალზე დარდის გარეშე.

აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები ფისკალურ პოლიტიკას, განსაკუთრებით კი დანახარჯების კუთხით, უპირველესად მიიჩნევენ ეკონომიკის დასტაბილურების პროცესში. ისინი აცხადებენ, რომ მთავრობას შეუძლია და თავისუფლად უნდა გაწიოს ხარჯები ინფრასტრუქტურაზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე და საზოგადოებრივ საქონელზე, რისთვისაც მთავარი პირობაა, რომ ინფლაცია იყოს კონტროლის ქვეშ (Kelton, 2020). შესაბამისად, მთავარი კითხვა ჩნდება იმის შესახებ, თუ რა დონის ზეწოლა შეიძლება განხორციელდეს ინფლაციაზე მოთხოვნის ზრდის შედეგად. ინფლაციაზე ზეწოლის დარეგულირება კი შესაძლებელია ფასების კონტროლით ან გადასახადების ზრდით.

თანამედროვე მონეტარული თეორიის მიხედვით, ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროება, როგორც ასეთი, არ არის, როდესაც ქვეყანას საკუთარი ვალუტა გააჩნია და აქცენტი არა ბიუჯეტის დაბალანსებაზე, არამედ - ინფლაციის მართვასა და უმუშევრობაზე უნდა გაკეთდეს (Kelton, 2020).

შეჯამების სახით შეგვიძლია შემდეგნაირად დავახასიათოთ ფისკალური პოლიტიკის როლი:

ცხრილი 1: ფისკალური პოლიტიკის როლი სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის მიხედვით

ეკონომიკური თეორია	ფისკალური პოლიტიკის როლი	ძირითადი საკითხები	რეკომენდაციები
კლასიკური თეორია	ფისკალური პოლიტიკის შეზღუდული როლი, საზოგადოებრივი საქონლის მიწოდება	ბაზრის მიერ ეკონომიკის თვითკორექტირება მოთხოვნა-მიწოდებით, „უხილავი ხელი“	სახელმწიფოს ნაკლები ჩარევა ეკონომიკაში, ფისკალური პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში არაეფექტიანია
ნეოკლასიკური თეორია	მცირეა ფისკალური პოლიტიკის მასტიმულირებელი ეფექტი, ფისკალური კონსოლიდაციის მნიშვნელოვნება ეკონომიკური სტაბილურობისთვის	რაციონალური მოლოდინები, რიკარდოს ექვივალენტურობა	გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა სრული დასაქმებისკენ მიდის
კეინზიანური თეორია	სახელმწიფოს ჩარევის მნიშვნელოვნება ეკონომიკის სტაბილიზებისას	მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობისა და ფისკალური პოლიტიკა მეტად მნიშვნელოვანია	კონტრციკლური ფისკალური პოლიტიკის მიზანშეწონილობა. სახელმწიფო ხარჯების ინსტრუმენტის გამოყენება ეკონომიკის სტიმულირებისას

მონეტარისტული თეორია	ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობა „დროითი ბიჯის“ გამო	ყურადღება ფულის მიწოდებისა და ცენტრალური ბანკის როლზე	ფისკალური პოლიტიკის გამოყენება ნულოვანი საპროცენტო განაკვეთების დროს
ახალი კლასიკური თეორია	ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობა ეკონომიკის სტიმულირებისას	რაციონალური მოლოდინები, რიკარდოს ექვივალენტობა	ფისკალურ პოლიტიკას დაბალი მულტიპლიკატორები გააჩნია სტიმულირებისას
პოსტ-კეინზიანური თეორია	ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობა ერთობლივი მოთხოვნისა და უთანაბრობის მართვაში	ფინანსური არასტაბილურობის როლი და ინსტიტუციების მნიშვნელოვნება	ფისკალური კონსოლიდაცია ეკონომიკისთვის საზიანოა რეცესიის დროს. ექსპანსიური პოლიტიკისა და პროგრესიული დაბეგვრის მნიშვნელოვნება
ახალი კეინზიანური თეორია	ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვნება უმუშევრობის შემცირების პროცესში	არასრულყოფილი კონკურენცია, ხისტი ხელფასები და ფასები	მონეტარული პოლიტიკა ფისკალური პოლიტიკის შემავსებელია
თანამედროვე მონეტარული თეორია	ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვანია ეკონომიკის დასტაბილურებისას	ინფლაციაზე ზეწოლის დარეგულირება ფასების კონტროლით ან გადასახადების ზრდით	თუ ქვეყანას აქვს საკუთარი ვალუტა, ფულის დაბეჭდვის დაიფინანსებს ხარჯებს

წყარო: აგებულია ავტორის მიერ

კლასიკოსები და ნეოკლასიკოსები განიხილავენ სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდულ როლს, ვინაიდან ფისკალური პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია რაციონალური მოლოდინებისა და ბაზრის მიერ თვით კორექტირების შესაძლებლობების გამო. ისინი განიხილავენ შრომის ბაზარზე სრულ დასაქმებას და ეკონომიკის პოტენციურ დონეზე

არსებობას. ამასთან, ნეოკლასიკურ თეორიაში ასევე შემოტანილია განუზღვრელობისა და რაციონალური მოლოდინების ცნებები. ამ თეორიების დადებით შედეგად მიიჩნევა ეკონომიკის მდგრადი ზრდა და გრძელვადიანი სტაბილურობა, თუმცა მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა უმუშევრობის გაზრდას ჰქონდეს ადგილი.

კეინზიანელები განმარტავენ, რომ ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკის დასტაბილურებისთვის აუცილებელია, განსაკუთრებით კი ეკონომიკური დაღმავლობის პირობებში. მაგალითად, აღნიშნული თეორია განიხილავს სახელმწიფოს საბიუჯეტო კომპონენტების ცვლილებას, როდესაც მაგალითად სახელმწიფო ხარჯების ზრდა მულტიპლიკატორის მეშვეობით ასტიმულირებს ეკონომიკას, ხოლო გადასახადების ზრდა ხელს უწყობს კერძო მოხმარების შემცირებას. ამასთან, აღნიშნული თეორიის მიხედვით, თუკი ფისკალური კონსოლიდაცია ხორციელდება მონეტარული შერბილების პარალელურად, მაშინ აღნიშნული ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა გარკვეულწილად დააკომპენსირებს ფისკალური კონსოლიდაციით გამოწვეულ საზიანო ეფექტებს კერძო მოხმარებასა და განვითარებაზე. ამ თეორიის დადებით შედეგად მიიჩნევა ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და უმუშევრობის შემცირება, თუმცა გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა არსებობდეს ინფლაციის რისკი.

მონეტარისტებისთვის მონეტარული პოლიტიკა მეტად ეფექტიანია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ფისკალური პოლიტიკის, როგორც მონეტარულის შემავსებელი პოლიტიკის, განხორციელებას.

ახალი კლასიკური ეკონომიკის თეორიის წარმომადგენლები ფისკალურ პოლიტიკას არაეფექტიანად მიიჩნევენ პოლიტიკის სტაბილიზაციის პროცესში, რაციონალური მოლოდინებიდან გამომდინარე.

პოსტ-კეინზიანელებიც მხარს უჭერენ ფისკალურ ჩარევას, რაც ძირითადად მოთხოვნის მართვასა და უთანაბრობის შემცირებისკენ არის მიმართული.

კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, ახალი კეინზიანური ეკონომიკური მოდელები ასევე მოიცავს დროებითი ფასების სიხისტისა და არასრულყოფილი

კონკურენციის შესახებ დაშვებებს. ახალი კეინზიანელები აღნიშნავენ, რომ ფისკალური პოლიტიკის როლი ბაზრის სიხისტისა და მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური კლების დროს განსაკუთრებით დიდია და ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობაზე მსჯელობენ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის პროცესში. ამ თეორიის დადებით შედეგად მიიჩნევა ინფლაციის კონტროლი და ეკონომიკის სტაბილურობა, თუმცა იგი არ ითვალისწინებს ეკონომიკური ციკლის მერყეობას და აქტიური ჩარევის შესაძლებლობას.

თანამედროვე მონეტარული თეორიის წარმომადგენლები ფისკალურ პოლიტიკას მთავარ პოლიტიკად მიიჩნევენ ეკონომიკის მართვის პროცესში, რა დროსაც აქცენტი სახელმწიფო ხარჯებზეა გაკეთებული, რაც დაფინანსებულია ფულის დაბეჭდვის შედეგად. ყურადღება გამახვილებულია არა დეფიციტის სიდიდეზე, არამედ - ინფლაციის დონეზე.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების დამოკიდებულება ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობისა და მნიშვნელობის შესახებ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შეგვიძლია ვნახოთ როგორ გამოისახება ეს მნიშვნელობა და გავლენები რაოდენობრივად. შესაბამისად, მომდევნო ქვეთავში საუბარი იქნება ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლო ინსტრუმენტებზე და მათ მოსალოდნელ გავლენებზე ეკონომიკაზე, სხვადასხვა მიდგომისა და ჩატარებული კვლევების მიხედვით.

1.2 ფისკალური მულტიპლიკატორების არსი და გავლენა ეკონომიკაზე


თეორიული ანალიზის გარდა, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში არსებული შედეგებისთვის, ფისკალური პოლიტიკის მიმართ დაინტერესების ზრდა გამოწვეულია მისი ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ზომით. ამასთან, როდესაც ფისკალური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და შემოსავლების გადანაწილება, ეს თავის თავში უკვე გულისხმობს ფისკალურ

სტაბილურობას. სტაბილური ფისკალური გარემოს შექმნა და შესაბამისი ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ხელს უწყობს ეკონომიკურ მდგრადობას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ფისკალური სტაბილურობა მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ფისკალურ პოლიტიკას გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების მეშვეობით ატარებს ფინანსთა სამინისტრო. ერთი მხრივ, ხარჯვითი პოლიტიკა ხელს უწყობს მთავრობის ხარჯების ცვლილებას, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო პოლიტიკა იწვევს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ცვლილებას.

სახელმწიფო ხარჯები გულისხმობს როგორც მიმდინარე, ასევე - კაპიტალური ხარჯების ცვლილებას, ხოლო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ცვლილებისთვის ძირითადად გადასახადის განაკვეთის ცვლილება მოიაზრება.

გრაფიკი 2: ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები



წყარო: აგებულია ავტორის მიერ


მიუხედავად იმისა, რომ ინტუიციურად მთავრობის კაპიტალური ხარჯების ზრდა ძირითადად ასოცირდება გაუმჯობესებულ ეკონომიკურ აქტივობასთან, ვინაიდან აღნიშნული ხარჯები ძირითადად მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისკენ და ეკონომიკის სტიმულირებას უწყობს ხელს, აღნიშნულს რეალურად შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს რეალურ მთლიან სამამულო პროდუქტზე⁵ (Afonso&Sousa, 2010). უარყოფითი ეფექტის მიზეზს წარმოადგენს კერძო სექტორში მოხმარებისა და ინვესტიციების გამოდევნის ეფექტი. ეს ეხმიანება იმ მიდგომას, რომ შესაძლოა კაპიტალური ხარჯები აღემატებოდეს იმ დონეს, რის შემდეგაც აღნიშნული ხარჯების ზრდამ ეკონომიკის არა სტიმულირება, არამედ - შემცირება გამოიწვიოს. ამ მიდგომას ასახავს არმი-რანის მრუდის დაღმავალი ნაწილიც, რაც მიუთითებს, რომ კაპიტალური ხარჯების რაღაც დონეზე მეტად გაზრდას ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენა ექნება. თუმცა, Mikeladze (2023) აღნიშნავს, რომ მსგავსი დამოკიდებულება არსებობს მეტად განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან, ბედიანაშვილი et al. (2023ბ) აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი კავშირი არ შეინიშნებოდეს გაწეულ ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდაზე ან მთლიან სამამულო პროდუქტზე მოსახლეობის 1 სულზე. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს დანახარჯების გრძელვადიანი ეფექტის ბუნება, ქვეყნის განვითარების დონე ან დანახარჯების არსებული სტრუქტურა (ბედიანაშვილი et al., 2023ა; Bedianashvili et al, 2024b). როგორც პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევაშია აღნიშნული, გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა წარმატებულია ძირითადად მაშინ, როდესაც გამკაცრება ხდება მიმდინარე ხარჯების შემცირებით (პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2015). ამასთან, როგორც ტაბატაძე აღნიშნავს, ისეთი პოლიტიკის გატარება, რაც ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერია, მოითხოვს საჯარო ფინანსების სწორ ადმინისტრირებას (ტაბატაძე, 2024).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს არმი-რანის მრუდის გრაფიკულ გამოსახულებას სახელმწიფო ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულების

⁵ მიმდინარე ნაშრომში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებული ტერმინის „მთლიანი შიდა პროდუქტის“ ნაცვლად გამოვიყენებთ ტერმინს „მთლიან სამამულო პროდუქტს“ (ან მის ინგლისურ აბრევიატურას - GDP). აღნიშნული ტერმინი შემოთავაზებულია ვლადიმერ პაპავასა და ავთანდილ სილაგაძის მიერ (პაპავა, სილაგაძე (2019)).

შესახებ, სადაც რაღაც დონემდე სახელმწიფო ხარჯების ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას, აღნიშნული დონის შემდეგ კი ეკონომიკის შემცირებას აქვს ადგილი.

გრაფიკი 3: არმი-რანის მრუდი



წყარო: მიქელაძე (2023ა), Armey (1995)-ის მიხედვით

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამოყენებაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე - შემოსავლების უთანაბრობაზე. სხვადასხვა ავტორის მიერ მიღებული შედეგები ზოგიერთ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგოა, რაც ეკონომიკური თავისებურებებითა და სხვადასხვა გამოყენებული მეთოდოლოგიით შეიძლება აიხსნას. მაგალითად, კაპიტალური ხარჯების შემცირებას უარყოფითი გავლენა ჰქონდა ეკონომიკურ ზრდაზე ინვესტიციებისა და მოხმარების შემცირების გავლენით კვიპროსში (Pashourtidou et al., 2014). ავტორები მიუთითებენ საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკების ერთობლივი გამოყენების საჭიროებაზე, რაც გაზრდის ეკონომიკაზე დადებით ეფექტებს. ამასთან, Calderon (2004) ნაშრომში აღწერილია კაპიტალური ხარჯების შემცირების გავლენა 121 ქვეყნის ეკონომიკაზე. შედეგები აჩვენებს, რომ აღნიშნულ პოლიტიკას, რაც ფისკალურ კონსოლიდაციად შეგვიძლია დავახასიათოთ, დადებითი გავლენა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკაზე.

რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლების ცვლილებას საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით, აქ უნდა გამოვყოთ სხვადასხვა ტიპის გადასახადის განსხვავებული ბუნება. ამისთვის კი გადასახადების პირდაპირი და არაპირდაპირი ტიპის გადასახადებად დაყოფა ამარტივებს მისი ანალიზის საშუალებას. პირდაპირი გადასახადების ზრდა, რაც მეტად პროგრესიული ტიპის გადასახადად ითვლება, შესაძლოა უარყოფითად აისახოს ეკონომიკურ ზრდაზე, ვინაიდან სწორედ შემოსავლის მიმღებ პირთა მეტად დაბეგვრაზე იქნება მიმართული. რაც შეეხება არაპირდაპირი ტიპის გადასახადებს, სადაც დამატებული ღირებულების გადასახადი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მისი გაზრდა შესაძლოა ნაკლებად უარყოფითად აისახოს ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, აქ გასათვალისწინებელი ფაქტორია მოსახლეობის მოწყვლადი და დაბალშემოსავლიანი ფენების მდგომარეობაც, ვინაიდან თუ ფისკალური კონსოლიდაციის დროს არამხოლოდ რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებელსაც ვაქცევთ ყურადღებას, მაშინ არაპირდაპირი გადასახადის გაზრდამ შესაძლოა გაამწვავოს ქვეყანაში არსებული შემოსავლების უთანაბრობის დონე, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის საგადასახადო ტვირთის გაზრდის გზით.

ბაიეზიანური ვექტორ ავტორეგრესიული (Bayesian Vector Auto-Regression – BVAR) ჩარჩოს გამოყენებით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ პირდაპირი გადასახადების ზრდა ეკონომიკურ აქტივობას ამცირებს, ხოლო შემოსავლების უთანაბრობაზე კი დადებითად მოქმედებს და ამცირებს უთანაბრობას (Yeboua, 2021). ამასთან, ავტორი აღნიშნავს, რომ საგადასახადო პოლიტიკასთან ერთად ხარჯვითი პოლიტიკის გამოყენებაც ეფექტიანი აღმოჩნდა, რაც გამოიხატებოდა პირდაპირი გადასახადებით შემცირებული ეკონომიკური აქტივობის დასაბალანსებლად მიღებული შემოსავლებით ინვესტიციების დაფინანსების გაზრდაში. რაც შეეხება არაპირდაპირი ტიპის გადასახადებს, გამოკვლევულ შემთხვევაში ასევე შეამცირა ეკონომიკური აქტივობა.

ფისკალური პოლიტიკის განხორციელების დროს რომელი ინსტრუმენტი იქნება გამოყენებული, ეს სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკის არსებული მდგომარეობა, ასევე უნდა განვსაზღვროთ ფისკალური სივრცე, თუ რამდენად მარტივად იქნება შესაძლებელი თითოეული

ინსტრუმენტის გამოყენება და გადასახადის ან დანახარჯების გაზრდა თუ შემცირება. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, თუ როგორი იქნება ეკონომიკის რეაქცია თითოეული ფისკალური ინსტრუმენტის ცვლილების შედეგად, რასაც ფისკალური მულტიპლიკატორი გვიჩვენებს.

მიჩნეულია, რომ ფისკალური მულტიპლიკატორი მაღალია რეცესიის დროს, რაც გულისხმობს ეკონომიკის უფრო მეტად რეაგირებას ფისკალურ პოლიტიკაში განხორციელებულ ცვლილებებზე. ასევე, შესაძლოა ზოგიერთი მაჩვენებლისთვის მულტიპლიკატორი უფრო მაღალი იყოს, ვიდრე - სხვა მაჩვენებლისთვის, რაც გვეხმარება იმის განსაზღვრაში, რომელი ინსტრუმენტის უფრო ნაკლები ცვლილებით შეიძლება მივიღოთ ეკონომიკაზე უფრო მაღალი შედეგი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შესაძლოა მულტიპლიკატორებიც მსგავსი ჰქონდეთ, ყველა ქვეყნისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მაინც განსხვავდება. უფრო მეტიც, დროის სხვადასხვა პერიოდშიც (მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში) განსხვავებული იქნება იგივე ქვეყნის იგივე ფისკალური ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში ფისკალური მულტიპლიკატორი.

ზოგადად რომ დავახასიათოთ, ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებული ინსტრუმენტების შესაძლო გავლენა ეკონომიკაზე, ანუ ფისკალური მულტიპლიკატორები, უფრო მაღალია შემდეგი შემთხვევების დროს (Batini et al., 2014):

- როდესაც ქვეყანას ახასიათებს კაპიტალის დაბალი მობილობა;
- როდესაც მოქმედებს ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი;
- როდესაც ქვეყანა ხასიათდება დაბალი სავაჭრო ღიაობით (დახურული ეკონომიკა);
- ავტომატური სტაბილიზატორების სიმცირის დროს;
- შრომისა და საქონლის ბაზრის მაღალი სიხისტის პირობებში;
- პოლიტიკის სანდოობის ინდიკატორების არსებობისას (მთავრობის ვალის უსაფრთხო დონეზე არსებობა).

ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების გავლენა ეკონომიკაზე შეგვიძლია მივიჩნიოთ მაღალ დონეზე, ანუ ფისკალური მულტიპლიკატორი მაღალია, როდესაც მისი მაჩვენებელი დაახლოებით 0.7-დან 1.0-ის ფარგლებშია, ხოლო დაბალი მულტიპლიკატორი დაახლოებით 0.1-დან 0.3-მდე შუალედშია მიჩნეული. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მულტიპლიკატორი შეიძლება 1-ზე მაღალიც იყოს. მაგალითად, რამის (Ramey, 2010) გამოთვლებით ფისკალურ მულტიპლიკატორი დაახლოებით 0.6-დან 1.1-მდე მერყეობდა. ასევე ზოგიერთი ქვეყნისთვის მულტიპლიკატორი 2-ზე მაღალიც კი შეიძლება იყოს, რასაც განსაკუთრებით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლიკვიდურობის ხაფანგის დროს, როდესაც მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთები ნულთან ახლოს არის, რასაც განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში აქვს ადგილი, ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა უფრო იზრდება, რაც მაღალ ფისკალურ მულტიპლიკატორში აისახება (აღნიშნული 1-ზე მაღალ მულტიპლიკატორს გულისხმობს). როგორც ბლანშარი და პეროტი (Blanchard&Perotti, 2002) აღნიშნავენ, კერძო მოხმარების მულტიპლიკატორი შედარებით მაღალია და დამოკიდებულია მონეტარული ექსპანსიის პასუხად კერძო მოხმარების შეზღუდვაზე.

ფისკალური მულტიპლიკატორების შესაფასებლად სხვადასხვა მეთოდი და მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ, თუმცა ყველაზე ხშირად მაინც სტანდარტული ვექტორ ავტორეგრესიული მოდელი (Vector-Autoregression – VAR), სტრუქტურული ვექტორ ავტორეგრესიული მოდელი (Structural Vector-Autoregression – SVAR) და დინამიკურ სტოქასტური საერთო წონასწორობის (Dynamic Stochastic General Equilibrium - DSGE) მოდელები გამოიყენება, რათა მიღებული შედეგები უფრო მეტად რეალისტური იყოს.

ფისკალური მულტიპლიკატორი გვიჩვენებს ეკონომიკის რეაგირებას ფისკალური მაჩვენებლის ცვლილებაზე. მაგალითად, ხარჯვითი ნაწილის მულტიპლიკატორი გულისხმობს დანახარჯების 1 ერთეულით ცვლილების შემთხვევაში გამოშვების ან მთლიანი სამამულო პროდუქტის (Gross Domestic Product - GDP) რაოდენობრივ

ცვლილებას, ანალოგიურად განისაზღვრება საგადასახადო შემოსავლების მულტიპლიკატორი. მულტიპლიკატორი, თავის თავში, მოიაზრებს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიღებულ როგორც პირდაპირ, ასევე - არაპირდაპირ ეფექტებს, 1-ზე მაღალი მულტიპლიკატორი კი სწორედ არაპირდაპირი ეფექტების გავლენას ასახავს.

1.3 ფისკალურ კონსოლიდაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

1.3.1 ფისკალური კონსოლიდაციის განსაზღვრება და ძირითადი მიმართულებები

ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, უკეთ განვსაზღვროთ ფისკალური კონსოლიდაციის ტერმინი და მისი არსი, იმის გათვალისწინებით, რომ ტერმინი კონსოლიდაცია სხვა შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს. კონსოლიდაცია, როგორც ცალკე მდგომი სიტყვა, გაერთიანებას, გაძლიერებას უფრო გულისხმობს. ეკონომიკური ტერმინოლოგიით კონსოლიდაციაში მოიაზრებენ საჯარო ფინანსების დასტაბილურებას. რაც შეეხება ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებულ ტერმინ ფისკალურ კონსოლიდაციას, მასში გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკის გატარება იგულისხმება, რაც საჯარო ფინანსების სტაბილიზაციისთვის დეფიციტისა და ვალის შემცირებით არის გამოწვეული.

ვინაიდან ნაშრომში საუბარი სწორედ ფისკალურ კონსოლიდაციასა და მისგან მომდინარე ეფექტებზე გვექნება, უნდა დავაზუსტოთ თუ რას ვგულისხმობთ ნაშრომში გამოყენებულ ტერმინ „ფისკალურ კონსოლიდაციაში“. ჩვენი ანალიზის მიზნებისთვის გამოყენებული აღნიშნული ტერმინი ფისკალური კონსოლიდაცია გულისხმობს ბიუჯეტის დეფიციტისა და/ან ვალის შემცირებას, რის მისაღწევადაც სხვადასხვა ფისკალური ინსტრუმენტი შეიძლება იყოს გამოყენებული.

ტერმინი ფისკალური კონსოლიდაცია სანამ აქტიურად იქნებოდა ეკონომისტების მიერ გამოყენებული, არსებობდა დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ იდეა, რომ მთავრობას მაღალი დეფიციტისგან თავი უნდა შეეკავებინა და მხოლოდ საჭიროების

შემთხვევაში აელო ვალი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კი საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს როგორც დეფიციტის შემცირებაზე, ასევე - ფისკალურ კონსოლიდაციაზე საუბარი, რაც გადასახადების ზრდითა და ხარჯების შემცირებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ზოგადად, ფისკალურ კონსოლიდაციად მიიჩნევა გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფო გადასახადების სახით უფრო მეტ რესურსს იღებს ეკონომიკიდან, ვიდრე - ხარჯებით აბრუნებს. ამ ტერმინს უკვე აქტიურად იყენებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), რათა დაახასიათოს ფისკალური კორექტირება. ფისკალური კონსოლიდაცია ასევე განიხილება მსოფლიო ბანკის (WB) მიერ, ეკონომიკის დასტაბილურების მიზნით.

1990-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაიზარდა ფისკალური კონსოლიდაციის გამოყენება ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას. აქ აღსანიშნავია 1992 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული „მაასტრიხტის ხელშეკრულება“ (Maastricht Treaty)⁶, რის ფარგლებშიც მდგრადი და სტაბილური საჯარო ფინანსების უზრუნველყოფისთვის ფისკალური წესები დადგინდა წევრი ქვეყნებისთვის⁷. ფისკალური წესები გულისხმობს მთავრობის ვალისა და ბიუჯეტის დეფიციტის ზედა ზღვარს, რასაც არ უნდა გადააჭარბოს ქვეყანამ. აღნიშნული ზღვარი გულისხმობს მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში ვალის 60 პროცენტთან მაჩვენებელს და დეფიციტის 3 პროცენტთან ნიშნულს. აღსანიშნავია, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულება მოგვიანებით გაფართოვდა და შეიძლება ითქვას, რომ მისი შემავსებელი იყო „სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტი“ (Stability and Growth Pact), რაც ქვეყნებს დაბალანსებული ბიუჯეტის შექმნას ავალდებულებდა. ამასთან, კრიზისის ან გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო აღნიშნული მაჩვენებლების დარღვევის შემთხვევაში ქვეყანას უნდა ჰქონოდა გეგმა, თუ როგორ განახორციელებდა დეფიციტისა და ვალის უსაფრთხო ნიშნულამდე შემცირებას, რისთვისაც ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება იყო აუცილებელი და ადგილი ექნებოდა ფისკალურ კონსოლიდაციას.

⁶ რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლიდან.

⁷ <https://www.bundesbank.de/en/statistics/public-finances/maastricht-deficit-and-debt-level/maastricht-deficit-and-debt-level-793140>.

ფისკალური კონსოლიდაცია, რაც გამკაცრებულ ფისკალურ პოლიტიკას წარმოადგენს, ერთი მხრივ, გადასახადების ზრდას გულისხმობს, მეორე მხრივ კი - ხარჯების შემცირებას. შესაბამისად, ფისკალური კონსოლიდაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც შემოსავლების ზრდის, ასევე ხარჯების შემცირების ან ორივე ღონისძიების ერთად განხორციელების კუთხით, რასაც არაერთგვაროვანი გავლენა შესაძლოა ჰქონდეს ეკონომიკაზე.

აღნიშნული ინსტრუმენტების ცვლილებით განხორციელებული კონსოლიდაციის ეფექტებს შორის განსხვავება წარმოდგენილია Blanchard&Perotti (1999) ნაშრომში. თუმცა, საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ არა მხოლოდ ხარჯვითი და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების შესაძლო ეფექტები, არამედ უშუალოდ ხარჯვითი ღონისძიებების დროს ხარჯების დეკომპოზიციის ცვლილებაც. მაგალითად, განსხვავება მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამოყენების შემთხვევაში, ფისკალური კონსოლიდაციისას. ამის გარდა, შესაძლოა განვასხვავოთ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ცვლილებაც და მათი შესაძლო ეფექტები ეკონომიკაზე, ვინაიდან აღნიშნული ტიპის გადასახადები შემოღებულია სხვადასხვა მიზნობრიობით და გადამხდელი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფია.

როგორც მიქელაძე (2023ბ) აღნიშნავს, შესაძლოა კონსოლიდაციის ინსტრუმენტებად 3 ძირითადი მიმართულება გამოიყოს:

- გადასახადების ზრდა, რაც ბიუჯეტის შემოსავლებს გაზრდის და ფისკალური დეფიციტის შემცირებას უზრუნველყოფს. საგადასახადო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება შეზღუდულია იმ ფაქტით, რომ გადასახადების განაკვეთის ზრდა ან ახალი გადასახადის შემოღება შეუძლებელია რეფერენდუმის ჩატარების გარეშე. რაც შეეხება საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას და საგადასახადო დანახარჯების ოპტიმიზაციას, აღნიშნული ღონისძიებები უკვე ჩატარებულია და/ან შემუშავების პროცესშია. აღსანიშნავია, რომ გადასახადების კუთხით შესაძლოა წარმოვადგინოთ 2 მიმართულება: პირდაპირი გადასახადების

ცვლილება და არაპირდაპირი გადასახადების ცვლილება, რასაც განსხვავებული ეფექტები შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკაზე;

- მიმდინარე ხარჯების შემცირება. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე ხარჯებში მნიშვნელოვანი წილი უკავია სოციალურ ხარჯებს (39.7 პროცენტი 2023 წელს)⁸. შესაბამისად, გარკვეულწილად იზღუდება აღნიშნული ინსტრუმენტის აქტიურად გამოყენებაც, ვინაიდან სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების შემცირება უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფისკალური კონსოლიდაცია და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზღვარში დაბრუნება არ უნდა განხორციელდეს მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე, რისთვისაც საჭირო ხდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების რაოდენობრივთან ერთად ხარისხობრივი ანალიზიც;
- ყველაზე მეტად შესაძლო მიმართულებად ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების პროცესში კაპიტალური ხარჯების შემცირება არის წარმოდგენილი. თუმცა, ვინაიდან კაპიტალური ხარჯები ინვესტიციების განხორციელებას გულისხმობს და ეკონომიკურ ზრდაზე უნდა იყოს მიმართული, მისმა შემცირებამ შესაძლოა საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის შეფერხებაც გამოიწვიოს. ამიტომ, ამ ინსტრუმენტის გამოყენების დროსაც ყურადღებაა საჭირო შესაძლო შედეგების ანალიზის პროცესში.

როგორც აღმოჩნდა, ფისკალური კონსოლიდაციის სამივე მიმართულებას გარკვეული შეზღუდვები გააჩნია, რაც უშუალოდ კონსოლიდაციის განხორციელების პროცესში სიფრთხილის გამოჩენისკენ მიუთითებს. მიმდინარე ნაშრომში ინსტრუმენტები ოთხ მიმართულებად დაიყოფა და გადასახადებიც წარმოდგენილი იქნება, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი ტიპის გადასახადები.

⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge

როგორც Ilzetki at al. (2011) აჩვენებს, ფისკალური პოლიტიკის ეფექტები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში განსხვავებულია და გამოწვეულია ფისკალური მულტიპლიკატორის განსხვავებული მნიშვნელობით.

ზოგადად ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების მიზეზად 2 ძირითადი ასპექტი შეიძლება გამოვყოთ:

- ფისკალური სივრცის შექმნა, რაც ბიუჯეტის დეფიციტს მეტად მდგრადს გახდის და დაიცავს მომავალი შოკებისგან, რადგან მათი მოხდენის შემთხვევაში ფისკალურ პოლიტიკას შეეძლება კონტრციკლური პოლიტიკით უპასუხოს, რესურსების არსებობის შემთხვევაში;
- კონსოლიდაცია წარმოადგენს საფუძველს გრძელვადიანი პერიოდისთვის მეტად ძლიერი და დაბალანსებული ეკონომიკური ზრდისთვის. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ დანაზოგების არსებობის გამო შემცირებული დეფიციტი შეამცირებს რეალურ საპროცენტო განაკვეთებს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ასევე გადასახადების შემცირებასაც. ეს კი გრძელვადიანი პერიოდისთვის გაზრდის როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე - ინვესტიციებს.

ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმ ფაქტს, რომ ფისკალური კონსოლიდაცია რაც უფრო სწორი ღონისძიებებით, შესაბამისი ინსტრუმენტებით და საიმედო პოლიტიკის გატარებით იქნება განხორციელებული, ეკონომიკურ ზრდაზე მისი უარყოფითი ეფექტიც უფრო მეტად შემცირდება.

Ardanaz at al. (2021) ნაშრომში აღნიშნულია, რომ კონსოლიდაციისას გამოყენებულ ინსტრუმენტს მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკაზე გავლენის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ მთლიანი სამამულო პროდუქტის 1 პროცენტით შემცირება რეალურ ეკონომიკას 0.4 პროცენტით ამცირებს, ეს რიცხვი განსხვავებულია კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოყენების შემთხვევაში. კაპიტალური ხარჯების მთლიან სამამულო პროდუქტთან 1 პროცენტით შემცირება გამოშვებას შეამცირებს საშუალოდ 0.7 პროცენტით 3 წლის განმავლობაში, ხოლო კაპიტალურთან ერთად მიმდინარე ხარჯების შემცირებამ შესაძლოა გაანეიტრალოს შემცირების აღნიშნული ეფექტები და

საშუალოვადიან პერიოდში გამოშვების ზრდასაც კი შეუწყოს ხელი. ამასთან, ავტორები აღნიშნავენ, რომ კაპიტალური ხარჯების შემცირების შედეგად რეალური ეკონომიკის შემცირებას ადგილი აქვს როგორც მიმდინარე, ასევე - საშუალოვადიან პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ ფისკალური კონსოლიდაცია ყოველთვის ეკონომიკის შემცირებას არ მიუთითებს და შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ექსპანსიურ ფისკალურ კონსოლიდაციას (Afonso&Martins, 2014), ანუ კონსოლიდაციის შედეგად ეკონომიკის ზრდას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კეინზიანური თეორიის მიხედვით, ფისკალურმა კონსოლიდაციამ შეიძლება გამოიწვიოს კერძო მოხმარების გაზრდა, თუკი მონეტარული პოლიტიკის შერბილება ახლავს თან. აღნიშნული ფაქტი აიხსნება იმით, რომ მონეტარული პოლიტიკის შერბილება გარკვეულწილად აკომპენსირებს ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად მიღებულ უარყოფით ეფექტებს კერძო მოხმარებასა და შემოსავლებზე. ამის ამხსნელად ხშირად გამოიყენება ე.წ IS-LM ჩარჩო, რაც გვიჩვენებს ურთიერთდამოკიდებულებას „ინვესტიცია-დანაზოგებისა“ და „ლიკვიდურობა-ფულის მიწოდების“ მრუდებს შორის.

ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია არის განხილული და გაანალიზებული 1980-იანი წლებისთვის გერმანიის შემთხვევაში (Hellwig&Neumann, 1987), როდესაც ფისკალურ კონსოლიდაციას დადებითი გავლენა ჰქონდა კერძო სექტორის მოთხოვნაზე, რამაც გამოშვების ზრდა გამოიწვია დაბალი ინფლაციის პარალელურად (აღნიშნულ პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას). OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - Organisation for Economic Co-operation and Development) ქვეყნებისთვის ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის მდგომარეობა გაანალიზებულია ასევე Giavazzi et al. (2000) ნაშრომში, სადაც მაღალი ფისკალური იმპულსის დროს კერძო სექტორის მოქმედებაა აღწერილი.

პანელური მონაცემების ანალიზის საშუალებით გამოიანგარიშება სხვადასხვა ქვეყნისთვის ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ვალის მაჩვენებელზე. Ardagna (2004) ასევე აღნიშნავს, რომ ფისკალური კონსოლიდაციის ეფექტები ცვლილების მოცულობაზეც არის დამოკიდებული და არა მხოლოდ

ცვლილების კომპოზიციაზე. გარდა ამისა, Afonso&Jalles (2012) OECD ქვეყნების პანელური ანალიზი აფასებს ფისკალური კონსოლიდაციის დროს არა მხოლოდ კომპოზიციის, არამედ - უშუალოდ ფისკალური კონსოლიდაციის ხანგრძლივობასაც. ნაშრომში აღნიშნულია, რომ კონსოლიდაციის პერიოდის გაზრდა ასევე ზრდის მისი წარმატების შესაძლებლობას. ავტორები აღნიშნავენ, რომ გადასახადების ზრდა უარყოფით გავლენას ახდენს ფისკალური კონსოლიდაციის წარმატებაზე. მსგავსი შედეგი აქვთ მიღებული Alesina&Ardagna (2013) ავტორებს, რომლებიც ასევე ხაზს უსვამენ, რომ გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების ცვლილების ანალიზის დროს მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინება მნიშვნელოვანი არ არის.

Beetsma at al. (2021) ნაშრომში შემოსავლების ცვლილებით მიღებული შედეგები ეკონომიკაზე უფრო საზიანოდ არის შეფასებული, ვიდრე - დანახარჯების ცვლილებით განხორციელებული კონსოლიდაცია. ამავსე ადასტურებს Ardagna (2004) თავის ნაშრომში, სადაც OECD ქვეყნების პანელური მონაცემების ანალიზი განახორციელა. Alesina&Ardagna (1998) ასევე განსაზღვრავს, რომ ფისკალური პოლიტიკის ცვლილებისას, საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებების გამოყენება ძირითადად არაექსპანსიურია, ხოლო ხარჯების ცვლილება მეტად ექსპანსიურად მოიაზრება. აღნიშნული სახის კვლევებისა და საქართველოს ფისკალური პოლიტიკის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, რაოდენობრივი კვლევისას ზოგიერთ შემთხვევაში აქცენტი ხარჯვითი კომპონენტების კომპოზიციის ცვლილების შესაძლო ეფექტებზე გაკეთდება და შედეგად, მიმოვიხილავთ ფისკალური კონსოლიდაციისას მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილების გავლენას სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

ცხრილი 2: ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება

ნაშრომი	საანალიზო ქვეყნები და პერიოდი	ძირითადი შედეგები
Hellwig&Naumann (1987)	გერმანია, 1980-ინები	ფისკალური კონსოლიდაციის დადებითი ეფექტი კერძო სექტორის მოთხოვნაზე,

		გაზრდილი ინვესტიციები, მაღალი ზრდა და დაბალი ინფლაცია
Alesina&Ardagna (1998)	OECD ქვეყნები, 1960-1994 წლები	გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების ცვლილების ანალიზის დროს მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინება მნიშვნელოვანი არ არის, კომპონენტები ცვლილების ზომაზე უფრო მნიშვნელოვანია
Blanchard&Perotti (1999)	აშშ, 1947-1997 წლები	დანახარჯების შოკის ეფექტები აღემატება გადასახადების შოკის ეფექტებს
Giavazzi et al. (2000)	OECD ქვეყნები, 1973-1996 წლები	ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია, მაღალი ფისკალური იმპულსის შემთხვევაში
Ardagna (2004)	OECD ქვეყნები, 1960-2002 წლები	სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ექსპანსიური ეფექტი გააჩნია ეკონომიკაზე, წარმატებული კონსოლიდაცია ძირითადად სტრუქტურულ რეფორმებთან ერთად ხორციელდება
Ilzetzki at al. (2011)	44 ქვეყანა, დროის სხვადასხვა პერიოდით	ფისკალური მულტიპლიკატორი მაღალია ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს, მულტიპლიკატორები ძირითადად ეკონომიკის მახასიათებლებზეა დამოკიდებული
Afonso&Jalles (2012)	OECD ქვეყნები, 1970-2010 წლები	კონსოლიდაციის დროს მცირდება მთავრობის ვალი
Alesina&Ardagna (2013)	OECD-ის 21 ქვეყანა, 1970-2010 წლები	ხარჯებით განხორციელებული კონსოლიდაცია მეტად წარმატებული და ექსპანსიურია, მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინება არ არის მნიშვნელოვანი

Afonso&Martins (2014)	ევროკავშირის 14 ქვეყანა, 1970-2012 წლები	დანახარჯებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის ეფექტები ეკონომიკაზე უფრო დადებითია. მონეტარული პოლიტიკის შერბილების პარალელურად განხორციელებული კონსოლიდაცია შესაძლოა ექსპანსიური იყოს
Ardanaz at al. (2021)	44 განვითარებადი და 26 განვითარებული ქვეყანა, 1980-2019 წლები	მიმდინარე ხარჯებთან შედარებით კაპიტალური ხარჯების 1 პ.პ-ით შემცირებით გამოწვეული კონსოლიდაცია გამოშვებას უფრო მეტად ამცირებს, რაც 3 წლის განმავლობაში 0.7 პ.პ-ით შემცირებას გულისხმობს
Beetsma at al. (2021)	ევროკავშირის 13 ქვეყანა, 1978-2013 წლები	ხარჯებით განხორციელებულ ფისკალურ კონსოლიდაციას ნაკლები საზიანო ეფექტი აქვს ეკონომიკაზე, გადასახადებით განხორციელებულ კონსოლიდაციასთან შედარებით

წყარო: აგებულია ავტორის მიერ

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების გაანალიზებით ჩანს, რომ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას გადასახადების ზრდით განხორციელებულ კონსოლიდაციას მეტად საზიანო შედეგები გააჩნია ეკონომიკაზე, ხარჯების ინსტრუმენტის გამოყენებასთან შედარებით. ხოლო მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შედარებისას კაპიტალური ხარჯების შემცირება უფრო მეტად ამცირებს ეკონომიკას.

1.3.2 ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რისი საშუალებითაც მიღებული გავლენა სხვადასხვა ტიპის მაკროეკონომიკურ

ინდიკატორებზე არ არის მყისიერი. შესაბამისად, კარგი იქნება, თუ ფისკალური პოლიტიკის გავლენა შეფასდება არა მხოლოდ მოკლევადიანი პერიოდისთვის, არამედ - საშუალოვადიანი პერიოდისთვისაც. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ფისკალური პოლიტიკის კონტრციკლურობა მიჩნეულია უფრო მეტად „სწორ“ ფისკალურ პოლიტიკად, რაც ბუმისა და გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობის დროს მკაცრი ფისკალური პოლიტიკის, ხოლო რეცესიისა და ეკონომიკური აქტივობის შენელების დროს ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას გულისხმობს.


ამასთან, ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გააჩნია ბიუჯეტის დეფიციტის 3 პროცენტისა და მთავრობის ვალის 60 პროცენტისა ზედა ზღვარი, რაც ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში⁹ ჩაწერილი. ამ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე აღნიშნული ზედა ზღვარი მოქმედებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც, რაც მასტრიხტის ხელშეკრულების ფარგლებში ფუნქციონირებს და მასტრიხტის კრიტერიუმების სახელწოდებით მოიხსენიება. შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტის ან მთავრობის ვალის ზედა ზღვარის დარღვევის შემთხვევაში აუცილებელია ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება აღნიშნული მაჩვენებლების ზღვარში დასაბრუნებლად. ეს კი მეტად აქტუალური გახდა კრიზისების პერიოდში, განსაკუთრებით კი შეგვიძლია აღვნიშნოთ ბოლოს, კოვიდ-19 პანდემიისას არსებული მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ პანდემია ეკონომიკური მიზეზებით არ იყო გამოწვეული (Papava, 2020; Bedianashvili, 2021).

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე ჩანს ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის მაჩვენებლები. მთავრობის ვალი კოვიდ-19 პანდემიის შედეგად ზუსტად საქართველოს ორგანულ კანონში არსებული ზღვარის ზედა მოცულობას დაუახლოვდა, ხოლო ფისკალური დეფიციტი აღემატება აღნიშნულ ზედა ზღვარს როგორც პანდემიის შემდეგ, ასევე 2009 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და აგვისტოს ომის შედეგად.

⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=4>


აღსანიშნავია, რომ 2004-2006 წლებში ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის პროფიციტს, რაც ძირითადად გაუმჯობესებული საგადასახადო ადმინისტრირებისა და განხორციელებული რეფორმების შედეგია.

გრაფიკი 4: ბიუჯეტის დეფიციტი, %-ულად GDP-სთან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გრაფიკი 5: მთავრობის ვალი, %-ულად GDP-სთან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

წყვეტილი ხაზებით აღნიშნულია მოცემული მაჩვენებლებისთვის დაწესებული ზედა ზღვარი, საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, რაც ბიუჯეტის დეფიციტისთვის 3, ხოლო მთავრობის ვალისთვის 60 პროცენტს შეადგენს.

სწორედ მსგავსი სახის ეკონომიკური სახის რეცესიისა თუ გარკვეული ტიპის ეკონომიკური შოკების დროს საჭირო ხდება ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება და მისი სხვადასხვა ალტერნატივის გამოყენების ანალიზი. ამ დროს მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, თუ ფისკალური პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტის გამოყენება იქნება ყველაზე ეფექტიანი ფისკალური კონსოლიდაციისას და ტარდება შესაძლო ალტერნატივების გამოყენების შესახებ ანალიზი. ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონიდან მომდინარე საქართველოს წინაშე გარკვეული სახის გამოწვევები არსებობს, რაც გულისხმობს, რომ გადასახადის გაზრდა (აქციზის გარდა) ნებადართულია მხოლოდ რეფერენდუმით. აღნიშნული ჩანაწერი საქართველოს ორგანულ კანონში ზღუდავს ფისკალური პოლიტიკის მოქნილობას, რაც ავტომატურად გულისხმობს, რომ მეტი აქცენტი სწორედ ხარჯების და არა საგადასახადო კომპონენტზე გაკეთდეს, ფისკალური პოლიტიკის განხორციელების დროს.

აღსანიშნავია, რომ ფისკალური პოლიტიკის და კონკრეტულად კი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას მისი ეფექტიანობის შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში უნდა განხორციელდეს, ვინაიდან შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში ადგილი ჰქონდეს ეკონომიკური ზრდის შემცირებას, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში სრულად რეალიზდეს მოსალოდნელი შედეგები და ეკონომიკური აქტივობის ზრდას ჰქონდეს ადგილი. შესაბამისად, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას ხშირად შეიძლება იყოს ცდუნება მოკლევადიანი სარგებლის მიღებისა, გრძელვადიან პერიოდში დადებითი წმინდა ეკონომიკური ეფექტის მისაღები ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება ასევე გარკვეულწილად გამოწვევას წარმოადგენს.

ფისკალური კონსოლიდაციის აუცილებლობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მნიშვნელოვანია ქვეყანამ შეინარჩუნოს ფისკალური სტაბილურობა და მდგრადობა, რაც მაღალი ბიუჯეტის დეფიციტითა და მაღალი მთავრობის ვალით ვერ განხორციელდება. ამასთან, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება არ უნდა აისახოს პირდაპირ მოსახლეობის

ცხოვრების დონის გაუარესებასა და ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან კლებაში. შესაბამისად, სწორად და დროულად განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაცია მნიშვნელოვანი და რთულად განსახორციელებელია. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საჭიროა რამდენიმე საკითხზე გამახვილდეს ყურადღება, ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებამდე:

- უნდა იქნეს გამოკვლეული ფისკალური პოლიტიკის არსებული მდგომარეობა (IMF, 2010). ამის მიზეზი ის არის, რომ ფისკალური პოლიტიკის ცვლილების გავლენა ეკონომიკაზე განსხვავებულია ეკონომიკური ვარდნისა და მაღალი ეკონომიკური აქტივობის პირობებში. ამასთან, გასათვალისწინებელია ასევე ქვეყნის საშუალოვადიანი ფისკალური სტრატეგია და მიმართულებები, მის წინაშე არსებული რისკები და სტრუქტურული საკითხები, რაც ქვეყნის გრძელვადიან მდგრადობაზე ახდენს გავლენას. აღნიშნულის გათვალისწინება ხელს შეუწყობს პოლიტიკის გამტარებლებს, ფისკალური კონსოლიდაცია ისე განახორციელონ, რომ ხელი არ შეუშალონ საშუალოვადიანი მიზნების მიღწევას და ფისკალური პოლიტიკა თანხვედრაში იყოს სხვა გამოწვევების საპასუხოდ გადადგმულ ნაბიჯებთან;
- საჭიროა ფისკალური მულტიპლიკატორების სწორად შეფასება, რაც საშუალებას მოგვცემს გავანალიზოთ, რა ზომის უნდა იყოს განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაცია როგორც გადასახადის ზრდის, ასევე - ხარჯების შემცირებისას;
- უნდა განისაზღვროს, რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ფისკალურ პოლიტიკასა და მონეტარულ პოლიტიკას შორის. მაგალითად, ყურადღებაა გასამახვილებელი რეცესიის ან გამოშვების უარყოფითი გეპის არსებობისას, როცა სხვა შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი სახეზე არის ინფლაციური ფაქტორები ან ინფლაციური მოლოდინები. გამომდინარე იქიდან, რომ ამ დროს მონეტარული პოლიტიკაც გამკაცრებულ პოლიტიკას გამოიყენებს, მკაცრი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა უარყოფითად იმოქმედებს და შეასუსტებს ქვეყნის ერთობლივ გამოშვებას;

- მნიშვნელოვანია ასევე უშუალოდ ფისკალური კონსოლიდაციის სტრატეგია შესაბამისად იყოს დაგეგმილი. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF, 2010) ანგარიშშია აღნიშნული, ამისთვის აუცილებელია საშუალოვადიანი პერიოდის ფისკალური მიზნის, მკაფიო გეგმისა და დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტების არსებობა, რაც უფრო გამჭვირვალე და რეალისტურს გახდის გაკეთებულ დაშვებებსა და პროგნოზებს.

სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფისკალურმა კონსოლიდაციამ შეიძლება გაზარდოს ეკონომიკის გამოშვება, თუნდაც დროის მოკლევადიან პერიოდში რეცესიის პირობებში. აღნიშნულის მიზეზს კი წარმოადგენს ეკონომიკური აღდგენის შესახებ მოლოდინების გაუმჯობესება. გარკვეული პირობების დაკმაყოფილებაში კი შეიძლება გავითვალისწინოთ მთავრობის მიმართ ნდობა და ხარჯების შემცირების შესაბამისი მოცულობა. გადასახადების გაზრდის შემთხვევაში ფისკალური კონსოლიდაცია შეიძლება უფრო ნაკლები იყოს.

ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების თავდაპირველ მიზანს ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირება წარმოადგენს, თუმცა, ამასთან ერთად, ფისკალური პოლიტიკის მიზანი ეკონომიკის გაუმჯობესებაა. შესაბამისად, მთავრობების მცდელობაც სწორედ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს კონსოლიდაციის განხორციელების დროს. ამ პროცესში ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ის კრიტერიუმები თუ ჩარჩო, რის მიხედვითაც განისაზღვრება, როდის შეიძლება ქვეყნის ფისკალური კონსოლიდაცია ექსპანსიურად, ანუ ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობად ჩაითვალოს. აღნიშნულთან დაკავშირებული საკითხები მიმოხილული აქვს Heimberger (2024) ნაშრომში, სადაც აღნიშნულია რამდენიმე გამოწვევა ექსპანსიურ ფისკალურ ცვლილებებთან დაკავშირებით:

- მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე ექსპანსიურ ფისკალურ კონსოლიდაციაზე საუბარი გულისხმობდა დიდი ზომის ცვლილებას ციკლურად შესწორებულ

ფისკალურ ბალანსში. თუმცა, 2019 წელს შეიცვალა და შესწორდა მეთოდოლოგია ბაიაზური დამოკიდებულების გამორიცხვის მიზნით;

- ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის პროცესი, როგორც ცალკე პოლიტიკა, არ უნდა იყოს აღებული. მნიშვნელოვანია ეკონომიკური და ინსტიტუციური მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი. ამასთან, ფისკალურთან ერთად მონეტარული პოლიტიკისა და გაცვლითი კურსის მერყეობების გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ფაქტორებიც ახდენენ გავლენას ეკონომიკურ აქტივობაზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს, რომ არ არსებობს/სიმწირეა ისეთი ლიტერატურებისა, სადაც გაანალიზებული იქნება ფისკალური კონსოლიდაციის სტრუქტურული (საშუალო და გრძელვადიანი) ეფექტები, რაც დაბალი მწარმოებლურობის, სუსტი სახელმწიფო ინფრასტრუქტურისა თუ განათლებასა და კვლევაში დაფინანსების პრობლემებით შეიძლება იყოს გამოწვეული;
- ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა გამოშვებასა და მოხმარებაზე განსხვავდება პერიოდების მიხედვით. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განვითარებული ქვეყნების ფისკალური კონსოლიდაციის ანალიზმა აჩვენა, რომ 5 წლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა კერძო მოხმარებისა და გამოშვების შემცირებას, რაც სრულდებოდა როგორც ხარჯვითი, ასევე საგადასახადო ინსტრუმენტების გამოყენებისას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება სხვადასხვა შედეგი მოგვცეს. მაგალითად, ფისკალური მულტიპლიკატორი უფრო მაღალია ეკონომიკური აქტივობის შენელებისა და რეცესიის დროს, ხოლო ეკონომიკური ბუმის პერიოდში ფისკალური მულტიპლიკატორების დონეც მცირდება. შესაბამისად, რეცესიის პროცესში განხორციელებულ ფისკალურ კონსოლიდაციას მეტად უარყოფითი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკაზე, ვიდრე მის პოტენციურ დონესთან ახლოს ყოფნის შემთხვევაში (Gechert&Rennenberg, 2018).

ამასთან, წარმატებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო მიზეზებად შემდეგი ფაქტორები შეიძლება დასახელდეს (IMF, 2010):

- კონსოლიდაციის განხორციელების დროს ადგილი ჰქონდა ხელსაყრელ საგარეო ეკონომიკურ მდგომარეობას, რამაც ფისკალური კონსოლიდაციის წარმატებას ხელი შეუწყო;
- ასევე, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკაც შეიძლება იყოს ფისკალური კონსოლიდაციის წარმატებული შედეგების მიზეზი. მაგალითად, ეს შეიძლება ფისკალურთან ერთად, მონეტარული პოლიტიკის განხორციელებით იყოს გამოწვეული, სადაც ასევე გაცვლითი კურსის პოლიტიკაც გაითვალისწინება;
- გარდა ამისა, უშუალოდ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებასთან ერთად შესაძლოა ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ტიპის სტრუქტურულ რეფორმასა თუ ცვლილებებს პოლიტიკაში, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა საბოლოო მიზნობრივ შედეგებზე. ეს შეიძლება იყოს ფისკალური წესების შემოღება ან საშუალოვადიანი სტრატეგიებისა და ჩარჩოს შემუშავება.

თავი II - ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია და მისი გავლენა ბიუჯეტის მაჩვენებლებზე

2.1 ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია საქართველოში

საქართველოსთვის ფისკალურ პოლიტიკასა და მის მაკროეკონომიკურ ეფექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევა ჯერ ისევ სიახლეა, რადგან ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემები მხოლოდ ბოლო ორ ათეულ წელზე

არის ხელმისაწვდომი. ამასთან, როგორც წინა თავში არსებულმა ანალიზმა აჩვენა, სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი სხვადასხვანაირად განიხილავს ფისკალური პოლიტიკის როლს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. ამას ემატება მსოფლიოში ხშირად არსებული გაურკვევლობები, ტურბულენტური გარემო პირობები და კრიზისები, რაც ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურების აუცილებლობას იწვევს. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა და კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნების ფისკალური მდგომარეობა და საჭირო გახდა ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება.

იქიდან გამომდინარე, რომ ფისკალური კონსოლიდაციის საჭიროება ხშირად დგას ქვეყნების დღის წესრიგში, რაც გულისხმობს ბიუჯეტის დეფიციტისა თუ ვალის შემცირებას, უნდა ვიფიქროთ კონსოლიდაციის ისეთ მიმართულებებზე, რაც არამხოლოდ დეფიციტს შეამცირებს, არამედ ასევე გაზრდის ეკონომიკურ ზრდას და გააუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყანაში.

კონსოლიდაციის ეფექტების სანახავად მნიშვნელოვანია განიმარტოს, რა იგულისხმება უშუალოდ ფისკალურ კონსოლიდაციაში, რათა შესაბამისი პერიოდების იდენტიფიცირება სწორად მოხდეს და შემდეგ უკვე გაანალიზდეს შესაბამისი შედეგები.

მიმდინარე ანალიზში ფისკალური კონსოლიდაციის განმარტებისთვის გამოვიყენებთ Alesina&Ardagna (2013)-ის განსაზღვრებას, რაც გულისხმობს, რომ ფისკალური კონსოლიდაციისას ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი¹⁰ 1 წელიწადში უნდა გაუმჯობესდეს მინიმუმ 2 პროცენტით მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში (2 პროცენტული პუნქტით - ავტ.შენიშვნა), ან ზედიზედ 2 წლის განმავლობაში უნდა გაუმჯობესდეს მინიმუმ 1.5 პროცენტით მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში (1.5 პროცენტული პუნქტით - ავტ.შენიშვნა), ორივე წელს.

ბიუჯეტის დეფიციტი მიმდინარე ნაშრომში წარმოდგენილი გვექნება ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით, რაც გულისხმობს ბიუჯეტის მთლიანი სალდოს გამოყენებას.

¹⁰ პირველად ბალანსში იგულისხმება მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა, საპროცენტო დანახარჯების გარეშე

ბიუჯეტის მთლიანი სალდო


= საოპერაციო სალდო – არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა

= (შემოსავლები – ხარჯები) – არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა

ხარჯებში ასეთ დროის მოიაზრება მიმდინარე ხარჯები, სადაც შედის შრომის ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების შეძენა, სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები და ა.შ, ხოლო არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდას კაპიტალურ ხარჯებად მოვიაზრებთ და შედის ინფრასტრუქტურულ და კაპიტალურ პროექტებზე გაწეული ხარჯები.

ფისკალური კონსოლიდაციის შემოთავაზებული კრიტერიუმი საქართველოში მხოლოდ რამდენიმე წელს გამოავლენს კონსოლიდაციის პერიოდად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ 2 პროცენტის ნაცვლად 1.5 პროცენტის გაუმჯობესება იქნება ნიშნული. შესაბამისად, ანალიზისთვის კონსოლიდაციის მცირე რაოდენობის (მიიღება 8 წელი) გასაზრდელად გამოვიყენებთ შემდეგ კრიტერიუმს: კონსოლიდაციად ჩაითვალოს ის წელი, როდესაც ფისკალური ბალანსის გაუმჯობესებას ექნება ადგილი (ამ შემთხვევაში მივიღებთ 15 წელს).

გრაფიკი 6: ფისკალური კონსოლიდაციის ინტენსივობა საქართველოში




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორის გამოთვლები

გრაფიკი აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებას GDP-ის 0-დან 1 პროცენტამდე. ამასთან, იყო ისეთი წლები, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტი და 1 წელიწადში შემცირებამ 3 პროცენტზე მაღალი მაჩვენებელი შეადგინა. მაგალითად, პანდემიის შემდგომ, 2021-2022 წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას 3-დან 4 პროცენტამდე, GDP-სთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო და ფისკალური პოლიტიკის მეტად დასტაბილურებას შეუწყო ხელი.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია როგორც ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსის, ასევე - ნაერთი ბიუჯეტის ბალანსის სახით წარმოდგენილი ფისკალური ბალანსი. აღნიშნულ მაჩვენებლებს მსგავსი ტენდენცია გააჩნიათ, ხოლო მათ შორის განსხვავებას ციკლური კომპონენტი წარმოადგენს.


გრაფიკი 7: ფისკალური ბალანსის ტენდენცია (%-ულად GDP-სთან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ავტორის გამოთვლები

რაც შეეხება ყველაზე მაღალი დონით დეფიციტის შემცირებას, აღნიშნულს ადგილი ჰქონდა 2004 წელს, რა დროსაც ბიუჯეტის ბალანსი დეფიციტიდან პროფიციტამდე შეიცვალა და შენარჩუნდა მომდევნო 3 წლის განმავლობაში, 2008 წლამდე, სანამ მსოფლიო ფინანსურ კრიზისსა და აგვისტოს ომს (რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრა) ექნებოდა ადგილი. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს ასეთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შემოსავლების ზრდით იყო განპირობებული, რაც ძირითადად საგადასახადო კუთხით 2003 წლის შემდგომ მიღებულ რეფორმებს უკავშირდება, რამაც გააუმჯობესა შემოსავლების ადმინისტრირება და შესაბამისად, გაზარდა მობილიზებული გადასახადები. გრაფიკი 8 სწორედ აღნიშნულ ტენდენციას აჩვენებს ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზებასთან დაკავშირებით.

გრაფიკი 8: ბიუჯეტის შემოსავლები (%-ულად GDP-სთან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ამასთან, ვინაიდან ჩვენი კვლევის საკითხს წარმოადგენს ფისკალური კონსოლიდაციის მაკროეკონომიკური ეფექტების ანალიზი, ჩვენი მიზანია კონსოლიდაციის შედეგად მიღებული გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზი. შესაბამისად, ფისკალური კონსოლიდაციისას მიღებული განსხვავებული შედეგები შესაძლოა წარმოვადგინოთ როგორც ექსპანსიური და არა-ექსპანსიური კონსოლიდაცია (Giudice&Turrini, 2003). აქედან კი ჩვენი ყურადღება მიმართულია ექსპანსიური კონსოლიდაციისკენ.

ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია თავის თავში მოიაზრებს, რომ გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკის შედეგად არამხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მოხდა, არამედ - გაუმჯობესებულია ეკონომიკური ზრდაც. შესაბამისად, რას გულისხმობს ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესება და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ფისკალური კონსოლიდაცია ექსპანსიურად, ამაზე იქნება მსჯელობა მიმდინარე ქვეთავში, სადაც ასევე განვსაზღვრავთ ფისკალური კონსოლიდაციის

კრიტერიუმებს და გავაანალიზებთ საქართველოში განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის პერიოდებს. აღნიშნულის შედეგად კი გამოვავლენთ, რომელ წლებში ჰქონდა ადგილი ექსპანსიურ ფისკალურ კონსოლიდაციას, არსებული მიდგომების გათვალისწინებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს რიგი ნაშრომები, სადაც საუბარია, თუ ფისკალური პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყანაში. ძირითადად უნდა ითქვას, რომ ხარჯების გამოყენებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაცია უფრო მიჩნეულია, რომ გააუმჯობესებს მოლოდინებს, გამოიწვევს კერძო სექტორის მეტად აქტიურობას და გაზრდის სტიმულებს, რაც ეკონომიკაზე პოზიტიურად შეიძლება აისახოს. ცხრილში წარმოდგენილია ზოგიერთი ნაშრომი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

ცხრილი 3: ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია

ნაშრომი	საანალიზო ქვეყნები და პერიოდი	გამოყენებული მეთოდოლოგია	ძირითადი შედეგები
Giudice and Turrini (2003)	ევროკავშირის 14 ქვეყანა, 1970 – 2002 წლები	QUEST მოდელი	ფისკალური კონსოლიდაციის პერიოდების დაახლოებით ნახევარი იწვევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და ექსპანსიურად ხასიათდება
Afonso (2006)	ევროკავშირის 15 ქვეყანა, 1970 – 2005 წლები	პანელური მონაცემების ანალიზი	ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია ძირითადად ფიქსირდება მთავრობის მოხმარების შემცირებისა და გადასახადების ზრდის ხარჯზე, თუმცა გასათვალისწინებელია ქვეყნის სპეციფიკაც
Afonso and Martins (2014)	ევროკავშირის 14 ქვეყანა, 1970 – 2012 წლები	პანელური მონაცემების ანალიზი	წარმატებულ ექსპანსიურ ფისკალურ კონსოლიდაციას ძირითადად ადგილი აქვს, როდესაც დანახარჯები მცირდება

Heimberger (2024)	21 განვითარებული ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირის 12 ქვეყანა, 1981 – 2019 წლები	დროითი მწკრივის ანალიზი	კონსოლიდაცია განვითარებულ ქვეყნებში ამცირებს ეკონომიკურ ზრდას და ძირითადად არ არის ექსპანსიური
----------------------	--	-------------------------------	--

წყარო: აგებულია ავტორის მიერ

2.1.1 ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის არსი და კრიტერიუმები

ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის განსაზღვრისთვის ნაშრომში გამოვიყენებთ Clements at al (2022) ნაშრომში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, რაც ეყრდნობა Alesina&Ardagna (1998)-ის მიერ შემოთავაზებულ „მკაცრი ეპიზოდის“ განსაზღვრებას და რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: იყოს მკაცრი ფისკალური პოლიტიკის წარმატებული პერიოდი და იყოს ექსპანსიური. Ardagna (2004) ნაშრომში შემოთავაზებულია ასევე დაკვირვება, რომ წარმატებული და ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია ვერ მოხდება, თუ მას თან ახლავს შერბილებული მონეტარული პოლიტიკა ან გაცვლითი კურსის გაუფასურება.

- მკაცრი ფისკალური პოლიტიკა წარმატებულად ითვლება, თუ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებიდან სამ წელიწადში ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი მანამდე არსებულ მნიშვნელობასთან შედარებით მინიმუმ GDP-ის 2 პროცენტით გაუმჯობესებული იქნება, ან ვალის GDP-სთან თანაფარდობა იქნება 5 პროცენტით ნაკლები;
- ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა ფისკალური კონსოლიდაციიდან 2 წლის შემდეგ განსხვავება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და G7 ქვეყნების საშუალო შეწონილ¹¹ ეკონომიკურ ზრდას შორის უფრო მაღალი იყოს, ვიდრე - კონსოლიდაციის დაწყებისას;
- წარმატებული მკაცრი ფისკალური პოლიტიკის კრიტერიუმად ავტორი ასევე ასახელებს შემდეგ მიდგომას: (1) 2 წლის განმავლობაში ციკლურად

¹¹ იგულისხმება GDP-ის წილების მიხედვით შეწონილი საშუალო ზრდა

შესწორებული პირველადი ბალანსი უნდა უმჯობესდებოდეს თითოეულ წელს და ჯამურად უნდა მივიღოთ აღნიშნული ბალანსის GDP-სთან 2 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესება მაინც. ან (2) 3 წლით ან მეტით ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი უნდა უმჯობესდებოდეს თითოეულ წელს და ჯამურად უნდა მივიღოთ აღნიშნული ბალანსის GDP-სთან 3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესება მაინც.


აღნიშნული კრიტერიუმებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია წარმატებული მკაცრი ფისკალური პოლიტიკის პირველი ორი განსაზღვრება, რასაც ასევე გამოვიყენებთ ჩვენი ანალიზისთვის. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის განმარტებისთვის G7 ქვეყნების ეკონომიკური ზრდის გამოყენება მეტად ლოგიკურია OECD ქვეყნებისთვის, რაც ავტორებს აქვთ გაანალიზებული თავიანთ ნაშრომში, მიზანშეწონილია, თუ საქართველოს შემთხვევაში გამოყენებული იქნება საქართველოს ეკონომიკასთან ახლოს მდგომი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა. ამიტომ, ჩვენს შემთხვევაში შედარება მოხდება საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების (15 ქვეყნის) საშუალო შეწონილ ეკონომიკურ ზრდაზე, სადაც ზრდა შეწონილი იქნება აღნიშნული ქვეყნების საქართველოს ექსპორტში წილების მიხედვით.¹² შერჩეული 15 ქვეყნის ჯამური წილი საქართველოს ექსპორტში საშუალოდ 80 პროცენტს შეადგენს, რაც მიუთითებს, რომ შერჩეული ქვეყნები ფარავენ ექსპორტის ძირითად ნაწილს და გამოდგება საანალიზოდ.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პირველი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას ადგილი ჰქონდა 1996-დან 2005 წლის ჩათვლით, 2009-2010 და 2020-2024 წლებში. აქედან ზოგიერთ წელს მოხდა ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსის გაუმჯობესება, მინიმუმ 2 პ.პ-ით, ზოგიერთ წელს კი მთავრობის ვალი შემცირდა მინიმუმ 5 პ.პ-ით. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, გაანალიზებული ეკონომიკური ზრდების შედეგად საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკურ ზრდას შემდეგი ტენდენცია

¹² აღნიშნულ ქვეყნებს მიეკუთვნება: აზერბაიჯანი, აშშ, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, თურქეთი, რუმინეთი, რუსეთი, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია და ჩინეთი

გააჩნია წლების მიხედვით: 1999-2001, 2004-2005, 2008-2010, 2015-2017 და 2019-2020 წლები.

გრაფიკი 9: საქართველოსა და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ეკონომიკური ზრდა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ავტორის გამოთვლები

როგორც გრაფიკზე ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკური ზრდა წლების მიხედვით ზოგჯერ აღემატება, ზოგჯერ კი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო ზრდაზე უფრო ნაკლებია. ჩვენ მხოლოდ იმ წლებს ვაკვირდებით ამ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ზრდა უფრო მაღალი იყო. ეს წლებია აღნიშნული ანალიზისთვის ჩატარებული თითოეული ეტაპი ახსნილია დანართ 1-ში.

წლების მიხედვით ეკონომიკური ზრდების შედარება წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რაც საშუალებას გვაძლევს, ყოველი წლისთვის გამოვთვალოთ ეკონომიკურ ზრდებს შორის სხვაობა ფისკალური პოლიტიკის განხორციელებამდე და 2 წლის შემდეგ, ამის შემდეგ კი ვნახოთ აღნიშნული სხვაობა გაიზარდა თუ არა კონსოლიდაციიდან 2 წლის შემდეგ.

ცხრილი 4: საქართველოსა და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ეკონომიკური ზრდები


წლები	საქართველოს ეკონომიკური ზრდა (%)	ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ეკონომიკური ზრდა (%)
1995	2.61	0.03
1996	10.5	1.18
1997	10.52	3.12
1998	3.1	0.64
1999	2.87	3.21
2000	1.84	6.81
2001	4.81	1.79
2002	5.47	5.93
2003	11.06	6.59
2004	5.86	7.95
2005	9.6	9.88
2006	9.38	11.21
2007	12.58	9.48
2008	2.61	4.53
2009	-3.74	-3.48
2010	6.2	4.44
2011	7.95	4.29
2012	6.58	3.08
2013	5.13	3.89
2014	4.09	2.41
2015	3.35	2.62
2016	3.45	2.18
2017	5.16	3.83
2018	6.06	3.32
2019	5.38	3.69
2020	-6.29	-2.46
2021	10.64	6.68
2022	10.96	2.79
2023	7.83	4.54
2024	9.4	4.34

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ავტორის გამოთვლები

2.1.2 ექსპანსიური კონსოლიდაციის განხორციელების პერიოდი საქართველოში

საქართველო წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას, რომლის ბიუჯეტის შემოსავლების GDP-სთან წილი 2020 წლისთვის 24.9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მიმდინარე ხარჯები 26.0 პროცენტზე დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით შემოსავლები შემცირებული, ხოლო ხარჯები - მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი, ძირითადად სოციალურ მომსახურებაზე და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების გამო. ხარჯების ასეთმა ზრდამ გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტის 9.2 პროცენტამდე გაზრდა, რაც დეფიციტის დასაშვებ მაქსიმალურ 3 პროცენტიან ნიშნულს მნიშვნელოვნად აღემატება და საჭირო ხდება ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება. 2021 წელს დეფიციტი 6.0 პროცენტამდე შემცირდა, რაც მიმდინარე ხარჯების შემცირებით იყო გამოწვეული (GDP-ის 24.3 პროცენტი), ნაკლები სოციალური და ჯანდაცვის ხარჯების საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა ამასთან ერთად შემცირდა კაპიტალური ხარჯები 0.9 პროცენტული პუნქტით. კონსოლიდაციის პროცესი 2022-2023 წლებშიც გაგრძელდა და საშუალოვადიან პერიოდშიც მოსალოდნელია მისი გაგრძელება, ამიტომ საინტერესო ხდება, თუ რა ინსტრუმენტით მოხდება კონსოლიდაცია და რა გავლენა ექნება ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

გრაფიკი 10: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები საქართველოსთვის, %-ულად GDP-სთან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც გრაფიკზე ჩანს, 1995 წლიდან დღემდე არის პერიოდები, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება და ამ პერიოდში ადგილი აქვს მიმდინარე ან კაპიტალური (ან ორივე ერთად) ხარჯების შემცირებას. მაგალითად, 2018 და 2022 წლებში¹³ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მიმდინარე ხარჯების შემცირების ხარჯზე განხორციელდა მაშინ, როდესაც 2012 და 2023 წლებში კაპიტალური ხარჯების შემცირება მოხდა დეფიციტის შესამცირებლად, 2002, 2010 და 2021 წელს კი ორივე ტიპის ხარჯები შემცირდა, რამაც ასევე შეამცირა ბიუჯეტის დეფიციტი. აქვე აღსანიშნავია, რომ გრაფიკზე დაკვირვებითაც შეიძლება ვთქვათ, რომ კონტრციკლურ ფისკალურ პოლიტიკას ჰქონდა ხშირად ადგილი, რაც გამოიხატება როგორც რეცესიის ან ეკონომიკური ზრდის შენელების დროს ხარჯების ზრდით, რაც ეკონომიკის დახმარებას გულისხმობს, ასევე - კრიზისების შემდეგ ხარჯების შემცირებითა და ბიუჯეტის დეფიციტის ზღვრულ ნორმაში დაბრუნებით. მაგალითად, როდესაც 2008 წლის ფინანსური კრიზისისა და კოვიდ-19 პანდემიის კრიზისების შემდეგ ეკონომიკამ დაიწყო გაუმჯობესება და ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად შემცირდა ბიუჯეტის დეფიციტი, აღნიშნული პერიოდი სწორედ კონტრციკლური ფისკალური პოლიტიკით შეიძლება დავახასიათოთ.

¹³ ასევე 1998, 2000, 2001, 2011, 2015 და 2017 წლებში

ცხრილი 5: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირება ფისკალური კონსოლიდაციისას

	ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება	მიმდინარე ხარჯების შემცირება	კაპიტალური ხარჯების შემცირება
1995			
1996			
1997			X
1998	X	X	
1999			X
2000	X	X	
2001	X	X	
2002	X	X	X
2003		X	
2004	X		
2005			
2006	X		
2007			
2008			X
2009			
2010	X	X	X
2011	X	X	
2012	X		X
2013			X
2014			X
2015	X	X	
2016			X
2017	X	X	
2018	X	X	
2019			
2020			
2021	X	X	X
2022	X	X	
2023	X		X
2024*			

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორის გამოთვლები

ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის შესახებ ანალიზი ჩატარებულია მიქელაძე (2025) ნაშრომში. ექსპანსიური კონსოლიდაციის პერიოდის სანახავად გავყვეთ „მკაცრი ეპიზოდის“ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს და ვნახოთ, რომელი წლები აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს საქართველოსთვის:

- წარმატებული მკაცრი ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში, კონსოლიდაციიდან 3 წლის შემდეგ ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი 2 პროცენტული პუნქტით მაღალი უნდა იყოს ან ვალი უნდა იყოს 5 პროცენტული პუნქტით დაბალი. აღნიშნული პერიოდების შეფასებისას გვხვდება ისეთი წლებიც, როდესაც 2 წელი ზედიზედ ადგილი აქვს

კონსოლიდაციას და შესაბამისად, პოლიტიკის განხორციელებიდან 3 წლის შემდეგ მიღებული შედეგი ასევე გამომდინარეობს მეორე წლის კონსოლიდაციით. მაგალითად, 2000 და 2001 წლების შემთხვევაში, როდესაც 2001 წლის კონსოლიდაციის ეფექტი გათვალისწინებული იქნება როგორც 2003 წელს (2000 წლიდან 3 წლის შემდეგ), ასევე 2004 წელს (2001 წლიდან 3 წლის შემდეგ);

- ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის შემთხვევაში, საქართველოსა და მისი ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო შეწონილ ზრდას შორის განსხვავება კონსოლიდაციიდან 2 წლის შემდეგ უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე - კონსოლიდაციის დაწყებიდან. აღნიშნულ კრიტერიუმში დაკმაყოფილებულია რამდენიმე წლისთვის, რაც ასევე ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში¹⁴.

ზემოთ ჩამოთვლილი ორივე კრიტერიუმის შესაბამისი წლები შემდეგ სურათს გვიჩვენებს, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ შემოთავაზებული კრიტერიუმების მიხედვით უნდა დავაკვირდეთ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებიდან შემდგომ 2-3 წელში არსებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რაც არ გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, ბოლო წლები მიეკუთვნება თუ არა ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის წლებს:

¹⁴ ცხრილში ორივე კრიტერიუმისთვის ვაჩვენებთ ყველა წელს, როცა კრიტერიუმით აღწერილი მაჩვენებლები უმჯობესდება. ხოლო პირველ სვეტში ნაჩვენებია ის წლები, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, ანუ ფისკალურ კონსოლიდაციას ჰქონდა ადგილი

ცხრილი 6: „მკაცრი ეპიზოდის“ წლები საქართველოსთვის

	ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება	წარმატებული მკაცრი ფისკალური პოლიტიკა	ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაცია
1995			
1996		X	
1997		X	
1998	X	X	
1999		X	X
2000	X	X	X
2001	X	X	X
2002	X	X	
2003		X	
2004	X	X	X
2005		X	X
2006	X		
2007			
2008			X
2009		X	X
2010	X	X	X
2011	X		
2012	X		
2013			
2014			
2015	X		X
2016			X
2017	X		X
2018	X		
2019			X
2020		X	X
2021	X	X	
2022	X	X	
2023	X	X	
2024*		X	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ავტორის გამოთვლები

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთ წელს ფიქსირდება წარმატებული მკაცრი ფისკალური პოლიტიკა, რაც ციკლურად შესწორებული პირველადი სალდოს გაუმჯობესებას გულისხმობს, ხოლო ზოგიერთ წელს კი ფისკალური კონსოლიდაცია ექსპანსიურად შეგვიძლია დავახასიათოთ, რაც საქართველოსა და მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის განსხვავების ცვლილებით გამოითვლება. შედეგად, ვიღებთ „მკაცრი ეპიზოდის“ რამდენიმე წელს: 2000, 2001, 2004 და 2010. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ აღნიშნული გამოთვლები გაკეთებულია სხვადასხვა დაშვების საფუძველზე და ავტორის გაანგარიშებაზე, რის ცვლილებამაც შესაძლოა შეცვალოს მოცემული კრიტერიუმებით მიღებული წლები

წარმატებულ მკაცრ ფისკალურ პოლიტიკასთან და ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი გამოთვლილია, როგორც ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსის პოტენციურ მთლიან სამამულო პროდუქტთან თანაფარდობა. ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსისთვის გამოყენებულია შემდეგი ფორმულა:

$$\begin{aligned} & \text{ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი} \\ &= \text{ციკლურად შესწორებული მთლიანი შემოსავალი} \\ &- \text{ციკლურად შესწორებული მთლიანი დანახარჯები} \\ &+ \text{საპროცენტო ხარჯები} \end{aligned}$$

სადაც, ციკლურად შესწორებული მთლიანი შემოსავლები და დანახარჯები გამოითვლება, როგორც:

$$\begin{aligned} & \text{ციკლურად შესწორებული მთლიანი შემოსავალი} \\ &= \text{მთლიანი შემოსავალი} \\ & * \frac{\text{ნომინალური მთლიანი სამამულო პროდუქტი}}{\text{პოტენციური მთლიანი სამამულო პროდუქტი}} \end{aligned} \quad \begin{array}{l} \text{შემოსავლების ცვლილების ელასტიკურობა} \\ \text{გამოშვების გეპის მიმართ} \end{array}$$

$$\begin{aligned} & \text{ციკლურად შესწორებული მთლიანი დანახარჯები} \\ &= \text{მთლიანი დანახარჯები} \\ & * \frac{\text{ნომინალური მთლიანი სამამულო პროდუქტი}}{\text{პოტენციური მთლიანი სამამულო პროდუქტი}} \end{aligned} \quad \begin{array}{l} \text{დანახარჯების ცვლილების ელასტიკურობა} \\ \text{გამოშვების გეპის მიმართ} \end{array}$$

აღსანიშნავია, რომ ელასტიკურობასთან დაკავშირებით არსებული გამარტივებული დაშვებით შემოსავლების ელასტიკურობად მიჩნეულია 1, ხოლო ხარჯების ელასტიკურობა გამოშვების გეპის მიმართ - 0, რაც აჩვენებს, შემოსავლები ზუსტად მთლიანი სამამულო პროდუქტის გეპის შესაბამისად იცვლება, ხოლო ხარჯები არ იცვლება და არ რეაგირებს გამოშვების გეპზე, რაც ავტომატური სტაბილიზატორების არსებობას გამორიცხავს. ეს დაშვება რეალობას ბოლომდე არ შეესაბამება, რადგან ეკონომიკური რყევების დროს ფისკალური პოლიტიკა დანახარჯების ცვლილებასაც

ახორციელებს, ამიტომ საქართველოს მონაცემების მიხედვით გადაწყვეტიტე გამოგვეთვალა აღნიშნული ელასტიკურობები. ამასთან, ელასტიკურობის შესახებ აღნიშნული დაშვებები, ცხადია, არ არის სავალდებულო ყველა ქვეყნისთვის იყოს 1 და 0 და შესაძლოა განსხვავებული მაჩვენებლები მივიღოთ გამოანგარიშების შედეგად.

ელასტიკურობის გამოსათვლელად შემდეგი ეტაპებია გამოყენებული:

შემოსავლებისა და დანახარჯების ელასტიკურობების გამოსათვლელად გამოვიყენებთ როგორც კვარტალურ, ასევე - წლიურ მაჩვენებლებს და შევადარებთ ერთმანეთს. გამომდინარე იქიდან, რომ ხელმისაწვდომი მონაცემები 2006 წლიდან 2024 წლის ჩათვლით გვაქვს, მონაცემთა მცირე მოცულობიდან გამომდინარე უმჯობესია კვარტალური მონაცემები თუ გვექნება. შედარება კი შედეგების თანმიმდევრულობის შემოწმებაში დაგვეხმარება.

შემოსავლების ცვლილების ელასტიკურობა გამოშვების გეპის მიმართ

$$\text{ელასტიკურობა } \eta_R = \frac{\text{შემოსავლების პროცენტული ცვლილება}}{\text{გამოშვების გეპის პროცენტული ცვლილება}}$$

დანახარჯების ცვლილების ელასტიკურობა გამოშვების გეპის მიმართ

$$\text{ელასტიკურობა } \eta_G = \frac{\text{დანახარჯების პროცენტული ცვლილება}}{\text{გამოშვების გეპის პროცენტული ცვლილება}}$$

რეგრესიისთვის თითოეული მონაცემი შეგვიძლია შემდეგნაირად გარდავქმნათ რომ წარმოვადგინოთ ლოგარითმებში და ისე ვნახოთ განტოლების სახით, სადაც ჩანს, რომ შემოსავლების ან დანახარჯების ლოგარითმი დამოკიდებულია მთლიანი სამამულო პროდუქტის გეპის ლოგარითმისა და ელასტიკურობის (რაც განტოლებაში იქნება ცვლადის შესაბამისი კოეფიციენტი) ნამრავლზე, თავისუფალ წევრსა და ნარჩენობით წევრზე.

$$LN(rev_t) = \alpha + \eta_{rev}LNy_{gap_t} + \varepsilon_t$$

$$LN(exp_t) = \alpha + \eta_{exp}LNy_{gap_t} + \varepsilon_t$$

სადაც α არის თავისუფალი წევრი, ხოლო ε_t ნარჩენობითი წევრია. rev_t აღნიშნავს დროის t პერიოდში ბიუჯეტის შემოსავლების რეალურ მაჩვენებელს, ხოლო exp_t დროის t პერიოდში სახელმწიფო ხარჯების რეალურ მაჩვენებელს აღნიშნავს. y_{gap_t} GDP-ის გეპ-ს აჩვენებს, რომელიც გამოთვლილია, როგორც რეალური GDP-ის პროცენტული გადახრა პოტენციური GDP-სგან.

$$y_{gap_t} = \left(\frac{y_{real_t}}{y_{pot_t}} - 1 \right) * 100$$

რაც შეეხება პოტენციური GDP-ის გამოთვლას, ამისთვის ანალიზისას გამოვიყენეთ ჰოდრიკ-პრესკოტის HP (Hodrick-Prescott) ფილტრი. წლიური მონაცემებისთვის ლამბდა (λ) აღებული გვაქვს 100-ის ტოლად, ხოლო კვარტალური მონაცემებისთვის $\lambda = 1600$ ¹⁵.

პირველ რიგში, არსებული მონაცემები ნომინალურიდან რეალურ მაჩვენებლებზე გადავიყვანეთ, რისთვისაც დეფლირებისთვის გამოვიყენეთ სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ამის შემდეგ კი რეგრესიის აგების შედეგად ვნახეთ მიღებული კოეფიციენტები, რაც გვიჩვენებს, რამდენად მაღალია შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილება (ელასტიკურობა), როდესაც GDP-ის გეპი იცვლება.

მიღებული ელასტიკურობები თუ 1-ზე ნაკლებია, შემოსავლებისა და ხარჯების ნაკლებ ცვლილებას გულისხმობს, ანუ შემოსავლები პროპორციულად უფრო ნაკლებად იცვლება ან მთავრობა უფრო ნაკლებს ხარჯავს, ხოლო 1-ზე მეტი ელასტიკურობა მაღალ ცვლილებაზე მეტყველებს, რასაც მაგალითად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პროგრესიული საგადასახადო სისტემის დროს. ხარჯების ელასტიკურობა როდესაც 1-ზე მაღალია, ეს ფისკალური პოლიტიკის პროციკლურობაზე შეიძლება მიუთითებდეს (მაღალი ეკონომიკური აქტივობის დროს მთავრობა ზრდის დანახარჯებს).

კვარტალური მონაცემების გამოყენებისას პირველ რიგში მონაცემები შევამოწმეთ სეზონურობაზე და მისი არსებობის დროს მონაცემები სეზონურად შესწორებულ

¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ ლამბდას აღნიშნული რიცხვები განსაკუთრებით ვალიდურია აშშ-სთვის, ჩვენც იგივე რიცხვებს ვიყენებთ, პრაქტიკაში არსებული და ფართოდ გავრცელებული უკეთესი ალტერნატივის არარსებობიდან გამომდინარე.

დონეებზე გადავიყვანეთ. ამის შემდეგ, ყველა ეტაპი წლიური მონაცემების ანალიზის მსგავსად ჩავატარეთ.

ანალიზის დროს მონაცემთა დროითი მწკრივები უნდა შევამოწმოთ სტაციონალურობაზე, რამდენად გააჩნიათ დროითი ტრენდი. ამისთვის გამოვიყენებთ unit root-ზე და ვიყენებთ როგორც Augmented Dickey-Fuller (ADF), ასევე - Phillips Perron ტესტს. არასტაციონალურობის შემთხვევაში, მონაცემები პირველი რიგის ცვლილებით უნდა წარმოვადგინოთ, რათა ეს პრობლემა აღმოიფხვრას.

ორივე ტესტით შემოწმების შედეგად სტაციონალურობა არ დასტურდება არც შემოსავლების და არც დანახარჯების შემთხვევაში. Augmented Dickey-Fuller ტესტის ჩატარებისას აღებული გვაქვს Schwarz info criterion.

როგორც მიღებული შედეგები აჩვენებს, შემოსავლებისა და ხარჯების დროითი მწკრივი სტაციონალურია პირველი რიგის სხვაობაზე $I(1)$, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტის გეპი დონეებში უკვე სტაციონალური აღმოჩნდა $I(0)$.

გალოგარითმებული მაჩვენებლებიც არასტაციონალურია დონეებზე და სტაციონალურია პირველი რიგის სხვაობის დროს შემოსავლებისა და ხარჯების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ვიღებთ ლოგარითმების სხვაობას როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების შემთხვევაში.

$$dlog(rev) = log(rev) - log(rev(-1))$$

$dlog(exp) = log(exp) - log(exp(-1))$, სადაც rev და exp (კვარტალური მაჩვენებლების შემთხვევაში - სეზონურად შესწორებულ) რეალურ მაჩვენებლებს გვიჩვენებს.

მას შემდეგ, რაც გავასტაციონალურეთ დროითი მწკრივები, შეგვიძლია რეგრესია ავაგოთ, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$dlog(rev) c y_{gap}$ და $dlog(exp) c y_{gap}$, შემოსავლებისა და ხარჯებისთვის, შესაბამისად.

ცხრილი 7: აგებული რეგრესიები შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის

Dependent Variable: DLOG_REV				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 00:28				
Sample (adjusted): 2006Q2 2024Q4				
Included observations: 75 after adjustments				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.020285	0.007693	2.636797	0.0102
Y_GAP	0.003545	0.002085	1.700238	0.0933
R-squared	0.038092	Mean dependent var		0.020444
Adjusted R-squared	0.024915	S.D. dependent var		0.067464
S.E. of regression	0.066619	Akaike info criterion		-2.553359
Sum squared resid	0.323978	Schwarz criterion		-2.491559
Log likelihood	97.75096	Hannan-Quinn criter.		-2.528683
F-statistic	2.890811	Durbin-Watson stat		2.538948
Prob(F-statistic)	0.093343			
Dependent Variable: DLOG_EXP				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 00:30				
Sample (adjusted): 2006Q2 2024Q4				
Included observations: 75 after adjustments				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.016839	0.010808	1.558034	0.1236
Y_GAP	0.004503	0.002929	1.537335	0.1285
R-squared	0.031360	Mean dependent var		0.017041
Adjusted R-squared	0.018091	S.D. dependent var		0.094450
S.E. of regression	0.093592	Akaike info criterion		-1.873448
Sum squared resid	0.639435	Schwarz criterion		-1.811648
Log likelihood	72.25429	Hannan-Quinn criter.		-1.848772
F-statistic	2.363399	Durbin-Watson stat		2.735112
Prob(F-statistic)	0.128535			

ასევე გამოწმებთ სერიულ ავტოკორელაციაზე. რეზიდუალების ავტოკორელაციის შესამოწმებლად გამოვიყენებთ როგორც Durbin-Watson-ის ტესტს, რაც 2-ის ფარგლებში უნდა იყოს, რომ ავტოკორელაციის არსებობა უარვყოთ, ასევე Breusch-Godfrey LM ტესტს გამოვიყენებთ, სადაც მიღებული P-value 0.5-ზე მეტი უნდა იყოს, რომ ასევე უარვყოთ ავტოკორელაცია.

ცხრილი 8: ავტოკორელაციის LM ტესტი

Breusch-Godfrey Serial Correlation LM Test:				
Null hypothesis: No serial correlation at up to 2 lags				
F-statistic	4.184516	Prob. F(2,71)	0.0191	
Obs*R-squared	7.908342	Prob. Chi-Square(2)	0.0192	
Test Equation:				
Dependent Variable: RESID				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 00:42				
Sample: 2006Q2 2024Q4				
Included observations: 75				
Presample missing value lagged residuals set to zero.				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.000121	0.007379	0.016443	0.9869
Y_GAP	0.000176	0.002031	0.086585	0.9312
RESID(-1)	-0.339360	0.118877	-2.854708	0.0056
RESID(-2)	-0.059622	0.120862	-0.493308	0.6233
R-squared	0.105445	Mean dependent var	5.69E-18	
Adjusted R-squared	0.067646	S.D. dependent var	0.066167	
S.E. of regression	0.063890	Akaike info criterion	-2.611454	
Sum squared resid	0.289816	Schwarz criterion	-2.487855	
Log likelihood	101.9295	Hannan-Quinn criter.	-2.562102	
F-statistic	2.789678	Durbin-Watson stat	1.848068	
Prob(F-statistic)	0.046714			

Breusch-Godfrey Serial Correlation LM Test:				
Null hypothesis: No serial correlation at up to 2 lags				
F-statistic	5.910484	Prob. F(2,71)	0.0042	
Obs*R-squared	10.70469	Prob. Chi-Square(2)	0.0047	
Test Equation:				
Dependent Variable: RESID				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 00:43				
Sample: 2006Q2 2024Q4				
Included observations: 75				
Presample missing value lagged residuals set to zero.				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	5.01E-05	0.010147	0.004935	0.9961
Y_GAP	-0.000717	0.002759	-0.259931	0.7957
RESID(-1)	-0.378820	0.119009	-3.183111	0.0022
RESID(-2)	0.000170	0.118676	0.001433	0.9989
R-squared	0.142729	Mean dependent var	6.20E-18	
Adjusted R-squared	0.106506	S.D. dependent var	0.092957	
S.E. of regression	0.087867	Akaike info criterion	-1.974116	
Sum squared resid	0.548169	Schwarz criterion	-1.850516	
Log likelihood	78.02934	Hannan-Quinn criter.	-1.924764	
F-statistic	3.940323	Durbin-Watson stat	1.986187	
Prob(F-statistic)	0.011674			

ორივე რეგრესიის შემთხვევაში P-value 0.5-ზე ნაკლებია, რაც სერიულ ავტოკორელაციას ადასტურებს. ავტოკორელაცია გვიჩვენებს ნარჩენობითი რეზიდუალების კორელაციას. შესაბამისად, მისი არსებობის შემთხვევაში პრობლემის მოგვარების რამდენიმე ვარიანტია: შეგვიძლია გამოვიყენოთ Newey-West HAC სტანდარტული გადახრები, რაც საშუალებას გვაძლევს მოდელი არ შევცვალოთ. ასევე შესაძლებელია, მოდელი შევცვალოთ და დავამატოთ პირველი რიგის სხვაობა, რაც სერიულ ავტოკორელაციას აღმოფხვრის, ან ჩავრთოთ ავტორეგრესიული ნაწილი AR(1), რეზიდუალების დიაგნოსტიკის შემოწმების შემდეგ.

ცხრილი 9: მოდელი პირველი რიგის სხვაობით

F-statistic	1.642972	Prob. F(2,69)	0.2009	
Obs*R-squared	3.363860	Prob. Chi-Square(2)	0.1860	
Test Equation:				
Dependent Variable: RESID				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 00:55				
Sample: 2006Q3 2024Q4				
Included observations: 74				
Presample missing value lagged residuals set to zero.				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	-0.008575	0.008647	-0.991654	0.3248
Y_GAP	-0.001122	0.002085	-0.538204	0.5922
DLOG_REV(-1)	0.424716	0.261181	1.626136	0.1085
RESID(-1)	-0.499907	0.275886	-1.812008	0.0743
RESID(-2)	0.147940	0.159831	0.925602	0.3579
R-squared	0.045458	Mean dependent var	-2.95E-18	
Adjusted R-squared	-0.009878	S.D. dependent var	0.058489	
S.E. of regression	0.058777	Akaike info criterion	-2.764954	
Sum squared resid	0.238377	Schwarz criterion	-2.609274	
Log likelihood	107.3033	Hannan-Quinn criter.	-2.702852	
F-statistic	0.821486	Durbin-Watson stat	1.970006	
Prob(F-statistic)	0.515916			

ცხრილი 10: ავტოკორელაციის LM ტესტი

Breusch-Godfrey Serial Correlation LM Test:				
Null hypothesis: No serial correlation at up to 2 lags				
F-statistic	0.276329	Prob. F(2,69)	0.7594	
Obs*R-squared	0.587997	Prob. Chi-Square(2)	0.7453	
Test Equation:				
Dependent Variable: RESID				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 00:56				
Sample: 2006Q3 2024Q4				
Included observations: 74				
Presample missing value lagged residuals set to zero.				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.004838	0.012711	0.380579	0.7047
Y_GAP	0.000982	0.003115	0.315400	0.7534
DLOG_EXP(-1)	-0.291082	0.459482	-0.633501	0.5285
RESID(-1)	0.294755	0.479081	0.615251	0.5404
RESID(-2)	-0.166275	0.223703	-0.743284	0.4598
R-squared	0.007946	Mean dependent var	-2.25E-18	
Adjusted R-squared	-0.049564	S.D. dependent var	0.085144	
S.E. of regression	0.087228	Akaike info criterion	-1.975396	
Sum squared resid	0.525008	Schwarz criterion	-1.819715	
Log likelihood	78.08964	Hannan-Quinn criter.	-1.913293	
F-statistic	0.138165	Durbin-Watson stat	2.024277	
Prob(F-statistic)	0.967575			

პირველი რიგის სხვაობის ჩამატებით რეგრესიაში, ალბათობები 0.05-ზე მაღალი გახდა, რამაც სერიული ავტოკორელაცია აღმოფხვრა. ამის შემდეგ ჩავატარეთ რეზიდუალების დიაგნოსტიკა და ვაჩვენოთ კორელოგრამა:

ცხრილი 11: რეზიდუალების დიაგნოსტიკა კორელოგრამით

Date: 03/23/25 Time: 01:20		Sample (adjusted): 2006Q2 2024Q4		Included observations: 75 after adjustments		
Autocorrelation	Partial Correlation	AC	PAC	Q-Stat	Prob	
		1	-0.320	-0.320	7.9815	0.005
		2	0.052	-0.056	8.1931	0.017
		3	0.244	0.273	12.986	0.005
		4	-0.241	-0.092	17.698	0.001
		5	0.121	-0.002	18.910	0.002
		6	0.083	0.089	19.488	0.003
		7	-0.190	-0.082	22.557	0.002
		8	0.056	-0.104	22.831	0.004
		9	0.045	0.041	23.012	0.006
		10	-0.236	-0.155	27.954	0.002
		11	0.198	0.054	31.503	0.001
		12	-0.263	-0.232	37.857	0.000

Date: 03/23/25 Time: 01:22
 Sample (adjusted): 2006Q2 2024Q4
 Included observations: 75 after adjustments

Autocorrelation	Partial Correlation	AC	PAC	Q-Stat	Prob
		1 -0.377	-0.377	11.075	0.001
		2 0.143	0.001	12.688	0.002
		3 -0.138	-0.098	14.218	0.003
		4 -0.115	-0.234	15.292	0.004
		5 0.104	-0.012	16.179	0.006
		6 -0.036	0.006	16.284	0.012
		7 0.033	-0.034	16.378	0.022
		8 -0.076	-0.107	16.878	0.031
		9 0.108	0.083	17.905	0.036
		10 -0.095	-0.032	18.701	0.044
		11 0.107	0.035	19.735	0.049
		12 -0.114	-0.064	20.920	0.052

შესაბამისად, რეგრესიაში ჩავამატებთ ავტორეგრესიულ ნაწილს AR(1), რის შედეგადაც ვიღებთ შემდეგს:

ცხრილი 12: რეგრესია ავტორეგრესიული ნაწილით

Dependent Variable: DLOG_REV				
Method: ARMA Maximum Likelihood (OPG - BHHH)				
Date: 03/23/25 Time: 01:24				
Sample: 2006Q2 2024Q4				
Included observations: 75				
Convergence achieved after 10 iterations				
Coefficient covariance computed using outer product of gradients				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.019750	0.005904	3.344992	0.0013
Y_GAP	0.002900	0.001383	2.096584	0.0396
AR(1)	-0.355102	0.102876	-3.451758	0.0009
SIGMASQ	0.003819	0.000494	7.727821	0.0000
R-squared	0.149587	Mean dependent var		0.020444
Adjusted R-squared	0.113654	S.D. dependent var		0.067464
S.E. of regression	0.063515	Akaike info criterion		-2.621426
Sum squared resid	0.286425	Schwarz criterion		-2.497826
Log likelihood	102.3035	Hannan-Quinn criter.		-2.572074
F-statistic	4.162962	Durbin-Watson stat		1.896175
Prob(F-statistic)	0.008954			
Inverted AR Roots	-0.36			

Dependent Variable: DLOG_EXP				
Method: ARMA Maximum Likelihood (OPG - BHHH)				
Date: 03/23/25 Time: 01:24				
Sample: 2006Q2 2024Q4				
Included observations: 75				
Convergence achieved after 57 iterations				
Coefficient covariance computed using outer product of gradients				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.016506	0.009271	1.780351	0.0793
Y_GAP	0.003421	0.001941	1.762598	0.0823
AR(1)	-0.384435	0.063389	-6.064697	0.0000
SIGMASQ	0.007267	0.000854	8.507662	0.0000
R-squared	0.174353	Mean dependent var		0.017041
Adjusted R-squared	0.139467	S.D. dependent var		0.094450
S.E. of regression	0.087616	Akaike info criterion		-1.977708
Sum squared resid	0.545040	Schwarz criterion		-1.854109
Log likelihood	78.16405	Hannan-Quinn criter.		-1.928356
F-statistic	4.997733	Durbin-Watson stat		1.984972
Prob(F-statistic)	0.003349			
Inverted AR Roots	-.38			

შედეგად მივიღეთ, რომ GDP-ის გეგმის 1 პროცენტული პუნქტით გაზრდის შემთხვევაში შემოსავლების პროცენტული ცვლილება 0.29-ს შეადგენს, ხოლო ხარჯების ცვლილება 0.3421%-ს შეადგენს.

მიჩნეულია, რომ როდესაც შემოსავლების ელასტიკურობა დანახარჯების ელასტიკურობაზე მაღალია, ფისკალური პოლიტიკა შეიძლება იყოს კონტრაციული (Jalles et al., 2023), თუმცა შესაძლოა აღნიშნული შედეგი ავტომატური სტაბილიზატორების არსებობიდან გამომდინარეობდეს და არა მთავრობის დისკრეციული პოლიტიკიდან. ვინაიდან საქართველოში პროგრესიულ დაბეგვრას არ აქვს ადგილი და გადასახადების ზრდასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეზღუდვები, გასაკვირი არ არის მიღებული შედეგები ელასტიკურობებთან დაკავშირებით.

იგივე ეტაპები ჩავატარეთ წლიური მაჩვენებლების შემთხვევაში, სადაც მონაცემები არასტაციონალურია შემოსავლებისა და ხარჯების შემთხვევაში. გასტაციონალურების შედეგად ვიღებთ გალოგარითმებულ პირველი რიგის სხვაობას. რეზიდუალების დიაგნოსტიკის შედეგად სერიული ავტოკორელაცია არ დადასტურდა (ალბათობები აღემატება 0.05-ს).

ცხრილი 13: ავტოკორელაციის LM ტესტი

Breusch-Godfrey Serial Correlation LM Test:				
Null hypothesis: No serial correlation at up to 2 lags				
F-statistic	1.044141	Prob. F(2,18)	0.3724	
Obs*R-squared	2.287016	Prob. Chi-Square(2)	0.3187	
Test Equation:				
Dependent Variable: RESID				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 01:55				
Sample: 2003 2024				
Included observations: 22				
Presample missing value lagged residuals set to zero.				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.000215	0.023721	0.009073	0.9929
Y_GAP	-0.003910	0.006879	-0.568378	0.5768
RESID(-1)	0.274014	0.238184	1.150429	0.2650
RESID(-2)	0.157313	0.243914	0.644954	0.5271
R-squared	0.103955	Mean dependent var	3.31E-18	
Adjusted R-squared	-0.045386	S.D. dependent var	0.108764	
S.E. of regression	0.111205	Akaike info criterion	-1.391916	
Sum squared resid	0.222598	Schwarz criterion	-1.193545	
Log likelihood	19.31108	Hannan-Quinn criter.	-1.345186	
F-statistic	0.696094	Durbin-Watson stat	2.064126	
Prob(F-statistic)	0.566427			

Breusch-Godfrey Serial Correlation LM Test:				
Null hypothesis: No serial correlation at up to 2 lags				
F-statistic	0.623373	Prob. F(2,18)	0.5473	
Obs*R-squared	1.425094	Prob. Chi-Square(2)	0.4904	
Test Equation:				
Dependent Variable: RESID				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 01:55				
Sample: 2003 2024				
Included observations: 22				
Presample missing value lagged residuals set to zero.				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	-9.25E-05	0.020243	-0.004571	0.9964
Y_GAP	-0.001909	0.006103	-0.312850	0.7580
RESID(-1)	0.269547	0.242436	1.111827	0.2808
RESID(-2)	-0.007329	0.256220	-0.028603	0.9775
R-squared	0.064777	Mean dependent var	8.83E-18	
Adjusted R-squared	-0.091094	S.D. dependent var	0.090844	
S.E. of regression	0.094892	Akaike info criterion	-1.709194	
Sum squared resid	0.162080	Schwarz criterion	-1.510823	
Log likelihood	22.80114	Hannan-Quinn criter.	-1.662464	
F-statistic	0.415582	Durbin-Watson stat	2.035531	
Prob(F-statistic)	0.743903			

საბოლოო შედეგები შემდგენიარად გამოიყურება:
ცხრილი 14: რეგრესიების საბოლოო შედეგები

Dependent Variable: DLOG_REV				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 02:01				
Sample (adjusted): 2003 2024				
Included observations: 22 after adjustments				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.089658	0.023772	3.771515	0.0012
Y_GAP	0.008810	0.006257	1.408031	0.1745
R-squared	0.090188	Mean dependent var		0.090683
Adjusted R-squared	0.044697	S.D. dependent var		0.114028
S.E. of regression	0.111450	Akaike info criterion		-1.463969
Sum squared resid	0.248423	Schwarz criterion		-1.364784
Log likelihood	18.10366	Hannan-Quinn criter.		-1.440604
F-statistic	1.982552	Durbin-Watson stat		1.446025
Prob(F-statistic)	0.174477			

Dependent Variable: DLOG_EXP				
Method: Least Squares				
Date: 03/23/25 Time: 02:01				
Sample (adjusted): 2003 2024				
Included observations: 22 after adjustments				
Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	0.094390	0.019856	4.753810	0.0001
Y_GAP	0.012660	0.005226	2.422615	0.0250
R-squared	0.226876	Mean dependent var		0.095863
Adjusted R-squared	0.188219	S.D. dependent var		0.103317
S.E. of regression	0.093088	Akaike info criterion		-1.824042
Sum squared resid	0.173306	Schwarz criterion		-1.724856
Log likelihood	22.06446	Hannan-Quinn criter.		-1.800677
F-statistic	5.869062	Durbin-Watson stat		1.498487
Prob(F-statistic)	0.025027			

შედეგად მივიღეთ, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტის გეპის 1 პროცენტული პუნქტით გაზრდის შემთხვევაში შემოსავლების პროცენტული ცვლილება 0.8810-ს შეადგენს, ხოლო ხარჯების ცვლილება 1.266%-ს შეადგენს.

როგორც მიღებული შედეგები აჩვენებს, კვარტალური მონაცემების ანალიზის შემთხვევაში შემოსავლებისა და ხარჯების ელასტიკურობა GDP-ის გეპის მიმართ შეადგენს 0.29 და 0.3410 პროცენტს, შესაბამისად. წლიური მონაცემების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებლები 0.8810 და 1.266 პროცენტს შეადგენს. ორივე შემთხვევაში ხარჯების ელასტიკურობა აღემატება შემოსავლების ელასტიკურობას. ამასთან, წლიური მონაცემების შემთხვევაში ხარჯების ელასტიკურობა 1-ზე მეტია. აქ

გასათვალისწინებელია, რომ შემოსავლების ცვლილებას უფრო ნაკლებად აქვს ადგილი, ვიდრე - ხარჯების ცვლილებას, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით გადასახადების ზრდა შეზღუდულია. ციკლორობასთან დაკავშირებით შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ GDP-ის გეპი და ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსის წლიური ცვლილება საპირისპირო ნიშნით (სადაც ეს უკანასკნელი ფისკალურ იმპულსს წარმოადგენს) და ციკლორობის ისე განსაზღვრა. დადებითი გეპის დროს უარყოფითი იმპულსი, ფისკალური პოლიტიკის კონტრაციკლორობას გვიჩვენებს, რასაც ძირითადად აქვს ადგილი საქართველოს შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ წლიურ და კვარტალურ შედეგებს შორის მიღებული განსხვავება ლოგიკური იყო, ვინაიდან წლიური მონაცემების ანალიზის დროს უფრო ნაკლები (19) მონაცემი გვქონდა და უფრო მეტად გრძელვადიან შედეგებსა და ურთიერთკავშირზე აკეთებს აქცენტს, მაშინ როცა კვარტალური მონაცემები უფრო მოკლევადიანი მერყეობის შემთხვევაში შემოსავლებისა და ხარჯების რეაგირებასა და ცვლილებას განიხილავს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოკლევადიან პერიოდში ელასტიკურობა უფრო დაბალია, რაც შემოსავლებისა და ხარჯების შედარებით უფრო დაბალ რეაგირებაზე მიუთითებს GDP-ის გეპის ცვლილების შემთხვევაში. გრძელვადიანი პერიოდისთვის კი ელასტიკურობები უფრო მაღალია.

მართლაც, ჩვენი გამოთვლების შედეგად, შემოსავლების ცვლილების ელასტიკურობა გამოშვების გეპის მიმართ = 0.881 და დანახარჯების ცვლილების ელასტიკურობა გამოშვების გეპის მიმართ = 1.266, რაც მიღებულია საქართველოსთვის 2002-2024 წლების წლიური მონაცემების ანალიზის შედეგად. დანართ 2-ში მოცემულია საქართველოსთვის შემოსავლებისა და დანახარჯების ცვლილების ელასტიკურობების გამოთვლის ეტაპები, სადაც შემოწმებულია მონაცემთა სტაციონალურობა, საბოლოოდ კი 0.881 და 1.266 გრძელვადიანი პერიოდისთვის მიღებული შედეგებია.

გასათვალისწინებელია, რომ ცხრილი 5-ში მიღებული შედეგები გამოთვლილია ჩვენ მიერ მიღებული ელასტიკურობების გათვალისწინებით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ

შემოსავლებისა და ხარჯების ელასტიკურობებს ავიღებთ 1 და 0-ის ტოლად, თითქმის იგივე შედეგებს ვიღებთ, გარდა 1999 წლისა, რომელიც ამ დაშვებების შედეგად აკმაყოფილებს წარმატებული მკაცრი ფისკალური პოლიტიკის კრიტერიუმს.

ამასთან, ანალიზის დროს გარკვეული დაშვებები გაკეთებულია პოტენციური GDP-ის გამოთვლის დროსაც. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში აღნიშნული გამოთვლა გაკეთებულია ჰოდრიკ-პრესკოტის ფილტრით (Hodrick-Prescott - HP), თუმცა არსებობს ასევე სხვა მეთოდებიც, რამაც შესაძლოა გარკვეულ დონეზე მცირედით განსხვავებული შედეგები მოგვცეს. თუმცა მიმდინარე ნაშრომის მიზნებისთვის აღნიშნული ტიპის ანალიზი საკმარისია, რომ ციკლურად შესწორებული პირველადი სალდოს ცვლილებები გავაანალიზოთ.

შედეგად, ვიღებთ კონსოლიდაციის რამდენიმე წელს, რაც ჩვენი ანალიზისთვის შედარებით უფრო საინტერესოა. საანალიზო პერიოდის საწყის წლებში ადგილი ჰქონდა „მკაცრი ეპიზოდის“ პირველი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას, ხოლო ბოლო ათწლეულში უფრო მეტად დაიწყო ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ 2000, 2001, 2004, 2010, 2021 და 2023 წლებში ორივე კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ხოლო 2015 და 2017 წლებს ახასიათებს მხოლოდ ექსპანსიური ბუნება. ამასთან, ბოლო პერიოდის, 2017, 2018 და 2022 წლებში კონსოლიდაცია მხოლოდ მიმდინარე ხარჯების შემცირებით განხორციელდა, ხოლო 2002, 2010 და 2021 წლებში შემცირებულია როგორც მიმდინარე, ასევე - კაპიტალური ხარჯები (თუმცა 2021 წელს კაპიტალური ხარჯების წილი შემცირებულია მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებში). ასევე უნდა გამოვყოთ 2011 და 2018 წლები, როდესაც დეფიციტი შემცირდა მიმდინარე ხარჯების შემცირების შედეგად, თუმცა აღნიშნული წლები ვერ აკმაყოფილებს „მკაცრი ეპიზოდის“ ვერცერთ კრიტერიუმს¹⁶. ანალოგიურად, კაპიტალური ხარჯების შემთხვევაში არის 2012 წელი. ასევე არის ზოგიერთი წელი, როდესაც შემცირებულია

¹⁶ ანალოგიურად 2011 და 2012 წლებშიც

კაპიტალური ხარჯები, თუმცა არც ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას ჰქონდა ადგილი და არც ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები კმაყოფილდება (მაგ: 2013 და 2014).

მას შემდეგ, რაც ფისკალური კონსოლიდაციისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით გამოვყავით წლები და ასევე ჩამოვყალიბეთ ხარჯების დეკომპოზიციის მიხედვით, ჩვენი ინტერესი შემდეგ პერიოდებზე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ:

- როდესაც კონსოლიდაციისთვის გამოყენებულია მხოლოდ მიმდინარე ხარჯები: 1998, 2000, 2001, 2011, 2015, 2017, 2018 და 2022 წლები;
- როდესაც კონსოლიდაციისთვის გამოყენებულია როგორც მიმდინარე, ასევე - კაპიტალური ხარჯები: 2002, 2010 და 2021 წლები;
- 2012 და 2023 წლებში კი მხოლოდ კაპიტალური ხარჯებია გამოყენებული ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად.

შემდეგი თავი სწორედ ამ პერიოდების ანალიზს დაეთმობა მაკროეკონომიკური ეფექტების განსაზღვრის თვალსაზრისით.

2.2 ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე

მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას დამოკიდებული უნდა იყოს იმ შედეგზე, რაც ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება. ამასთან, ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას, ფისკალური პოლიტიკა აღქმული უნდა იყოს, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ინსტრუმენტი. მსჯელობა მუდმივად მიმდინარეობს იმის შესახებ, ფისკალური პოლიტიკა რამდენად უზრუნველყოფს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას და ხელს შეუწყობს ეფექტიანობის მიღწევას. ასევე, რა გავლენა ექნება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. ამის შემდეგ კი უნდა განისაზღვროს დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებისა და მათი კომპოზიციის ცვლილების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე.

ეკონომიკაზე ზემოქმედების კუთხით უნდა აღინიშნოს ფისკალური კონსოლიდაციის ეკონომიკაზე ზემოქმედების ორი განსხვავებული მიმართულება:

- კეინზიანური თეორიის მიხედვით, ფისკალური კონსოლიდაცია, შერბილებული მონეტარული პოლიტიკის განხორციელების პარალელურად, დადებით გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნასა და გამოშვებაზე;
- ფისკალური კონსოლიდაცია, ვინაიდან შეამცირებს ბიუჯეტის დეფიციტსა და მთავრობის ვალს, საპროცენტო განაკვეთებზე „სანდოობის“ გაზრდას გამოიწვევს, რაც მეტ კერძო ინვესტიციას მოიზიდავს და ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად ინვესტიციების თავდაპირველი უარყოფითი შემცირება დაკომპენსირდება (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2015).

ზემოთ აღნიშნული ორი მიმართულება არ განასხვავებს ერთმანეთისგან ხარჯებისა და შემოსავლების ინსტრუმენტს, შედეგად კი მოკლევადიან პერიოდში გამოშვების ზრდას განსაზღვრავს. თუმცა, ყურადღება ასევე უნდა გამახვილდეს ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად გამოყენებულ ფისკალურ ინსტიტუტებსა და მათ კომპოზიციაზე.

თავდაპირველად უნდა განვასხვავოთ ფისკალური კონსოლიდაციის ეფექტები დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში, ვინაიდან ფისკალური პოლიტიკის ეფექტები არ ამოიწურება მოკლევადიან პერიოდში და მნიშვნელოვანია პოლიტიკის გატარებისას ყურადღება მივაქციოთ, რა შესაძლო შედეგები შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულ ცვლილებებს გრძელვადიან ეკონომიკაზე.

ზოგადად მიიჩნევა, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტი განსხვავებული შეიძლება იყოს დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლებელია ამის თავიდან აცილებაც მოხდეს. ამ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ფისკალური პოლიტიკის გამტარებლებმა, ვინაიდან აუცილებელია სწორად განისაზღვროს, თუ რა სახის

ფისკალურ პოლიტიკას განვახორციელებთ, რადგან ერთნაირი ეფექტის მისაღწევად დროის მოკლევადიანსა და გრძელვადიანი პერიოდისთვის, შესაძლოა შეიცვალოს მთლიანი სამამულო პროდუქტის პოტენციური დონე.

- მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის გავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია გავლენა ერთობლივ მოთხოვნასა და სამუშაო ძალის მიწოდებაზე;
- გრძელვადიანი პერიოდისთვის კი ეკონომიკური ზრდის მოდელების გაანალიზება უფრო ზუსტ შედეგს იძლევა. ამ დროს გასათვალისწინებელია, რომ ფისკალური პოლიტიკის ცვლილებას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სახელმწიფო ვალზე, მუშაობის სურვილზე და შესაბამისად, სამუშაო ძალის მიწოდებაზე, ასევე დანაზოგებისა და ინვესტიციების ცვლილებაზე.

უფრო კონკრეტულად რომ გავყვეთ მსჯელობას, როგორ იცვლება ეკონომიკა ფისკალური პოლიტიკის, ჩვენს შემთხვევაში კი ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად, დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში, განვიხილოთ მაგალითი და გავყვეთ თეორიულ ანალიზს.

- დროის მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა ძირითადად გავლენას ახდენს მოთხოვნაზე, რაც საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ცვლილებით აისახება. მოთხოვნის ცვლილება კი მოქმედებს მთლიან სამამულო პროდუქტზე. შესაბამისად, ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას, ეს კი შეამცირებს წარმოებისა და დასაქმების სტიმულს. შრომის მიწოდებაზე გავლენა დამოკიდებულია შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და მოსახლეობის მიერ აღქმულ სტიმულებზე, თუ რამდენად მეტად ან ნაკლებად უნდათ მუშაობა. აღსანიშნავია, რომ თუ მაღალია ქვეყანაში უმუშევრობის დონე, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოსახლეობის შემოსავლების ზრდის შედეგად დასაქმების ნაკლები სტიმული გაუჩნდეთ. ფისკალური პოლიტიკის ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენა შედგება პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტებისგან;

- პირდაპირი ეფექტი პირდაპირ არის დაკავშირებული ფისკალური პოლიტიკის ცვლილების შედეგად შემცირებული მოთხოვნის მოცულობასთან კომპანიებისა და შინამეურნეობების მხრიდან, რომლებიც არიან გადასახადის გადამხდელები ან იღებენ სახელმწიფოსგან გარკვეული სახის ტრანსფერებს. ეს გულისხმობს, რომ როგორც გადასახადების ცვლილება, ასევე - სახელმწიფო ხარჯების ცვლილება გავლენას მოხდენს ერთობლივ მოთხოვნაზე პირდაპირი ეფექტის გზით;
- არაპირდაპირი ეფექტი კი გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების შემდგომ ეფექტს, რისთვისაც მოთხოვნის მულტიპლიკატორის სიდიდეს ენიჭება ყურადღება. მოთხოვნის მულტიპლიკატორი ერთობლივი მოთხოვნის ერთი ერთეულის ცვლილებისას გამოშვების ცვლილების სიდიდეს ასახავს. ამასთან, მოთხოვნის მულტიპლიკატორი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია როგორც ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ეკონომიკური ასპექტებით, ასევე - მონეტარული პოლიტიკის საპასუხო რეაქციაზე. მაგალითად, თუ მონეტარული პოლიტიკაც ჩაერევა და მნიშვნელოვნად შეცვლის მის ინსტრუმენტებს (საპროცენტო განაკვეთის ცვლილება), მოსალოდნელია, რომ მოთხოვნის მულტიპლიკატორის ზომა უფრო მაღალი იყოს.
- ფისკალური პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში გავლენას ახდენს პოტენციურ GDP-ზე, რისთვისაც ზოგჯერ ეკონომიკური ზრდის მოდელების გამოყენებაც სასურველია, სადაც პოტენციური მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილება იქნება ასახული. ძირითადად აღნიშნული ცვლილება შემდეგი გადაცემის არხებით ხორციელდება: სახელმწიფო ვალის ცვლილება, შრომის მიწოდებასთან დაკავშირებული სტიმულები, ასევე დანაზოგებისა და ინვესტიციების ცვლილებასთან დაკავშირებული. ეს გავლენის არხები კი შემდგომში უკვე მოქმედებს ქვეყნის მწარმოებლურობასა და სამუშაო ძალაზე. მაგალითად, ფისკალური კონსოლიდაცია საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, რაც გადასახადების ზრდას გულისხმობს, შეამცირებს დანაზოგების დონეს, რის

შედეგადაც ასევე შემცირდება სამუშაო ძალის მიწოდება. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დანაზოგებიდან ამონაგები მცირდება და განკარგვადი შემოსავალიც (გადასახადის გადახდის შემდგომ არსებული შემოსავლების დონე) იკლებს. აღნიშნულის შედეგია შემოსავლებისა და გამოშვების შემცირება. თუმცა თუ სიმდიდრის ეფექტს გავითვალისწინებთ, შესაძლოა ცხოვრების დონის იგივე მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ნაკლები განკარგვადი შემოსავლის არსებობის პირობებში, შრომის მიწოდება გაიზარდოს კიდევ, შემცირების ნაცვლად.

გარდა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში ზოგადად ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო გავლენების ანალიზისა, ასევე გასათვალისწინებელია, ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების დეკომპოზიციის ცვლილებას შედეგად რა გავლენა ექნება ეკონომიკაზე.

კაპიტალური ხარჯების ორმაგად დადებით ეფექტებზეა საუბარი Lopes (2003) ნაშრომში, სადაც აღნიშნულია, რომ ფისკალური პოლიტიკის გატარებისას ყოველთვის არ არის საჭირო კომპრომისის გამონახვა ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანაბრობას შორის, ვინაიდან მოსახლეობამ მთლიანობაში შეიძლება მიიღოს მეტი შემოსავალი და გაუმჯობესდეს მათი ერთობლივი ეკონომიკური მდგომარეობა და ამასთან ერთად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანმა ფენამ პროპორციულად უფრო მეტი სარგებელი მიიღოს, ვიდრე - მაღალშემოსავლიანებმა. კაპიტალური ხარჯების გამოყენებამ შესაძლოა გაზარდოს როგორც ეკონომიკური აქტივობა, ასევე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხობრივი დონეც გააუმჯობესოს შემოსავლების უთანაბრობის შემცირების გზით (Yeboua, 2021).

Oseni (2023) იკვლევს ფისკალური პოლიტიკისა და შემოსავლების უთანაბრობას შორის კავშირს, რის შედეგადაც დადასტურებულია, რომ პირდაპირი გადასახადებისა და მიმდინარე ხარჯების გამოყენება ყველაზე მეტად ახდენს უთანაბრობაზე გავლენას.

როგორც ანალიზიდანაც ჩანს, ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია ქვეყნის ფისკალურ პოზიციასა და ეკონომიკურ სპეციფიკაციებზე, დროის ჰორიზონტზე, გამოყენებული ფისკალური

ინსტრუმენტის ზომაზე, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდსა და ფისკალური მულტიპლიკატორების ზომაზე. აღნიშნული საკითხები ტოვებს მეტად პრაქტიკული კვლევის სივრცეს.

ფისკალური კონსოლიდაციის ეკონომიკურ განვითარებაზე შესაძლო ეფექტებისთვის სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელი შეიძლება იყოს გამოყენებული. მაგალითად, ხშირად იყენებენ სტრუქტურულ ვექტორ ავტორეგრესიულ (Structural Vector-Autoregressive - SVAR) და ბაიეზიანურ ვექტორ ავტორეგრესიულ (Bayesian Vector-Autoregressive - BVAR) მოდელებს, ვინაიდან ეს მოდელები მეტად ეფექტიანია მოკლე და საშუალოვადიანი ეფექტების სანახავად, როგორ რეაგირებს მაკროეკონომიკური ცვლადები ფისკალური პოლიტიკის შოკებზე. მაგალითად, SVAR მოდელი გამოყენებული აქვთ ბლანშარსა და პეროტს (Blanchard & Perotti, 2002), BVAR მოდელი კი აქტიურად გამოიყენება მონაცემთა შედარებით მცირე რაოდენობის დროს. რამდენიმე ქვეყნისთვის შედეგების სანახავად შეგვიძლია გამოვიყენოთ პანელური მონაცემებისთვის არსებული მოდელები, სადაც გამოირჩევა ე.წ. მომენტების განზოგადებული მეთოდი (Generalized Method of Moments – GMM). რაც შეეხება კონსოლიდაციის გრძელვადიანი ეფექტების ანალიზს, ამისთვის ხშირად გამოიყენება DSGE მოდელები, რაც გამოიყენება სტრუქტურული პოლიტიკის ანალიზისა და გრძელვადიანი ეფექტების შესაფასებლად.

2.2.1 ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების კომპოზიციის ცვლილების განსხვავებული შედეგები

ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას, როდესაც საჭირო ხდება ფისკალური კონსოლიდაცია ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად და ბიუჯეტის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, ამ დროს შესაძლო ღონისძიებებს მიეკუთვნება როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ცვლილება. აღნიშნული ინსტრუმენტების ცვლილებით განხორციელებული კონსოლიდაციის ეფექტებს შორის განსხვავება წარმოდგენილია Blanchard&Perotti (1999) ნაშრომში. თუმცა, საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ არა მხოლოდ ხარჯვითი და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების შესაძლო ეფექტები, არამედ

უმუალოდ ხარჯვითი ღონისძიებების დროს ხარჯების დეკომპოზიციის ცვლილებაც. მაგალითად, განსხვავება მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების გამოყენების შემთხვევაში ფისკალური კონსოლიდაციისას. ამის გარდა, შესაძლოა განვასხვავოთ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ცვლილებაც და მათი შესაძლო ეფექტები ეკონომიკაზე, ვინაიდან აღნიშნული ტიპის გადასახადები შემოღებულია სხვადასხვა მიზნობრიობით და გადამხდელები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნებიან.

Beetsma at al. (2021) ნაშრომში შემოსავლების ცვლილებით მიღებული შედეგები ეკონომიკაზე უფრო საზიანოდ არის შეფასებული, ვიდრე - დანახარჯების ცვლილებით განხორციელებული კონსოლიდაცია. ამასთან, საქართველოს ფისკალური პოლიტიკის სპეციფიკაციიდან გამომდინარე, მიმდინარე კვლევისას ძირითად შემთხვევაში აქცენტი ხარჯვითი კომპონენტების კომპოზიციის ცვლილების შესაძლო ეფექტებზე გაკეთდება და შედეგად, მიმოვიხილავთ ფისკალური კონსოლიდაციისას მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილების გავლენას სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ტიპის ქვეყნებში განსახვავებულია ფისკალური პოლიტიკის ეფექტები. ამასთან, Klyuev&Snudden (2011) თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას ეკონომიკაზე შესაძლო გავლენების სანახავად მნიშვნელოვანია ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინება, იმის ნახვა, თუ რომელი ინსტრუმენტია გამოყენებული, რამდენად დიდია მისი ცვლილება და რამდენ ხანს გრძელდება ფისკალური კონსოლიდაცია.

Ardanaz at al. (2021) ნაშრომში აღნიშნულია, რომ კონსოლიდაციისას გამოყენებულ ინსტრუმენტს მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკაზე გავლენის თვალსაზრისით. მაგალითად, თუ GDP-ის 1 პროცენტით შემცირება რეალურ ეკონომიკას 0.4 პროცენტით ამცირებს, ეს რიცხვი განსხვავებულია კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოყენების შემთხვევაში. კაპიტალური ხარჯების GDP-სთან 1 პროცენტით შემცირება გამოშვებას შეამცირებს საშუალოდ 0.7 პროცენტით 3 წლის განმავლობაში, ხოლო კაპიტალურთან ერთად მიმდინარე ხარჯების შემცირებამ შესაძლოა გაანეიტრალოს შემცირების აღნიშნული ეფექტები და საშუალოვადიან პერიოდში გამოშვების ზრდასაც კი შეუწყოს ხელი. ამასთან, ავტორები აღნიშნავენ, რომ კაპიტალური ხარჯების შემცირების შედეგად

რეალური ეკონომიკის შემცირებას ადგილი აქვს როგორც მიმდინარე, ასევე - საშუალოვადიან პერიოდში.

ფისკალური კონსოლიდაციისას გამოყენებული ინსტრუმენტებისა თუ ხარჯების კომპოზიციის მაკროეკონომიკური ეფექტების შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მოდელი. შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების მაკროეკონომიკური შედეგებისთვის Blanchard&Perotti (1999) იყენებს კვარტალურ VAR მოდელს, ხოლო ექსპანსიური ფისკალური კონსოლიდაციის შესახებ ევროკომისიასთან ერთად ჩატარებული ექსპერიმენტებით Giudice&Turrini (2003) მიერ შემოთავაზებულია მაკროეკონომიკური QUEST მოდელი, რაც ნეოკლასიკურ-კეინზიანურ სინთეზის თანამედროვე ვერსიას წარმოადგენს. Yeboua (2021) ანალიზისას იყენებს ბაიეზიანურ ვექტორ ავტორეგრესიულ (BVAR) მოდელს და ისე აანალიზებს სხვადასხვა ფისკალური ინსტრუმენტის გამოყენების ეფექტებს ეკონომიკაზე, ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების პროცესში. Afonso&Sousa (2010) ბაიეზიანურ სტრუქტურულ ვექტორ ავტორეგრესიულ (SVAR) მოდელს წარმოადგენს, რაც პორტუგალიის ფისკალური პოლიტიკის მაკროეკონომიკურ ეფექტებს ანალიზებს. აღსანიშნავია ისიც, რომ SVAR მოდელებთან ერთად ფისკალური პოლიტიკის ეფექტების წარმოსადგენად გამოიყენება DSGE მოდელები, რაც ეკონომიკის ყველა სექტორის მოცვას გულისხმობს და უფრო მეტ მაკროეკონომიკურ ცვლადზე გავლენის ასახვის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მოდელი გამოყენებულია Davig&Leeper (2009) ნაშრომში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული SVAR და DSGE მოდელები ძირითადად ანალიზებს ფისკალური შერბილების ანუ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის ეფექტებს მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. Pashourtidou at al. (2014) იყენებს ფაქტორებით გაფართოებულ ვექტორ ავტორეგრესიულ (Factor-Augmented Vector Autoregression – FAVAR) მოდელს, სადაც აფასებს ფისკალური კონსოლიდაციის დინამიკურ ეფექტებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადზე და შედეგები აჩვენებს, რომ გადასახადების ზრდაც და მთავრობის ხარჯების შემცირებაც იწვევს ეკონომიკის შემცირებას, თუმცა დანახარჯების ინსტრუმენტების გამოყენება უფრო მეტად ამცირებს ეკონომიკას, ვიდრე - გადასახადების ზრდა, რაც განსაკუთრებით აშკარაა საშუალოვადიან პერიოდში.

სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია ქვეყნის ფისკალურ პოზიციაზე, ეკონომიკის სპეციფიკაციებსა და განვითარების დონეზე, კონსოლიდაციის განხორციელების დროის ჰორიზონტზე, გამოყენებული ფისკალური ინსტრუმენტის ზომაზე, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდსა და ფისკალური მულტიპლიკატორების ზომაზე.

როგორც გაანალიზებული ლიტერატურიდან დგინდება, ხარჯვითი კომპონენტის გამოყენებას ძირითადად მეტად უკეთესი დადებითი ეფექტი აქვს ეკონომიკაზე, ვიდრე - გადასახადების ინსტრუმენტის გამოყენებას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქცენტი მხოლოდ რაოდენობრივ შედეგებზე არ გაკეთდეს და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზიც ჩავატაროთ. მაგალითად, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად უნდა განვსაზღვროთ, თუ ვინ ისარგებლებს აღნიშნული მიღებული სარგებლით, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი თუ მაღალშემოსავლიანი ჯგუფები. შესაბამისად, სწორი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებით შესაძლებელია მოსახლეობის დონის გაუმჯობესებაც მოხერხდეს ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. აღნიშნული საკითხი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს, რაც ასევე ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს და მომდევნო თავი სწორედ აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნებასა და საქართველოსთან მიმართებაში მის გაანალიზებას დაეთმობა.

2.2.2 ხარჯების კომპოზიციის ცვლილების შესაძლო გავლენა ეკონომიკურ

ზრდასა და ბიუჯეტის მაჩვენებლებზე


ჩამოყალიბებული აზრი კვლავ არ არსებობს ფისკალური პოლიტიკისა და უშუალოდ ფისკალური კონსოლიდაციის რაოდენობრივ შედეგებთან დაკავშირებით. ფისკალური პოლიტიკის შეფასებისას ასევე გამოიყენება მულტიპლიკატორები, რაც შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მაგალითად, ფისკალური მულტიპლიკატორი შეიძლება განვითარებული ქვეყნისთვის იყოს დადებითი, ხოლო განვითარებადი ქვეყნისთვის შეფასებამ უარყოფითი მულტიპლიკატორი გამოავლინოს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფისკალური მულტიპლიკატორები განსხვავდება

ეკონომიკური აქტივობის სხვადასხვა პერიოდში. აღნიშნულ ანალიზში გათვალისწინებული არ არის კონსოლიდაციისას გამოყენებული ინსტრუმენტი, რისი ჩართვის დროსაც შეიძლება მიმდინარე ხარჯების შემცირებისა და კაპიტალური ხარჯების შემცირების ეფექტები ცალ-ცალკე გაანალიზდეს. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე ხარჯების გამოყენებით ფისკალური კონსოლიდაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში (3 წელი), კაპიტალური ხარჯების შემცირება კი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, უმჯობესია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი საშუალოდ 3 წლის პერიოდზე განვიხილოთ, რადგან ფისკალური პოლიტიკის რაოდენობრივი შედეგები ეკონომიკაზე მყისიერად არ ჩანს და საჭიროა ანალიზი საშუალოვადიან პერსპექტივაში. მართლაც, წინა თავში გაანალიზებული „მკაცრი ეპიზოდის“ კრიტერიუმები შედეგებს განიხილავს 2 და 3 წლიან პერიოდზე.

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის მაკროეკონომიკური ეფექტები გაანალიზებულია Ardanaz at al. (2021) ნაშრომში, სადაც აღებულია ინდიკატორების წინა წელთან შედარებით (თუ მოცემულია GDP-სთან თანაფარდობა) ან წლიური ზრდის ტემპი (წინა წელთან შედარებით). აღნიშნული საშუალებას იძლევა, ვაჩვენოთ ხარჯების დეკომპოზიციის ცვლილების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ანალიზისთვის გამოყენებული გვაქვს არა მხოლოდ ფისკალური კონსოლიდაციის წლები, არამედ - თითოეული წელი, სადაც ცალ-ცალკე გამოყოფილია კაპიტალური ხარჯების წილის შემცირებისა (PI penalized) და კაპიტალური ხარჯების წილის ზრდის (PI protected) პერიოდები, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ჯამურ მაჩვენებელთან მიმართებაში. გრაფიკი 11 გვიჩვენებს მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების წილს

მთლიან ხარჯებში, ხოლო აღნიშნულ წლებში ზოგიერთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე მიღებული შედეგები კი ნაჩვენებია ცხრილ 15-ში.

გრაფიკი 11: მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორის გამოთვლები

როგორც გრაფიკიდან ჩანს, არსებული 29 წლიდან, 17 წელს ადგილი ჰქონდა მთლიან ხარჯებში კაპიტალური ხარჯების წილის ზრდას, ხოლო 12 წლის განმავლობაში კაპიტალური ხარჯების წილი მცირდებოდა. შესაბამისად, ამ 2 ჯგუფისთვის ცალ-ცალკე იქნება გაანალიზებული შედეგები შერჩეულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ეფექტები ძირითად ფისკალურ ცვლადებზე, მათ შორის: შემოსავლები, ხარჯები (რაც, თავის მხრივ, დაყოფილია მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად), პირველადი ბალანსი და ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი. აღნიშნული გავლენა გაანგარიშებულია პროცენტული პუნქტით ცვლილების სახით. კაპიტალურ ხარჯებში იგულისხმება არაფინანსური აქტივების ზრდა, ხოლო პირველადი ბალანსი გამოითვლება შემოსავლებისა და არასაპროცენტო ხარჯების სხვაობით.

ასევე ნაჩვენებია ეკონომიკური ზრდა მომდევნო 4 წლის განმავლობაში, რათა ეკონომიკაზე გავლენა წარმოდგენილი იყოს როგორც მიმდინარე, ასევე - საშუალოვადიანი პერიოდისთვის. ეკონომიკური ზრდა წარმოდგენილია ცალ-ცალკე 1, 2,

3 და 4 წლის შემდეგ და პროცენტებში არის გადმოცემული. ხოლო დანარჩენი ცვლადებისთვის აღებულია პროცენტული პუნქტით ცვლილება, ვინაიდან ეს მაჩვენებლები მოცემულია GDP-სთან მიმართებაში.

ცხრილი 15: ფისკალური კონსოლიდაციის ძირითადი მახასიათებლების ცვლილება

ცვლადები	[1]	[2]	[3]	[4]
	სულ	კაპიტალური ხარჯების წილის შემცირება (PI penalized)	კაპიტალური ხარჯების წილის ზრდა (PI protected)	განსხვავება [2] vs [3]
ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი (CAPB) (პ.პ)	0.0	-0.9	0.7	-1.5
პირველადი ბალანსი (PB) (პ.პ)	0.3	-1.3	1.4	-2.7
შემოსავლები (Rev) (პ.პ)	0.6	0.4	0.8	-0.4
ხარჯები (Exp) (პ.პ)	0.5	1.3	0.0	1.3
მიმდინარე ხარჯები (PC) (პ.პ)	0.3	1.7	-0.7	2.4
კაპიტალური ხარჯები (PI) (პ.პ)	0.2	-0.4	0.7	-1.1
კაპიტალური ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში (PI/(PC+PI)) (%)	0.6	-2.2	2.5	-4.7
ეკონომიკური ზრდა 1 წლის შემდეგ (GDP (+1)) (%)	5.8	5.5	6.0	-0.4
ეკონომიკური ზრდა 2 წლის შემდეგ (GDP (+2)) (%)	5.6	5.6	5.6	0.0
ეკონომიკური ზრდა 3 წლის შემდეგ (GDP (+3)) (%)	5.7	5.3	5.9	-0.6
ეკონომიკური ზრდა 4 წლის შემდეგ (GDP (+4)) (%)	5.7	4.8	6.4	-1.5
სულ პერიოდის რაოდენობა	29	12	17	

წყარო: ავტორის გამოთვლები. გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

როგორც ცხრილიდან ჩანს, გაანალიზებული 29 წლიდან 12 წარმოადგენს კაპიტალური ხარჯების წილის შემცირებას, ხოლო 17 - წილის ზრდას. თითოეული მათგანისთვის გამოთვლილია საშუალოდ რამდენი პროცენტული პუნქტით ან პროცენტით იცვლებოდა თითოეული წარმოდგენილი ფისკალური ცვლადი, კაპიტალური ხარჯების წილის შემცირებისა თუ ზრდის პერიოდების დროს. შედეგები წარმოდგენილია როგორც ერთიანობაში, ასევე ცალკე კაპიტალური ხარჯების მთლიან ხარჯებთან წილის შემცირების წლებისთვის საშუალო ცვლილება და ცალკე კაპიტალური ხარჯების მთლიან ხარჯებთან წილის ზრდის წლებისთვის საშუალო ცვლილება. ამასთან, ნაჩვენებია, თუ რამდენად განსხვავდება ამ ბოლო ორი შემთხვევის დროს მიღებული შედეგები ერთმანეთისგან, რათა განვსაზღვროთ, რომელ ცვლადზე უფრო დიდია გავლენა კაპიტალური ხარჯების წილის ცვლილების შემთხვევაში და რა მიმართულებით არის აღნიშნული გავლენა.

როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, იმ წლებში, როდესაც მთლიან დანახარჯებში კაპიტალური ხარჯების წილი შემცირდა, რაც კაპიტალური ხარჯების შემცირებით განხორციელებული კონსოლიდაციის მაჩვენებელია, ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი უარესდება, მიმდინარე ხარჯების შემცირებისას მიღებულ შედეგებთან შედარებით. განსხვავება კიდევ უფრო მაღალია პირველადი ბალანსის შემთხვევაში. ამასთან, შემოსავლები უფრო ნაკლებად იზრდება, ხოლო ეკონომიკური ზრდა მომდევნო 4 წლის მანძილზე კაპიტალური ხარჯების შემცირების დროს უფრო ნაკლებია, ვიდრე - მიმდინარე ხარჯების წილის შემცირებისას. შედეგები მიუთითებს, რომ საქართველოში ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას საშუალოდ კაპიტალური ხარჯების შემცირებისას უფრო უარესდება გარკვეული ეკონომიკური მაჩვენებლები, ვიდრე - მიმდინარე ხარჯების შემცირებისას.

წინა თავში გაანალიზებული ფისკალური კონსოლიდაციისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შედეგად გამოვკვეთეთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდების ჯგუფები: როდესაც კონსოლიდაცია ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე ხარჯების შემცირებით (1998, 2000, 2001, 2011, 2015, 2017, 2018 და 2022 წლები), როდესაც მცირდება როგორც მიმდინარე, ასევე - კაპიტალური ხარჯები (2002, 2010 და 2021 წლები) და როდესაც მხოლოდ კაპიტალური ხარჯების შემცირების ხარჯზე მცირდება ბიუჯეტის დეფიციტი (2012 და 2023 წლები).

ამასთან, 2012 და 2023 წლებში კაპიტალური ხარჯების შემცირებასთან ერთად ფიქსირდება შემოსავლების ზრდაც, ხოლო დანარჩენი 2 პერიოდის ჯგუფებისთვის შემოსავლების ცვლილების გამოკვეთილი მიმართულება არ ჩანს, ამიტომ კაპიტალური ხარჯების ნაწილს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ. ცხრილი 16 აჩვენებს სამივე პერიოდის ჯგუფებისთვის ცალ-ცალკე ხარჯების შესაბამისი კომპონენტისა და შემოსავლების ცვლილებას, რაც ადასტურებს, რომ მხოლოდ 2012 და 2023 წლების პერიოდში დაფიქსირდა კაპიტალური ხარჯების შემცირების პარალელურად შემოსავლების გაზრდაც, რაც მიღებული შედეგების ეფექტს გაურკვეველს გახდიდა, იყო თუ არა კაპიტალური ხარჯების შემცირებიდან გამოწვეული. დანარჩენი ორი პერიოდისთვის კი

შემოსავლების ასეთი მკაფიო ცვლილება ერთი მიმართულებით არ ყოფილა, ამიტომ მათი გაანალიზება შესაძლებელია.

ცხრილი 16: დეფიციტის შემცირებისას მხოლოდ მიმდინარე ხარჯების, მხოლოდ კაპიტალური ხარჯების, და მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირების წლები, შემოსავლების ზრდასთან ერთად

დეფიციტის შემცირების წლებში გამოყენებული ფისკალური ინსტრუმენტები	1998	2000	2001	2002	2010	2011	2012	2015	2017	2018	2021	2022	2023
მხოლოდ მიმდინარე ხარჯების შემცირება	X	X	X			X		X	X	X		X	
მხოლოდ კაპიტალური ხარჯების შემცირება							X						X
მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირება				X	X						X		
შემოსავლების ზრდა			X				X	X			X	X	X

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორის გამოთვლები

გრაფიკზე ნაჩვენებია ცვლილებებიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი პერიოდის ჯგუფზე გვექნება აქცენტი, რომ ვნახოთ ამ წლებისთვის მიღებული მაკროეკონომიკური ეფექტები როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს პერიოდები და შესაბამისი შედეგები ცხრილ 17-შია წარმოდგენილი.

ცხრილი 17: ფისკალური კონსოლიდაციის ძირითადი მახასიათებლები (შერჩეული წლებისთვის)

ცვლადები	[1]	[2]	[3]
	მხოლოდ მიმდინარე ხარჯების შემცირება	მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირება	განსხვავება [1] vs [2]
ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი (CAPB) (პ.პ)	2.1	2.8	-0.7
პირველადი ბალანსი (PB) (პ.პ)	2.3	1.9	0.4
შემოსავლები (Rev) (პ.პ)	0.3	0.3	0.0
ხარჯები (Exp) (პ.პ)	-1.6	-2.3	0.7
მიმდინარე ხარჯები (PC) (პ.პ)	-2.0	-2.5	0.5
კაპიტალური ხარჯები (PI) (პ.პ)	0.4	0.1	0.3
კაპიტალური ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში (PI/(PC+PI)) (%)	2.4	1.8	0.6
ეკონომიკური ზრდა 1 წლის შემდეგ (GDP (+1)) (%)	5.3	5.6	-0.3
ეკონომიკური ზრდა 2 წლის შემდეგ (GDP (+2)) (%)	4.6	7.2	-2.6
ეკონომიკური ზრდა 3 წლის შემდეგ (GDP (+3)) (%)	5.3	7.0	-1.7
ეკონომიკური ზრდა 4 წლის შემდეგ (GDP (+4)) (%)	7.0	6.3	0.8
სულ პერიოდის რაოდენობა	8	3	

წყარო: ავტორის გამოთვლები. გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ვხედავთ, კონსოლიდაციის განხორციელებიდან 1 წლის შემდეგ შედეგები განსხვავდება იმის მიხედვით, მხოლოდ მიმდინარე ხარჯებია გამოყენებული, თუ მიმდინარე და კაპიტალური ერთად. ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი მეტად გაუმჯობესებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ერთობლივი შემცირებით განხორციელდა კონსოლიდაცია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე წელს ეკონომიკური ზრდა მიმდინარე ხარჯების გამოყენების შემთხვევაში უფრო მაღალია, კუმულატიური ზრდის გაანგარიშებისას უფრო მაღალი ზრდა ფიქსირდება ხარჯების ორივე კომპონენტის შემცირების პერიოდში, რაც ინკლუზიური ზრდის შესწავლის საჭიროებას აჩენს.

2.3 ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე

ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითად მიზანს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ეს მიზანი სცილდება ეკონომიკური აქტივობის გაზრდას და ასევე ფოკუსირებულია ზრდის ინკლუზიურობაზე, რაც გულისხმობს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მიერ სარგებლის მიღებას. მართლაც, ფისკალური პოლიტიკის და კონკრეტულად კი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის ყველა ფენაზე გავლენა იყოს შეფასებული, ვინაიდან ფისკალური პოლიტიკის მიზანს ეკონომიკური ციკლების დარეგულირებასთან ერთად სწორედ მაკროეკონომიკური სტაბილურობა და შემოსავლების გადანაწილებაც წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები ყურადღებით უნდა იყოს შერჩეული, რათა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა იქნეს მიღწეული.

ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვნება ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც მეტი სტიმული მისცა მკვლევარებს, გაეანალიზებინათ მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და გამოველინათ, ფისკალური პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტი არის უფრო მეტად ეფექტიანი ზრდის ხელშეწყობის პროცესში. ამასთან,

ზოგიერთ ნაშრომში ფისკალური პოლიტიკის განაწილებითი ეფექტებიც განხილულია, რაც აფასებს ფისკალური პოლიტიკის გავლენას სიღარიბესა და შემოსავლებს შორის უთანაბრობაზე. აღსანიშნავია, რომ კვლევებით დასტურდება ფისკალური პოლიტიკის საშუალებით ორივე მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მაგალიათად, სტიგლიცი თავის ნაშრომში (Stiglitz, 2012) ხაზს უსვამს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან როლს უთანაბრობის შემცირების მიმართულებით და შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკის ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას. ამასთან, ფისკალური პოლიტიკის გავლენა დამოკიდებულია უშუალოდ ქვეყნის განვითარების დონესა და კონკრეტულ მახასიათებლებზე.

ფისკალური პოლიტიკის ინკლუზიურ ზრდაზე გავლენის სანახავად საგადასახადო პოლიტიკა დაყოფილია, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ცვლილებით განხორციელებული პოლიტიკა, ხოლო ხარჯვით პოლიტიკაში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილება იგულისხმება.

კაპიტალური ხარჯების ორმაგად დადებით ეფექტებზეა საუბარი López (2003) ნაშრომში, სადაც აღნიშნულია, რომ ფისკალური პოლიტიკის გატარებისას ყოველთვის არ არის საჭირო კომპრომისის გამონახვა ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანაბრობას შორის, ვინაიდან მოსახლეობამ მთლიანობაში შეიძლება მიიღოს მეტი შემოსავალი, გაუმჯობესდეს მათი ერთობლივი ეკონომიკური მდგომარეობა და ამასთან ერთად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანმა ფენამ პროპორციულად უფრო მეტი სარგებელი მიიღოს, ვიდრე - მაღალშემოსავლიანმა. აღნიშნულის დასტურად კი განხილულია კაპიტალური ხარჯები, რისი გამოყენებაც იწვევს როგორც მაღალ ეკონომიკურ ზრდას, ასევე - შემოსავლების უთანაბრობის შემცირებას. Calderon&Serven (2004) ასევე გააანალიზეს კაპიტალური ხარჯების გავლენა ეკონომიკაზე 121 ქვეყნისთვის და აჩვენეს, რომ ინფრასტრუქტურაზე გაწეულ ხარჯებს დადებითი გავლენა აქვთ ეკონომიკურ ზრდაზე, შემოსავლებს შორის უთანაბრობის შემცირების პარალელურად.

ზოგიერთი ავტორი იყენებს როგორც ხარჯების, ასევე - გადასახადების ღონისძიებებს და ისე განიხილავს ეკონომიკაზე შესაძლო შედეგებს, ინკლუზიურ

ზრდაზე გავლენის თვალსაზრისით. მაგალითად, Yeboua (2021) აღნიშნავს, რომ კაპიტალური ხარჯებისა და პირდაპირი გადასახადების (განსაკუთრებით კი პროგრესიული გადასახადების) გამოყენება ხელს უწყობს ინკლუზიურ ზრდას, ვინაიდან ეკონომიკური აქტივობის ზრდასთან ერთად ასევე ამცირებს უთანაბრობას. პირდაპირი გადასახადები, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელ ინსტრუმენტად არის მიჩნეული შრომის სურვილის შემცირებიდან გამომდინარე, ეკონომიკას ეხმარება, ვინაიდან ამოღებული გადასახადები გამოიყენება ინვესტიციების დასაფინანსებლად.

საგადასახადო დანახარჯების შემცირებაც ასევე შესაძლოა განხილული იყოს, როგორც ინკლუზიური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი, ვინაიდან მოსალოდნელია შემოსავლების უთანაბრობის შემცირება (საგადასახადო დანახარჯებით ძირითადად მაინც მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა სარგებლობს) და ასევე ეკონომიკის გაზრდა (ნაკლები განკარგვადი შემოსავალი ზრდის მუშაობის სტიმულს).

ცხრილი 18: ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე

ნაშრომი	საანალიზო ქვეყნები და პერიოდი	გამოყენებული მეთოდოლოგია	ძირითადი შედეგები
Jha (1999)	ინდოეთი და ჩინეთი, 1953-1992 წლები	დროითი მწკრივის ანალიზი	გადასახადის ზრდა ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, თუმცა აუმჯობესებს შემოსავლების განაწილებას
López (2003)	სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები, 1960 – 2000 წლები	დინამიკური მოდელი, მომენტების განზოგადებული მეთოდი (GMM)	ზრდა ვერ ახდენს გავლენას უთანაბრობაზე, მაღალი უთანაბრობა კი იწვევს ზრდის შემცირებას
Calderon and Serven (2004)	100 ქვეყანა, 1960 – 2000 წლები	განტოლებები	ინფრასტრუქტურული ხარჯები იწვევს ინკლუზიურ ზრდას
Castello-Climent (2007)	განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, 1980 – 2000 წლები	მომენტების განზოგადებული მეთოდი (GMM)	განვითარებად ქვეყნებში არსებული უთანაბრობა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო

			განვითარებულ ქვეყნებში ეს კავშირი დაბალია
Afonso et al. (2008)	განვითარებული ქვეყნები, 1960 - 2000	არაპარამეტრული მიდგომა	სახელმწიფო ხარჯები დადებითად არის დაკავშირებული შემოსავლების მეტად თანაბრად გადანაწილებაზე
Bastagli et al. (2012)	განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, 1980 - 2010	მონაცემთა ანალიზი	ფისკალური პოლიტიკის გამანაწილებელი ეფექტი შემცირებულია და ინკლუზიური ზრდისთვის საჭიროა საგადასახადო და ხარჯვითი ინსტრუმენტების ერთად გამოყენება
Claus et al. (2012)	აზიის ქვეყნები და სხვა დანარჩენი, 1970 - 2009 წლები	მიკროსიმულაციური მოდელები, საერთო წონასწორობის მოდელები და რეგრესიაზე დაფუძნებული შეფასებები	სოციალური ხარჯები აზიის ქვეყნებისთვის ზრდის უთანაბრობას, ხოლო სხვა ქვეყნებში - ამცირებს. განათლებაზე დანახარჯები ამცირებს უთანაბრობას
Martinez-Vazquez et al. (2012)	150 განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, 1970 - 2009 წლები	მრავალცვლადიანი რეგრესიული მოდელი	პროგრესიული საშემოსავლო და მოგების გადასახადები ამცირებს უთანაბრობას, ხოლო დღგ და აქციზი უთანაბრობას უფრო ზრდის
Muinelo-Gallo and Roca-Sagalés (2013)	21 განვითარებული ქვეყანა, OECD-ის წევრები, 1971 - 2006 წლები	სტრუქტურული განტოლებების სისტემა	პირდაპირ გადასახადებს უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა ამცირებს უთანაბრობას
Muinelo-Gallo and Roca-Sagalés (2014)	ურუგვაი, 1981 - 2010 წლები	VAR მოდელი	კაპიტალური ხარჯები ამცირებს შემოსავლების უთანაბრობას
Dabla-Norris et al. (2015)	159 განვითარებადი და განვითარებული	ზრდის მოდელი, მომენტების განზოგადებული მეთოდი (GMM)	მთავრობის მიერ გამანაწილებელი დანახარჯების (ჯანდაცვა,

	ქვეყანა, 1980 – 2012 წლები		განათლება) ზრდა ამცირებს უთანაბრობას
Islam (2017)	მალაიზია, 1970 – 2014 წლები	წრფივი რეგრესიები	ეკონომიკური ზრდა ამცირებს სიღარიბეს და უთანაბრობას
Martinez-Aguilar et al. (2017)	ჩილე, 2013 წელი	CEQ (Commitment to Equity) მეთოდოლოგია	პირდაპირი ტრანსფერები და სუბსიდიები (განსაკუთრებით ტრანსპორტირების სექტორში) მეტად ამცირებს უთანაბრობას და ზრდის ეკონომიკურ აქტივობას
Khan and Padda (2021)	პაკისტანი, 1980 – 2019 წლები	ავტორეგრესიული განაწილებითი ლაგების (ARDL) მოდელი	პირდაპირი გადასახადი ამცირებს უთანაბრობას
Yeboua (2021)	კოტ-დივუარი, 1985 – 2016 წლები	ვექტორ ავტორეგრესიული (VAR) და ბაიეზიანური ვექტორ ავტორეგრესიული (BVAR) ანალიზი	სახელმწიფო ხარჯები და პირდაპირი გადასახადები დადებითად მოქმედებს ინკლუზიურ ზრდაზე
Malla and Pathranarakul (2022)	განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, 2000 – 2019 წლები	მომენტების განზოგადებული მეთოდი (GMM)	საშემოსავლო გადასახადი პროგრესიულია და ამცირებს უთანაბრობას მეტად განვითარებულ ქვეყნებში
Nguyen (2023)	30 განვითარებული ქვეყანა, 2002 – 2020 წლები	მომენტების განზოგადებული მეთოდი (GMM)	განვითარებულ ქვეყნებში ინსტიტუციური ცვლილებები შეამცირებს უთანაბრობას
Oseni (2023)	საბ-საჰარი აფრიკის 12 ქვეყანა, 2010 – 2022 წლები	მომენტების განზოგადებული მეთოდი (GMM)	ჯანდაცვაზე ხარჯები და საშემოსავლო გადასახადის ზრდა ამცირებს უთანაბრობას, სადაც მაღალი გადასახადი ზრდის ეკონომიკასაც
Mikeladze and Bedianashvili (2024)	ევროკავშირის წევრი და კანდიდატი 6	ბაიეზიანური ვექტორ ავტორეგრესიული (BVAR) ანალიზი	კაპიტალური ხარჯები იწვევს ინკლუზიურ ზრდას, თუმცა არ აქვს მყისიერი ეფექტი

	ქვეყანა, 1996 – 2022 წლები		
Musibau et al. (2024)	OECD-ის 37 ქვეყანა, 2000 – 2015 წლები	ბაიეზიანური მოდელი	ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებების საშუალოდ 22%-ით ამცირებს უთანაბრობას
მიქელაძე (2025)	საქართველო, 1996-2023 წლები	ვექტორ ავტორეგრესიული (VAR) და ბაიეზიანური ვექტორ ავტორეგრესიული (BVAR) მოდელი	ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას მიმდინარე ხარჯების შემცირება იწვევს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას საშუალო ვადიან პერიოდში, ხოლო კაპიტალური ხარჯების შემცირება - მოკლევადიან პერიოდში

წყარო: აგებულია ავტორის მიერ

აღნიშნული კვლევები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შესაბამისი ფისკალური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შესაძლებელია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რაც გამოიხატება როგორც ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, ასევე - შემოსავლებს შორის უთანაბრობისა თუ სიღარიბის შემცირებაში.

მიმდინარე ქვეთავისთვის ჩვენს საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ რა როლი აქვს ფისკალურ პოლიტიკას და უშუალოდ ფისკალურ კონსოლიდაციას ეკონომიკურ განვითარებაში და ასევე რა ძირითადი მიმართულებებით ხასიათდება ფისკალური კონსოლიდაცია.

კვლევის ჰიპოთეზად შემოთავაზებულია შემდეგი დამოკიდებულებები:

ჰიპოთეზა 1: ფისკალური კონსოლიდაციისას ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადების ცვლილებით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

ჰიპოთეზა 2: ფისკალური კონსოლიდაციისას ბიუჯეტის არაპირდაპირი გადასახადების ცვლილებით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

ჰიპოთეზა 3: ფისკალური კონსოლიდაციისას ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების ცვლილებით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

ჰიპოთეზა 4: ფისკალური კონსოლიდაციისას ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების ცვლილებით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.

აღნიშნული ჰიპოთეზების მიხედვით, ერთმანეთს შედარდება როგორც საგადასახადო პოლიტიკის, ასევე - ხარჯვითი პოლიტიკის შესაძლო გავლენები ეკონომიკაზე. შესაბამისად, ერთი მხრივ, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების, ხოლო მეორე მხრივ, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილების გავლენა განისაზღვრება როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე - შემოსავლების უთანაბრობაზე, რაც, თავის მხრივ, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ განისაზღვრება, რომელი ინსტრუმენტის გამოყენება შეუწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას, რაც აისახება არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ - ხარისხობრივ მაჩვენებლებშიც, მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე.

ერთი მხრივ, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის ცვლილების, ხოლო მეორე მხრივ - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილების შედეგად შემუშავებული ფისკალური კონსოლიდაციის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის სანახავად აღნიშნული მონაცემები აღებულია რეალურ გამოსახულებაში, ხოლო ინკლუზიური ზრდისთვის აღებულია მთლიანი სამამულო პროდუქტი (როგორც ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი) და ჯინის (GINI) კოეფიციენტი. უთანაბრობა გულისხმობს მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანებისა და დაბალშემოსავლიანების მიერ მიღებულ სარგებელს შორის განსხვავებას. ჩვენს შემთხვევაში, ეს არის ფისკალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად მიღებულ სარგებელს შორის განსხვავება.

ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე ფისკალური კონსოლიდაციის გავლენის სანახავად გამოყენებულია 2000 წლიდან 2024 წლამდე არსებული წლიური მონაცემები

(ცვლადების ნომინალურიდან რეალურზე გადასაყვანად გამოვიყენეთ სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რაც 2000 წლიდან არის ხელმისაწვდომი). 25 მონაცემის ხელმისაწვდომობის გამო, ყველაზე ეფექტიან მოდელად შერჩეულია ბაიეზიანური ვექტორ ავტორეგრესიული (BVAR) მოდელი, ვინაიდან ეს მოდელი თავიდან იცილებს მონაცემთა გადაჭარბებული მორგების (overfitting) პრობლემას, რამაც შესაძლოა არაზუსტი შეფასება გამოიწვიოს. BVAR მოდელი ე.წ პრიორ შეფასებებს იყენებს, რაც VAR მოდელებისგან განსხვავებით მეტად რეალისტურ შეფასებას იძლევა (Karagöz&Keskin, 2016).

სტანდარტული VAR მოდელი ჩაიწერება, როგორც

$$Y_t = B_1 Y_{t-1} + B_2 Y_{t-2} + \dots + B_p Y_{t-p} + D z_t + \varepsilon_t$$

ან

$$y'_t = c + \sum_{p=1}^t y'_{t-p} b_i + D z_t + \varepsilon'_t$$

სადაც y არის ენდოგენური ცვლადებისგან შემდგარი ვექტორი, D პარამეტრებს შეიცავს, z ეგზოგენური ცვლადებია, ε შეცდომითი წევრია, ხოლო p ცვლადების ლაგური რიცხვია. ბეიეზიანური ჩანაწერისთვის კი აღნიშნულ ჩანაწერს გადავაკეთებთ, როგორც:

$$Y_t = X_t \beta + \varepsilon_t$$

სადაც $X_t = (I_n \otimes W_{t-1})$, რაც არის $n \times nk$ მატრიცა, სადაც $W_{t-1} = (Y'_{t-1}, Y'_{t-2}, \dots, Y'_{t-p}, z'_t)'$ არის $k \times 1$ და $\beta = vec(B_1, B_2, \dots, B_p, D)$ არის $nk \times 1$.

ბაიეზიანური შეფასებისთვის პრიორ განაწილებად გამოყენებულია მინესოტას პრიორები (Minnesota priors) (Moreira et al., 2015): $\mu_1, \lambda_1, \lambda_2$ and λ_3 , სადაც μ_1 არის პირველი ლაგური კოეფიციენტის მედიანა, λ_1 თითოეული ცვლადის წარსული მაჩვენებლის პრიორების გადანაწილების სიმჭიდროვეს აკონტროლებს, λ_2 სხვა ცვლადების ლაგების კოეფიციენტების პრიორების შედარებით სიმჭიდროვეს მართავს, ხოლო λ_3 ცვლის ლაგების ხანგრძლივობას. მიმდინარე კვლევისას პრიორების მნიშვნელობები შემდეგნაირად არის აღებული: $\mu_1 = 1.0$ და თავისუფალი მოძრაობის პროცესს მიყვება, $\lambda_1 = 0.2, \lambda_2 = 1.0, \lambda_3 = 1.0$. BVAR თანრიგის განსაზღვრისთვის შემოთავაზებული Schwarz (SC) და Hannan-Quinn (HQ) ინფორმაციის კრიტერიუმებიდან განსხვავებული შედეგების

მიღების შემთხვევაში SC კრიტერიუმს დავეყრდნობით, ვინაიდან ეკონომიკური ანალიზისას აღნიშნული მეტად უპირატესია.

იმ შემთხვევაში, სადაც BVAR მოდელი ვერ მუშაობდა, გამოყენებულია ვექტორული ცდომილების კორექციის (Vector Error Correction Model - VECM) ან ვექტორ ავტორეგრესიული (VAR) მოდელები, იმის მიხედვით, არსებობდა თუ არა კონტეგრაცია ცვლადებს შორის. ანალიზისთვის კონტეგრაციის საშუალებით დადგენილია კავშირი ერთი მხრივ, ფისკალურ ცვლადებსა და მეორე მხრივ, ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანაბრობას შორის. გრეინჯერის ტესტით ნაჩვენებია შედეგობრიობა, თუ რომელი ცვლადი იწვევს მეორეს, ამის შემდეგ კი გაშვებულია მიზეზ-შედეგობრივი ფუნქციები (impulse-response), რასაც უფრო მეტად ვეყრდნობით იმის გათვალისწინებით, რომ კონტეგრაცია უფრო მეტად გრძელვადიან ურთიერთდამოკიდებულებას აჩვენებს დროით მწკრივებს შორის, ხოლო მიზეზ-შედეგობრივი ფუნქცია მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში შოკის ეფექტებს ასახავს, 1-დან 10 წლამდე.

შედეგები აჩვენებს, თითოეული ფისკალური ცვლადისთვის 1 სტანდარტულ გადახრას რა გავლენა ექნება ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლების უთანაბრობაზე. საქართველოსთვის აღმოჩნდა, რომ კაპიტალური ხარჯების შემცირება იწვევს ეკონომიკის შემცირებას, ხოლო ჯინის ინდექსი იზრდება. მიმდინარე ხარჯების შემცირებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაცია კი ზრდის ეკონომიკას 2 წლის განმავლობაში, თუმცა ასევე იზრდება უთანაბრობა. ამასთან, მიმდინარე ხარჯებიდან მხოლოდ შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების შესყიდვის გამოყენების შემთხვევაში (რასაც მთავრობის ხარჯებს ვუწოდებთ), 2 წლის განმავლობაში ეკონომიკა იზრდება და ასევე მცირდება შემოსავლებს შორის უთანაბრობა, რაც ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ზრდის შემთხვევაში კი არაპირდაპირი გადასახადები იწვევს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, რაც ეკონომიკის ზრდასა და ჯინის ინდექსის შემცირებაში აისახება. შედეგად ვიღებთ, რომ მთავრობის მოხმარების შემცირება გააუმჯობესებს ინკლუზიურ ზრდას 2 წლის განმავლობაში და ასევე არაპირდაპირი გადასახადების ზრდას აქვს ინკლუზიურ ზრდაზე დადებითი გავლენა. აღსანიშნავია,

რომ კაპიტალური ხარჯების არათუ შემცირება, არამედ ზრდა არის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი, განსაკუთრებით კი მისი განხორციელების 3 წლის შემდეგ (Mikeladze&Bedianashvili, 2024).

მიმდინარე ქვეთავის დასაწყისში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების მიხედვით, შედეგები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ცხრილი 19: ჰიპოთეზები და მიღებული შედეგები


ჰიპოთეზები	შედეგები
ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადების ზრდით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.	არა
ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადების ზრდას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკაზე	არა
ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადების ზრდას დადებითი გავლენა აქვს შემოსავლების უთანაბრობაზე	არა
ბიუჯეტის არაპირდაპირი გადასახადების ზრდით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.	კი
ბიუჯეტის არაპირდაპირი გადასახადების ზრდას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკაზე	კი
ბიუჯეტის არაპირდაპირი გადასახადების ზრდას დადებითი გავლენა აქვს შემოსავლების უთანაბრობაზე	კი
ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების შემცირებით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.	კი*
ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების შემცირებას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკაზე	კი*
ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების შემცირებას დადებითი გავლენა აქვს შემოსავლების უთანაბრობაზე	კი*
ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების შემცირებით მიიღწევა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა.	არა
ბიუჯეტის კაპიტალურ ხარჯების შემცირებას დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკაზე	არა
ბიუჯეტის კაპიტალურ ხარჯების შემცირებას დადებითი გავლენა აქვს შემოსავლების უთანაბრობაზე	არა

* გვიჩვენებს, რომ მიმდინარე ხარჯების შემთხვევაში აღებული გვაქვს 2 სახის ხარჯები: მთლიანად მიმდინარე ხარჯები და მთავრობის მოხმარება, რაც შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ჯამია. ინკლუზიურ ზრდაზე დადებითი გავლენა კი სწორედ ამ უკანასკნელს აქვს.


აღნიშნული ჰიპოთეზების შესამოწმებლად ჩატარებული ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული 12-15 გრაფიკების სახით, სადაც ჩანს თითოეული

ფისკალური ინსტრუმენტის გავლენა როგორც ეკონომიკურ აქტივობაზე, ასევე შემოსავლებს შორის უთანაბრობაზე.


გრაფიკი 12: პირდაპირი გადასახადების ზრდით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე




გრაფიკი 13: არაპირდაპირი გადასახადების ზრდით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე



გრაფიკი 14: მიმდინარე ხარჯების შემცირებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე



გრაფიკი 15: კაპიტალური ხარჯების შემცირებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე



წყარო: ავტორის გამოთვლები. გამოყენებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

გრაფიკებიდან ჩანს, რომ პირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში ფიქსირდება უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე და ასევე ადგილი

არ აქვს ჯინის ინდექსის შემცირებას, რაც უთანაბრობის შემცირების შესამოწმებლად გვაქვს აღებული. ანალოგიური შედეგები მიიღება კაპიტალური ხარჯების შემცირების შემთხვევაში. რაც შეეხება მიმდინარე ხარჯებს, თუ მის შემადგენელ ნაწილს - მთავრობის მოხმარებას ავიღებთ, მისი შემცირების შემთხვევაში ეკონომიკა იზრდება 2 წლის მანძილზე, ხოლო ჯინის ინდექსი მცირდება, არაპირდაპირი გადასახადების ზრდის შემთხვევაში კი ჯინის ინდექსის შემცირების პარალელურად ადგილი აქვს ეკონომიკის ზრდას.

შედეგები აჩვენებს, რომ ინკლუზიური ზრდისთვის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებებია არაპირდაპირი გადასახადების ზრდა, ხოლო მოკლევადიანი ეფექტისთვის შესაძლოა მთავრობის მოხმარების შემცირება იყოს გამოყენებული, რასაც 2 წლამდე აქვს ეფექტი ინკლუზიურ ზრდაზე. ეს შედეგი გარკვეულწილად ლოგიკურია, ვინაიდან მიმდინარე ხარჯების სხვა ნაწილები ძირითადად სუბსიდიებსა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს გულისხმობს, რისი შემცირებაც, მოსალოდნელია, რომ შეამცირებს კერძო მოხმარებას და გააუარესებს შემოსავლების უთანაბრობას. ამასთან, თუ ჩვენი მიზანი გრძელვადიანი დადებითი ეფექტის მიღწევას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, უმჯობესია არაპირდაპირი გადასახადების ზრდის გამოყენებით განხორციელდეს ფისკალური კონსოლიდაცია.

დანართ 3-ში მოცემულია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის სანახავად განხორციელებული კვლევისას გამოყენებული მონაცემები.


თავი III - ფისკალური კონსოლიდაციის მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში

3.1 ფისკალური პოლიტიკის მიმოხილვა საქართველოში

ამ ქვეთავში გავაანალიზებთ საქართველოს ფისკალურ პოლიტიკას და მასთან დაკავშირებულ ძირითად ფისკალურ მაჩვენებლებს.

საქართველოს ფისკალური პოლიტიკის მიმოხილვისთვის უნდა განვიხილოთ ქვეყნის საბიუჯეტო პროცესი და ფისკალური პოლიტიკის შემუშავების ეტაპები. ფისკალური პოლიტიკის შემუშავება რეგულირდება საბიუჯეტო კოდექსის მეშვეობით, უშუალოდ საბიუჯეტო პროცესი კი სხვადასხვა ეტაპს მოიცავს.

ცხრილი 20: საბიუჯეტო პროცესი



წყარო: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. აგებულია ავტორის მიერ

თავად საბიუჯეტო სისტემა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ერთობლიობით იქმნება, რასაც მიეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტი.


- ✓ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილებას მოიცავს და მიმართულია ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებისკენ;
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი წარმოადგენს მისთვის მისაღები შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილებას;
- ✓ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიც ასევე შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობაა, რომლის მიზანიც ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებაა.

ამასთან, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ნაერთი ბიუჯეტი და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი. ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, რომ ნაერთი ბიუჯეტი აერთიანებს ზემოთ აღნიშნულ სამივე დონეზე დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს, ხოლო სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი მისგან განსხვავებით ასევე მოიცავს მათი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა (ააიპ) და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების საკუთარ შემოსავლებს¹⁷.

სქემატურად ერთიანი ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის ურთიერთდამოკიდებულება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ცხრილი 21: ერთიანი და ნაერთი ბიუჯეტის ურთიერთკავშირი

¹⁷ https://www.mof.ge/images/File/2025_Biujeti/26-02-2025/Citizens%20Guide%202025-%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98.pdf



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. აგებულია ავტორის მიერ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი მონაწილე (საქართველოს მთავრობასთან და პარლამენტთან ერთად), ჩართულია საბიუჯეტო პროცესში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს წლიური ბიუჯეტის


პროექტის მომზადების პროცესში, რომლის ერთ-ერთი მთავარი დოკუმენტი არის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი¹⁸ (BDD), რაც ქვეყნის განვითარების საშუალოვადიან გეგმას წარმოადგენს, სადაც ასახულია 4 წლის მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზები. ძირითადი მონაცემები წარმოდგენილია შემდეგნაირად: ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები, ეროვნული ანგარიშები (რეალური სექტორი), ნაერთი ბიუჯეტი (ფისკალური სექტორი), საგადასახდელო ბალანსი (საგარეო სექტორი), დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა და ეროვნული ბანკის მიმოხილვა (მონეტარული სექტორი), სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი.

ბიუჯეტის BDD დოკუმენტში დეტალურად არის ასახული შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ ინფორმაცია. ბიუჯეტის შემოსულობები აერთიანებს ბიუჯეტში მიღებულ ფულად სახსრებს: შემოსავლებს, არაფინანსური აქტივების კლებას, ფინანსური აქტივების კლებასა და ვალდებულებების ზრდას. ბიუჯეტის გადასახდელები კი ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობაა: ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა და ვალდებულებების კლება.

ბოლო წლებში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 90 პროცენტი გადასახადებიდან მოდის. 2024 წლისთვის ბიუჯეტის შემოსავლები შემდეგნაირად არის განაწილებული:

გრაფიკი 16: ბიუჯეტის შემოსავლები 2024 წელს

¹⁸ BDD დოკუმენტი 2025-2028 წლებისთვის ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: <https://mof.ge/5737>



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფისკალური პოლიტიკის მაჩვენებლები რომ განვიხილოთ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფისკალური ტერმინი უნდა გამოვყოთ, როგორცაა: შემოსავლები და ხარჯები, საოპერაციო სალდო, მთლიანი სალდო, პირველადი სალდო, ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი. შემოსავლები და ხარჯები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, სოციალური შენატანებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს, ხარჯები კი ჩაშლილია, როგორც შრომის ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების შეძენა, პროცენტი, სუბსიდია, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები. შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა ბიუჯეტის საოპერაციო სალდოა. BDD დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია არაფინანსური და ფინანსური აქტივების ცვლილება, ვალდებულებებისა და დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება. საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდის სხვაობა მთლიან სალდოს წარმოადგენს. რაც შეეხება პირველად სალდოს, ეს არის საოპერაციო სალდო საპროცენტო ხარჯების გარეშე.

შესაბამისად, ბიუჯეტის ზოგიერთი მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოყენებული ძირითადი ტოლობები შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\text{საოპერაციო სალდო} = \text{შემოსავლები} - \text{ხარჯები}$$


მთლიანი სალდო (წმინდა სესხება/დაკრედიტება)

$$= \text{საოპერაციო სალდო} - \text{არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა}$$

$$\begin{aligned} \text{პირველადი სალდო} &= \text{საოპერაციო სალდო} + \text{საპროცენტო ხარჯი} \\ &= \text{შემოსავლები} - (\text{ხარჯები} - \text{საპროცენტო ხარჯი}) \end{aligned}$$

როგორც ვახსენეთ, შემოსავლების დაახლოებით 90 პროცენტს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. გადასახადები, თავის მხრივ, დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. პირდაპირ გადასახადს იხდის უშუალოდ ფიზიკური პირი ან მეწარმე და აღნიშნულ გადასახადებს საქართველოში მიეკუთვნება საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადი. რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ამ ტიპის გადასახადები არის საქონლისა და მომსახურების ფასზე დანამატი, რასაც საბოლოო მომხმარებელი იხდის შეძენისას. აღნიშნული ტიპის გადასახადებს მიეკუთვნება დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი და იმპორტის გადასახადი.

ცხრილი 22: გადასახადის სახეები დაბეგვრის ობიექტის მიხედვით




წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი. აგებულია ავტორის მიერ

არაპირდაპირ გადასახადებს ისტორიულად უფრო მაღალი წილი უკავია მთლიანად გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებში, ვიდრე - პირდაპირ გადასახადებს, რაც დღგ-დან მიღებული მაღალი შემოსავლით არის გამოწვეული. როგორც მსოფლიო ბანკის


მონაცემებით დგინდება, რაც უფრო მაღალშემოსავლიანი და განვითარებულია ქვეყანა, მით დაბალია არაპირდაპირი გადასახადის წილი, პირდაპირი გადასახადების წილთან შედარებით, მთლიან შემოსავლებში. აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი გადასახადები სოციალურად არასამართლიანად ითვლება, რადგან მძიმედ აწვება ღარიბ ფენას და აღნიშნული ტიპის გადასახადები უფრო რეგრესიული გამოდის.


გრაფიკი 17: პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი GDP-სთან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკი 18: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების განაწილება 2024 წელს (%-ულად GDP-სთან და %-ულად მთლიან საგადასახადო შემოსავლებში)






წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკიდან ჩანს, რომ დღგ და საშემოსავლო გადასახადები ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები არიან საგადასახადო შემოსავლებში. რაც შეეხება გადასახადების დაყოფას იმის მიხედვით, თუ ხელისუფლების რომელი დონის მიერ ხდება მისი ამოღება, ანუ ცენტრალური ხელისუფლება კრეფს გადასახადს თუ ადგილობრივი ხელისუფლება, განასხვავებენ საერთო-სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებს. აქედან, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი, ხოლო ქონების გადასახადს იღებს ადგილობრივი ხელისუფლება და ადგილობრივი ტიპის გადასახადებს მიეკუთვნება.

ცხრილი 23: გადასახადის სახეები მათი ბიუჯეტიდან ამოღების დონის მიხედვით



წყარო: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. აგებულია ავტორის მიერ

საქართველოს საგადასახადო სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც ზოგიერთი გადასახადი გაუქმდა ან გაერთიანდა სხვა გადასახადთან და გამარტივდა მათი ადმინისტრირება. საგადასახადო რეფორმას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკისთვის, ვინაიდან გადასახადები საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. რეფორმების განხორციელებამდე საქართველოში მოქმედებდა პირველი საგადასახადო კოდექსი (მიღებულია 1997 წლის 13 ივნისს), რითიც განისაზღვრა კანონის მოქმედების სფერო, გადასახადის სახეები, განაკვეთები და გადახდის პირობები. თუმცა, გადასახადების რაოდენობისა თუ განაკვეთების ზრდის შედეგად საგადასახადო ტვირთი არათანაბრად აწვებოდა მომხმარებლებს და კოდექსი დახვეწას საჭიროებდა.

2004 წლისთვის საქართველოში გადასახადების რაოდენობა იყო 21. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი, 2004 წლიდან საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში დაიწყო რეფორმების ეტაპი და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გადასახადის სახეების

სიმარტივე, გადასახადის გადახდისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა, ლიბერალურობა. ამის შემდეგ კი, 2004 წლის 22 დეკემბერს მიიღეს და მომდევნო წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რის შედეგადაც მანამდე არსებული გადასახადების რაოდენობა 7-მდე შემცირდა. როგორც ბახტაძე et al. (2007) აღნიშნავს, 2005 წლის საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავდა შემდეგს:

- გადასახადების რიცხოვნობისა და განაკვეთების შემცირებით ეკონომიკის ზრდისთვის ნიადაგის შექმნა;
- საგადასახადო კულტურის ზრდა;
- სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- ბიზნესის მხარდაჭერა.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავლები, გაუმჯობესდა გადასახადების ადმინისტრირება და ადგილიც კი ჰქონდა ბიუჯეტის დადებით სალდოს ანუ პროფიციტს.

2004 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 12-20 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო სოციალური გადასახადი 27 პროცენტი იყო. 2005 წლიდან საშემოსავლო გადასახადი ფიქსირებულ 20 პროცენტზე დაფიქსირდა, სოციალური გადასახადი კი 20 პროცენტამდე შეამცირეს. 2007 წლის 11 ივლისს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებით გაუქმდა სოციალური გადასახადი, თუმცა 25 პროცენტამდე გაიზარდა საშემოსავლო გადასახადი, რაც 2009 წლიდან 20 პროცენტამდე შემცირდა. საბოლოოდ, 2008 წლიდან დღემდე გვაქვს 6 ტიპის გადასახადი.

საგადასახადო კოდექსში ცვლილება განხორციელდა და 2017 წლიდან საქართველოში მოქმედებს ე.წ. ესტონური მოდელი, რაც ბიზნესს ეხმარება, გაუნაწილებელი მოგების ბიზნესში დატოვების შემთხვევაში არ გადაიხადონ მოგების გადასახადი და მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იხდიან 15 პროცენტს. აღნიშნულის მიზანს შიდა ინვესტიციების წახალისება და მცირე ბიზნესების ხელშეწყობა წარმოადგენს. ამასთან, 2018 წლიდან მცირე ბიზნესის დაბეგვრასთან დაკავშირებით შეიცვალა პროცენტები და 5 პროცენტის დაბეგვრის ნაცვლად 1 პროცენტამდე შემცირდა გადასახადი, რაც მცირე ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.


ცხრილი 24: მოქმედი გადასახადები საქართველოში

გადასახადი	განაკვეთი	აღწერა
საშემოსავლო გადასახადი	20%	მოქმედებს 2009 წლიდან, იბეგრება ფიზიკური პირის შემოსავალი
მოგების გადასახადი	15%	2008 წლიდან შემცირდა 20%-დან 15%-მდე, 2017 წლიდან კი მოქმედებს ე.წ „ესტონური მოდელი“
დამატებული ღირებულების გადასახადი	18%	2005 წელს შემცირდა 20%-დან 18%-მდე
აქციზი	დამოკიდებულია პროდუქციაზე	აქცენტი გარემოს დაცვითი პოლიტიკისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის სტიმულირებაზე
იმპორტი/საბაჟო	დამოკიდებულია საქონლის ტიპსა და საბაჟო ღირებულებაზე	დაკავშირებულია საქონლის იმპორტთან
ქონების გადასახადი	0%-დან 1%-მდე	განაკვეთის დადგენა ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ

წყარო: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

როგორც ზემოთ ცხრილში არის ნაჩვენები, ამჟამად საქართველოში 6 ტიპის გადასახადი მოქმედებს, რაც საგადასახადო კოდექსში ბოლო 20-25 წლის მანძილზე განხორციელებული ცვლილებებისა და საგადასახადო სფეროში გატარებული რეფორმების შედეგია. აღნიშნული 6 გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ჩამლას თუ წარმოვადგენთ, დღე და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებს ყველაზე დიდი წილი უკავია როგორც მთლიან გადასახადებში, ასევე - გადასახადების ცვლილებაში კონტრიბუციის კუთხით.


გრაფიკი 19: გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების კონტრიბუცია, წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას ბიუჯეტში მიღებული შემოსავლები გამოიყენება ხარჯების დასაფინანსებლად. ხარჯები, თავის მხრივ, გაიწევა სხვადასხვა მიზნობრიობით და ჩაშლილია დანიშნულების მიხედვით. ხარჯების ძირითადი კატეგორიები შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები.


გრაფიკი 20: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი GDP-ში, წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური


როგორც გრაფიკიდანაც ვხედავთ, ხარჯების ძირითადი ნაწილი განაწილებულია სოციალურ უზრუნველყოფაზე, შრომის ანაზღაურებასა და საქონელსა და მომსახურებაზე. როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე ჩანს, აღნიშნული 3 კომპონენტი მიმდინარე ხარჯების დაახლოებით 70 პროცენტს მოიცავს ბოლო წლებისთვის. ამასთან, ხარჯები ძირითადად ხასიათდება ზრდით და აღნიშნულში ძირითადი წვლილი სწორედ სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებსა და სუბსიდიებს შეაქვთ, ბოლო პერიოდში კი ასევე შრომის ანაზღაურებაც გაიზარდა. სოციალურ უზრუნველყოფასა და სუბსიდიებზე ხარჯების ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა პანდემიის პერიოდში, როდესაც მიმდინარე ხარჯები 2020 წელს 23.7 პროცენტით გაიზარდა, აღნიშნულ ზრდაში კი სოციალური უზრუნველყოფისა და სუბსიდიების წილი ჯამში 17.9 პროცენტს შეადგენდა (12.7 და 5.2 პროცენტი, შესაბამისად).

გრაფიკი 21: ხარჯების ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გრაფიკი 22: ხარჯების დეკომპოზიცია, პროცენტულად მთლიან ხარჯებში



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ჩვენი ნაშრომის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რას ვგულისხმობთ მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებში. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯები შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც მიმდინარე ხარჯებისა და კაპიტალური ხარჯების ჯამი, სადაც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ხარჯები მიმდინარე ხარჯებს მიეკუთვნება, ხოლო კაპიტალური ხარჯები არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდას წარმოადგენს. შესაბამისად, ბიუჯეტის მთლიანი სალდო შემოსავლებისა და მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ჯამის სხვაობას წარმოადგენს.

$$\begin{aligned}
 \text{მთლიანი სალდო} &= \text{შემოსავლები} - \text{ხარჯები} - \text{არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა} \\
 &= \text{შემოსავლები} - \text{მიმდინარე ხარჯები} - \text{კაპიტალური ხარჯები}
 \end{aligned}$$

მიმდინარე ანალიზისთვის ბიუჯეტის დეფიციტად სწორედ ბიუჯეტის მთლიან სალდოს გამოვიყენებთ. თუმცა, დეფიციტის გამოსათვლელად ასევე გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული მოდიფიცირებული დეფიციტი, რაც გულისხმობს მთლიანი სალდოს კორექტირებას ფინანსური აქტივების წმინდა ზრდით (აკლდება). IMF მოდიფიცირებული დეფიციტის გამოყენებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ მიზეზით, რომ ზოგჯერ ფინანსური აქტივების ზრდაში აისახება კაპიტალურ პროექტებზე გაწეული ხარჯები (თუკი ეს სახელმწიფო საწარმოს მიერ არის გაწეული), ამიტომ მოდიფიცირებული დეფიციტი უფრო სრულად შეიძლება

ასახავდეს ყველანაირი ხარჯის გაწევის შემდეგ არსებულ ბალანსს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია საოპერაციო და მთლიანი სალდო წლების მიხედვით საქართველოში, რომელთა შორის სხვაობაც არაფინანსური აქტივების ცვლილებას წარმოადგენს. ამავე გრაფიკზე წარმოდგენილია IMF-ის მეთოდოლოგიის გამოთვლილი ფისკალური ბალანსი, რაც მთლიანი სალდოსგან ფინანსური აქტივების წმინდა ზრდით განსხვავდება.

გრაფიკი 23: ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ანალიზის პროცესში ნაშრომში გამოყენებული კიდეც ერთი მაჩვენებელია მთავრობის მოხმარება, რაც გულისხმობს მიმდინარე ხარჯებიდან შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ჯამს. სუბსიდიები და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები კი ტრანსფერებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ.

საქართველო მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანას მიეკუთვნება, რომელსაც მცირე ზომის სახელმწიფო სექტორი გააჩნია. აღნიშნულში იგულისხმება სახელმწიფო ხარჯების წილი GDP-სთან. შეიძლება ითქვას, რომ რამდენად მაღალია ეკონომიკაში სახელმწიფო ხარჯების წილი, ეს გარკვეულწილად დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების დონესთან, ვინაიდან მეტად განვითარებულ ქვეყნებს რესურსებიც უფრო მაღალი აქვთ და მეტი დანახარჯის გაწევის შესაძლებლობაც. აღნიშნულისთვის შეგვიძლია ერთმანეთს

შევადართ საქართველოსა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობის ზომა. გრაფიკზე მწვანე ფერად აღნიშნულია ევროკავშირის წვრი ქვეყნები.


გრაფიკი 24: მთავრობის ზომა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფოს ხარჯებსა და მთლიან სამამულო პროდუქტს მოსახლეობის 1 სულზე, საქართველოსთვის შემდეგნაირად გამოიყურება და როგორც გრაფიკიდან ჩანს, არსებობს დადებითი კავშირი ბიუჯეტის ხარჯების GDP-სთან პროცენტულ ზრდასა და მოსახლეობის 1 სულზე GDP-ს შორის.

გრაფიკი 25: ბიუჯეტის დანახარჯები და მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე საქართველოში






წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი

აღნიშნული კავშირი შევამოწმოთ სხვა ქვეყნებისთვისაც, თუ რამდენად არის ქვეყნის განვითარების დონე და მოსახლეობის 1 სულზე არსებული მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი ბიუჯეტის მთლიან დანახარჯებთან კორელაციაში, რაც მთავრობის ზომას წარმოადგენს. შედარებისთვის ავიღეთ რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის როგორც საქართველოსთან ახლოს მყოფი ქვეყნები მოსახლეობის 1 სულზე GDP-ის მიხედვით, ასევე - უფრო მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან.

გრაფიკი 26: ბიუჯეტის დანახარჯებისა და მოსახლეობის 1 სულზე GDP-ის დამოკიდებულება ზოგიერთ ქვეყანაში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

გრაფიკის გაფერადებული ნაწილი განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს მოიცავს, მათ შორის: საბ-საჰარის აფრიკა, შუა-აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია, განვითარებადი აზია, განვითარებადი ეკონომიკები, განვითარებადი ევროპა, ლათინური ამერიკა, ასეაი-5, ხოლო გაუფერადებელი მარჯვენა მხარე მოიცავს ევროკავშირის, G7 და განვითარებულ ეკონომიკებს. შედეგები აჩვენებს, რომ მეტად განვითარებული ქვეყნების ჯგუფში, სადაც GDP მოსახლეობის 1 სულზე უფრო მაღალია, ბიუჯეტის დანახარჯებიც უფრო მაღალია, განვითარებადი ქვეყნების შედეგებთან შედარებით. საქართველო დაახლოებით ტრენდის ხაზთან არის დაფიქსირებული და გვიჩენს ვარაუდს, რომ განვითარების ეტაპების პარალელურად გაიზრდება ბიუჯეტის დანახარჯებიც.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე კი წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ზომა (სახელმწიფო ხარჯების წილი GDP-სთან) და ეკონომიკური ზრდა. როგორც გრაფიკებიდან ჩანს, აღნიშნულ ინდიკატორებს შორის იკვეთება გარკვეულწილად უკუპროპორციული კავშირი, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ რაც უფრო იზრდება ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის დონე და მაღალია ეკონომიკური ზრდა, ეს იწვევს ხარჯების უფრო შემცირებას, საჭიროების ნაკლებობიდან გამომდინარე. აღნიშნული მიდგომა კონტრციკლურ ფისკალურ პოლიტიკას ახასიათებს.

გრაფიკი 27: მთავრობის ზომა და ეკონომიკური ზრდა საქართველოში




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთავრობის ზომის რაღაც დონემდე გაზრდა ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, ხოლო გარკვეული დონის ე.წ მთავრობის ოპტიმალური ზომის შემდეგ, შესაძლებელია აღნიშნულმა ეკონომიკის ზრდა შეაფერხოს. როგორც მიქელაძე (2023ა) აღნიშნავს, 1996-დან 2022 წლამდე არსებული მონაცემების გათვალისწინებით მიღებულ მთავრობის ზომის ოპტიმალურ დონედ მიჩნეულია 24.9 პროცენტი, ხოლო ტაბაგუა (Tabagua, 2017) აღნიშნავს, რომ ოპტიმალური დონე საქართველოსთვის 2017 წლამდე მონაცემებისთვის 21 პროცენტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფისკალური ინდიკატორია მთავრობის ვალი, რაც ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს და იცვლება წლების მიხედვით როგორც რაოდენობრივად, ასევე - კომპოზიციურად. მთავრობის ვალი ეროვნული ბანკის საგარეო ვალთან ერთად (IMF-ის მიმართ) ქმნის სახელმწიფო ვალს. მთავრობის ვალის დეკომპოზიცია შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც საშინაო და საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრების მეშვეობით არსებული ვალი, სადაც საგარეო ვალი აღებულია როგორც ორმხრივი (ქვეყნებიდან), ასევე - მრავალმხრივი (ორგანიზაციებიდან) კრედიტორებისგან, რასაც ემატება სხვა საგარეო ვალდებულებები ევრობონდების სახით. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვალს მუდმივად მნიშვნელოვნად მაღალი წილი უკავია საქართველოს მთავრობის ვალში, ბოლო წლებში შეიმჩნევა საშინაო ვალის წილის ზრდა, საგარეოს წილის შემცირების ხარჯზე.

გრაფიკი 28: მთავრობის ვალის დეკომპოზიცია, %-ულად GDP-სთან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმისთვის, რომ ფისკალური პოლიტიკა მეტად სტაბილური იყოს როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე საშუალოვადიან პერსპექტივაში, საქართველოში 2011 წელს შემოიღეს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ეს კი გამოიხატება დაბალ გადასახადებში, პასუხისმგებლიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და მცირე მთავრობაში¹⁹. აღნიშნული კანონის მიხედვით, საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება ან განაკვეთის ზრდა, აქციზის გარდა, რეფერენდუმით არის შესაძლებელი²⁰.

ფისკალური წესები, რაც აწესებს მაკროეკონომიკური პარამეტრების ზედა ზღვარს, შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

ცხრილი 25: ფისკალური წესები საქართველოში

ვალის წესი	ბალანსის წესი	შემოსავლების წესი
<ul style="list-style-type: none"> • მთავრობის ვალის შეფარდება GDP-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს 	<ul style="list-style-type: none"> • ერთიანი დეფიციტის შეფარდება GDP-სთან არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს 	<ul style="list-style-type: none"> • კრძალავს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გარდა აქციზისა

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. აგებულია ავტორის მიერ

როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან არსებული ტრენდი გვიჩვენებს, 2007 წლამდე ვალის მთლიან სამამულო პროდუქტთან ფარდობა მცირდებოდა, ხოლო 2008 წლიდან 2020 წლამდე ძირითადად იზრდებოდა, გარდა 2011 და 2018 წლებისა. 2020 წელს ვალის მაჩვენებელმა 60 პროცენტთან ზედა ზღვარს მიაღწია, რაც კოვიდ-19 პანდემიის შედეგად შემცირებული შემოსავლებისა და გაზრდილი დანახარჯების შედეგი იყო, თუმცა შემდგომ განხორციელებულმა ფისკალურმა პოლიტიკამ ორ წელიწადში ვალი კვლავ

¹⁹ https://mof.ge/images/File/2025_Biujeti/26-02-2025/Citizens%20Guide%202025-%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98.pdf

²⁰ <https://matsne.gov.ge/document/view/1405264?publication=2>

პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას დაუბრუნა და 40 პროცენტთან ნიშნულს ჩამოსცდა. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტრო, ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას ცდილობს ვალის მაჩვენებელი 40 პროცენტთან ნიშნულზე მაღლა არ დაგეგმოს. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვადასხვა სარეიტინგო კომპანია²¹ აღნიშნავს, ვალის მეტად უსაფრთხო დონედ განვითარებადი ქვეყნებისთვის სწორედ 40 პროცენტთან ნიშნულია. ამასთან, როგორც არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, მნიშვნელოვანი ეკონომიკური შოკის დროს ვალის არაუმეტეს 60 პროცენტამდე გაზრდა იმ შემთხვევაში მოხდა, როდესაც ვალი 40 პროცენტამდე იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პერიოდში ადგილი ჰქონდა დეფიციტის წესის დარღვევას (ასევე, მონაცემების დაზუსტებამდე ვალის მაჩვენებელიც 60 პროცენტზე ზემოთ ფიქსირდებოდა), რა დროსაც მთავრობის მიერ წარდგენილ BDD მონაცემებში საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზებთან დაკავშირებით, წარდგენილი უნდა იყოს გეგმა, თუ როგორც შემცირდება 3 წელიწადში აღნიშნული ფისკალური მაჩვენებლები და დაბრუნდება ზღვრულ მოცულობაში. მაგალითად, ბიუჯეტის დეფიციტი აღემატებოდა 3 პროცენტთან მაჩვენებელს 2020 წელს და 9 პროცენტის ფარგლებში იყო, თუმცა, შესაბამისად განხორციელებული ფისკალური პოლიტიკის შედეგად, 2023 წელს უკვე 2.5 პროცენტზე დაბლა ჩამოვიდა. ამ პერიოდში გაიზარდა როგორც შემოსავლები, ასევე შემცირდა ხარჯები. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა ფისკალურ კონსოლიდაციას, რამაც შეამცირა ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი.

ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას, როდესაც დასტაბილურდა მაკროეკონომიკური ინდიკატორები და ზღვრულ მოცულობას დაუბრუნდა ვალისა და დეფიციტის მაჩვენებლები, მნიშვნელოვანია ასევე გავანალიზოთ გავლენა სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადებზეც და ვნახოთ, ფისკალური პოლიტიკის გამკაცრების შემთხვევაში როგორი შეიძლება იყოს გავლენა სხვადასხვა ეკონომიკურ ცვლადზე და რამდენად განსხვავდება მოსალოდნელი შედეგები გამოყენებული


²¹ სარეიტინგო კომპანიები: Fitch, StandardandPoors (S&P), Moody's.

ინსტრუმენტების მიხედვით. შემდეგი ქვეთავი სწორედ აღნიშნული საკითხის კვლევას დაეთმობა საქართველოს მაგალითზე.

3.2 კონსოლიდაციის განხორციელების შესაძლო მაკროეკონომიკური ეფექტები საქართველოში

ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას შესაძლო მაკროეკონომიკურ ეფექტებზე სანამ ანალიზს ჩავატარებთ, წარმოვადგინოთ თეორიული ჩარჩო, რაც ასახავს სხვადასხვა ფისკალური ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენის თეორიულ ანალიზს და მათ ურთიერთკავშირს. აღნიშნული შედეგები არის ჩვენი ვარაუდი და ეფუძნება სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულების თეორიულ ცოდნას, ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა თუ ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

გრაფიკი 29: ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო ეფექტების თეორიული ჩარჩო



წყარო: აგებულია ავტორის მიერ

იმის სანახავად, თუ რეალურად საქართველოს არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით რა გავლენას მოახდენს ფისკალური კონსოლიდაციის სხვადასხვა

ინსტრუმენტი ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, ქვემოთ ჩატარებულია ანალიზი და წარმოდგენილია შედეგები.

3.2.1 კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის წინა თავებში ვისაუბრეთ ფისკალური პოლიტიკისა და უფრო კონკრეტულად კი ფისკალური კონსოლიდაციის არსსა და მნიშვნელობაზე ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესში. ასევე ვაჩვენეთ, რომ ზოგიერთი ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა ფისკალური კონსოლიდაციის დროს ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის შემცირებას, არამედ - ასევე ეკონომიკურ ზრდასაც. ასევე წარმოვადგინეთ განსხვავება ბიუჯეტის დანახარჯების კომპოზიციის შედეგებს შორის და ინკლუზიურ ზრდაზე გავლენა. შესაბამისად, მიმდინარე ქვეთავში ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ სხვა მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე, რაზეც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ფისკალურ კონსოლიდაციას და გამოყენებულ ინსტრუმენტებს.

ფისკალური კონსოლიდაციის ეკონომიკაზე გავლენის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის ჩატარებული კვლევებიდან გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, გამოყენებული მეთოდოლოგიისა და მიღებული ძირითადი შედეგების შესახებ ინფორმაციით. ამასთან, აღსანიშნავია რომ შედეგები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან, ვინაიდან ფისკალური კონსოლიდაციის საბოლოო ეფექტი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე, ინსტრუმენტის ზომასა და სახეობაზე, მონეტარული პოლიტიკის რეაქციაზე (Klyuev & Snudden, 2011).

ცხრილი 26: ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ეკონომიკაზე

ნაშრომი	საანალიზო ქვეყნები და პერიოდი	გამოყენებული მეთოდოლოგია	ძირითადი შედეგები
---------	-------------------------------	--------------------------	-------------------

Klyuev & Snudden (2011)	ჩეხეთი და ევროკავშირი, 2011 წელი	გლობალურად ინტეგრირებული მონეტარული და ფისკალური მოდელი (Global Integrated Monetary and Fiscal - GIMF) მოდელი (დინამიკური სტრუქტურული საერთო წონასწორობის მოდელი)	ფისკალური კონსოლიდაციისას ყველაზე დიდი უარყოფითი ეფექტი აქვს სახელმწიფო ინვესტიციების შემცირებას და საშემოსავლო გადასახადის ზრდას, ხოლო ტრანსფერების და მიმდინარე ხარჯების ეფექტი GDP-ზე დადებითი ხდება მე-3 და მე-5 წელს
Pashourtidou (2014)	კვიპროსი, 1995 – 2013 წლები	ფაქტორებით გაფართოებული ვექტორ ავტორეგრესიული (Factor Augmented Vector Autoregression - FAVAR) მოდელი	სამთავრობო დანახარჯების შემცირება ან შემოსავლების ზრდა იწვევს GDP-ის შემცირებას კერძო მოხმარების, ინვესტიციებისა და დასაქმების შემცირების ხარჯზე
Castro (2017)	ევროკავშირის 15 ქვეყანა, 1990 – 2012 წლები	დროითი მწკრივის ანალიზი	ფისკალური კონსოლიდაციისას ყველაზე მეტად მცირდება ხარჯები თავდაცვაზე, საზოგადოებრივ წესრიგზე, გარემოსა და ჯანდაცვაზე
Papageorgiou and Vourvachaki (2017)	საბერძნეთი	DSGE მოდელი	თუ ფისკალური კონსოლიდაცია ხორციელდება სტრუქტურული რეფორმების პარალელურად, მოკლევადიან პერიოდში დანახარჯები იზრდება, თუმცა გრძელვადიან პერიოდში მიღებული სარგებელი მნიშვნელოვნად იზრდება
Ardanaz et al. (2021)	26 განვითარებული და 44 განვითარებადი	პანელური მონაცემების ანალიზი	როდესაც ფისკალური კონსოლიდაცია ხდება კაპიტალური ხარჯების შემცირებით, 1 კ.პ-ით

	ქვეყანა, 1980 – 2019 წლები		ცვლილება იწვევს გამოშვების 0.7 პ.პ-ით ცვლილებას 3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო მოხმარების შემცირებას კი ნაკლებად უარყოფითი ეფექტი აქვს
Beetsma (2021)	ევროკავშირის 13 ქვეყანა, 1978 – 2013 წლები	პანელური VAR მოდელი	შემოსავლების ცვლილებით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაცია მეტად საიმედო ჩანს, მაგრამ უარყოფითად არის დამოკიდებული ეკონომიკურ აქტივობაზე
Carriere-Swallow et al. (2021)	ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 14 ქვეყანა	ადგილობრივი პროგნოზირების მეთოდი (Local Projection Method - LP)	ფისკალური კონსოლიდაცია GDP-ის 1 პ.პ-ით ორი წლის მანძილზე GDP-ს დაახლოებით 0.9 პ.პ-ით შეამცირებს
Maebayashi (2023)	იაპონია, აშშ, საბერძნეთი, იტალია და პორტუგალია, 30 წელი	თაობათა გადაფარვის მოდელი (Overlapping Generations – OLG)	დაბალი პროდუქტიულობის მქონე ქვეყნებში უმჯობესია გადასახადებით განხორციელდეს ფისკალური კონსოლიდაცია, რადგან გადასახადის ზრდას მაღალი უარყოფითი ეფექტი აქვს შემოსავლებზე და გაართულებს ფისკალურ მდგრადობას

გარდა კონსოლიდაციისა, სხვადასხვა ავტორი ასევე თავის ნაშრომში აანალიზებს ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების ეფექტებს ეკონომიკაზე. აღნიშნულ ნაშრომებს მიეკუთვნება: მიქელაძე (2023ა), მიქიაშვილი (2023), ტაბალუა (2016), ტაბალუა (2023), ჩიხლაძე და რუსაძე (2019), Afonso and Sousa (2009), Afonso and Sousa (2010), Blanchard and Perotti (1999), Blanchard and Perotti (2002), Calderon and Serven (2004), Ducanes et al. (2006), Fragetta and Melina (2011), Jemec et al. (2011), Kabashi (2017), Karagöz and Keskin (2016), Martinez-Aguilar (2017), Martinez-Vazquez (2012), Mawejje et al. (2021), Mikeladze (2023), Nyasha & Odhiambo (2019), Oseni (2023), perotti (2004),

Tabaghua (2017), Woldu and Kano (2023), Yang (2015). აღნიშნულ ნაშრომებში ძირითადად გამოყენებულია ვექტორული ავტორეგრესიის (VAR), ბეიზიანური ვექტორული ავტორეგრესიის (BVAR), სტრუქტურული ვექტორული ავტორეგრესიული (SVAR) მოდელები და პანელური მონაცემების ანალიზი.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს შემთხვევაში ანალიზს ვატარებთ მხოლოდ 1 ქვეყნისთვის, ყველა სახის მოდელი არ გამოგვადგება სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე გავლენის შესაფასებლად, ამიტომ, გამოვიყენებთ შედარებით ყველაზე მოსახერხებელ ე.წ. ოპტიმალურ ვარიანტს, შედარებით მცირე დროითი მწკრივების არსებობის გათვალისწინებით.

თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, რა მონაცემებს გამოვიყენებთ ანალიზის პროცესში და დროის რა პერიოდისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია 1996 წლიდან (თუმცა ცვლადების დიდი ნაწილი უფრო გვიან, 2003 ან 2010 წლიდან არის ხელმისაწვდომი), შედარებით დიდი დროითი მწკრივისთვის უმჯობესია კვარტალური მონაცემების გამოყენება. კვარტალურის დროს, წლიური მონაცემებისგან განსხვავებით, დამატებით დაგვჭირდება სეზონურობის შემოწმება და გათვალისწინება. ვინაიდან ჩვენი ანალიზის დროს შოკისთვის ფისკალური მაჩვენებლების (გადასახადები ან ხარჯები) ცვლილება იგულისხმება, რომელთა კვარტალური მონაცემებიც ძირითადად 2010 წლიდან არის ხელმისაწვდომი, მიმდინარე ანალიზი 2010 წლის პირველი კვარტლიდან 2024 წლის ბოლო კვარტლის ჩათვლით მონაცემებს მოიცავს (2010Q1:2024Q4).

სხვადასხვა ნაშრომში გამოყენებული ცვლადებისა და საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკაციების გათვალისწინებით, მოდელში ჩავრთავთ შემდეგ ცვლადებს:

ცხრილი 27: ანალიზში გამოყენებული ცვლადები და მათი შესაბამისი აღნიშვნები მოდელში

ცვლადის დასახელება	მოდელში ცვლადის შესაბამისი აღნიშვნა
--------------------	-------------------------------------

მთლიანი სამამულო პროდუქტი	GDP
მიმდინარე ხარჯები	Cur_exp
მიმდინარე (მთავრობის) მოხმარება	g_cons
მთავრობის ტრანსფერები	Tr
გრანტები	Gr
პროცენტი	Int
სხვა ხარჯები	Ot
კაპიტალური ხარჯები	Cap_exp
პირდაპირი გადასახადები	Dir_tax
საშემოსავლო	Income_tax
მოგების	Profit_tax
არაპირდაპირი გადასახადები	Indir_tax
დღგ	Vat_tax
კერძო მოხმარება	Pr_cons
კერძო ინვესტიციები	Pr_inv
ექსპორტი	Export
იმპორტი	Import

ინფლაცია	Inflation
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი	REER
საგარეო მოთხოვნა	F_demand
იმპორტირებული ინფლაცია	Imflation

მთლიანი სამამულო პროდუქტი, კერძო ინვესტიციები და კერძო მოხმარება, ექსპორტი, იმპორტი და ასევე ინფლაციის შესახებ მონაცემები აღებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ინდექსის სახით არის წარმოდგენილი და აღებულია ეროვნული ბანკის მონაცემებიდან, 1995 წლის საშუალოს მიხედვით (1995 დეკემბერი = 100). დანარჩენი მონაცემები კი ფისკალურ ცვლადებს წარმოადგენს და ფინანსთა სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტის მონაცემებია გამოყენებული. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადები, ხოლო დღგ, აქციზი, იმპორტი და სხვა გადასახადები არაპირდაპირ გადასახადებს წარმოადგენს.

პირდაპირი გადასახადები წარმოადგენს საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ჯამს, ხოლო არაპირდაპირი გადასახადები არის დღგ-ის, აქციზის, იმპორტისა და სხვა გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ჯამი. თუმცა გადასახადის ცვლილების გავლენის სანახავად ნაერთი ბიუჯეტის მონაცემები ასევე ჩაშლილი გვაქვს არა მხოლოდ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად, არამედ გამოვიყენებთ საშემოსავლო, მოგებისა და დღგ-ს გადასახადებიდან მიღებულ შემოსავლებსაც (სადაც საშემოსავლო და მოგების გადასახადი პირდაპირი გადასახადების ძირითად კონტრიბუტორებს წარმოადგენენ, ხოლო დღგ-ს არაპირდაპირ გადასახადში შეაქვს ძირითადი წვლილი. რაც შეეხება დანახარჯებს, აქაც შეგვიძლია უფრო დეტალური ჩაშლა გავაკეთოთ. კაპიტალური

ხარჯებისთვის გამოვიყენებთ ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდას, ხოლო მიმდინარე ხარჯებს ჩავშლით, როგორც:

- მიმდინარე (მთავრობის) მოხმარება, როგორც დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ხარჯების ჯამი;
- მთავრობის ტრანსფერები, როგორც სუბსიდიებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების ჯამი;
- გრანტები;
- პროცენტი;
- სხვა ხარჯები.

მიმდინარე ხარჯების აღნიშნული დაყოფა თანხვედრაშია სხვადასხვა ლიტერატურაში მოცემული ანალიზის, მათ შორის საქართველოსთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაშიც ტაბალუა (ტაბალუა, 2023) სწორედ ასეთ დაყოფას იყენებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund, 2013) მთავრობის მოხმარებაში დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ხარჯების ჯამს გულისხმობს, ხოლო Perotti (2004) დაქირავებულთა შრომის ანაზღაურებას ცალკე განიხილავს და მთავრობის მოხმარებას ყოფს სახელფასო და არასახელფასო კომპონენტებად.

იმისთვის, რომ ჩატარებული ანალიზის შედეგებით შესაძლებელი იყოს ეკონომიკური შინაარსის მიღება, ყველა მონაცემი გადაყვანილია რეალურ მაჩვენებლებში, რისთვისაც GDP-სთვის გამოყენებულია GDP დეფლატორი, ხოლო დანარჩენი ცვლადებისთვის - სამომხმარებლო ფასების ინდექსი. სამომხმარებლო ფასების ინდექსი მოცემულია 2010 წლის საშუალო (2010 საშუალო = 100) და გადაყვანილია 2019 წლის საშუალოს მიხედვით, მთლიანი სამამულო პროდუქტის მსგავსად. შესაბამისად, როგორც რეალური GDP, ასევე დანარჩენი ცვლადები 2019 წლის ფასებშია გადაყვანილი.

ვინაიდან მონაცემები კვარტალურია, მათ ახასიათებთ სეზონურობა, ამიტომ აღნიშნული პრობლემა გადაწყვეტილია ცვლადების სეზონურად შესწორებით (X-13 მეთოდით). ყოველი ცვლადი შემოწმებულია სტაციონალურობაზე ADF და PP ტესტებით, რის შედეგადაც მონაცემები არასტაციონალური აღმოჩნდა, ამიტომ აღებულია მათი ლოგარითმები, ხოლო ლოგარითმების შემოწმების შემდეგ მათი სტაციონალურობის აღმოჩენისას გამოყენებული გვაქვს პირველი რიგის სხვაობები.

ანალიზისთვის ეგზოგენურ ცვლადად ზოგიერთ მოდელში ასევე გამოვიყენებთ საგარეო მოთხოვნისა და იმპორტირებული ინფლაციის ცვლადებს.

საგარეო მოთხოვნისთვის ავიღეთ სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისთვის შეწონილი GDP, რაც საგარეო მოთხოვნიდან მომდინარე ცვლილებებს ასახავს, ფისკალური პოლიტიკის ცვლილებისგან დამოუკიდებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების შესახებ რეალური GDP-ის მონაცემები გვაქვს წლიური, ხოლო ჩვენი ანალიზი კვარტალურია, თავდაპირველად საჭიროა აღნიშნული წლიური მონაცემების გარდაქმნა, რათა დავყოთ კვარტლებად. აღნიშნული ინტერპოლაციის შედეგად კი გვექნება 2 დროითი მწკრივი კვარტალური მონაცემებით და ყოველი წლისთვის ავიღებთ მათ საშუალო შეწონილ მაჩვენებელს, რაც საგარეო მოთხოვნის ცვლადს წარმოადგენს ჩვენს ანალიზში. მიუხედავად იმისა, რომ ინტერპოლაციის შედეგად მიღებული GDP-ს მონაცემები სრულად არ შეესაბამება რეალურ მაჩვენებლებს, შეწონვის შედეგად მიღებულ საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს.

იმპორტირებული ინფლაციისთვის კი აღებულია მხოლოდ იმ პროდუქტების ფასების ცვლილება, რომლებიც იმპორტირებულ პროდუქციას მიეკუთვნება. საგარეო მოთხოვნის ინდექსისა და იმპორტირებული ინფლაციის გაანგარიშების შესახებ ჩატარებული გამოთვლების შესახებ უფრო დეტალურად აღწერილია დანართ 4-ში.

მოდელის შერჩევისთვის არსებული ლიტერატურიდან გამოიკვეთა როგორც VAR მოდელი, ასევე - ადგილობრივი პროგნოზირების მეთოდი (local Projection – LP) და

ფაქტორებით გაფართოებული VAR (FAVAR), რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ფისკალური პოლიტიკის ეფექტების განსაზღვრისთვის. ვინაიდან ჩვენს მიზანს ფისკალური შოკების ცვლილების სხვადასხვა დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის შეფასება წარმოადგენს, უმჯობესია გამოვიყენოთ VAR მოდელი, რომლის გამოყენებაც ხშირად უმჯობესია ეკონომიკური ხასიათის დროითი მწკრივების დროს. აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს, რომ დამოკიდებულ ცვლადზე გავლენას ახდენს როგორც სხვადასხვა დამოუკიდებელი ცვლადი, ასევე - მისი დროითი ლაგი.

როგორც Blanchard and Perotti (2002) და Perotti (2004) ნაშრომებშია წარმოდგენილი, VAR მოდელი გამარტივებული სახით ჩაიწერება, როგორც:

$$X_t = A(L)X_{t-1} + U_t$$

სადაც X_t ენდოგენური ცვლადების ვექტორია, $A(L)$ გვიჩვენებს ლაგური კოეფიციენტების მატრიცას, ხოლო U ამ ცვლადების შეცდომების ვექტორს ასახავს. განტოლება ასევე მოიცავს თავისუფალ წევრს, ფიქტიურ ცვლადსა და დროის წრფივ ტრენდს.

დაახლოებით მსგავსი ჩანაწერი გვხვდება Karagöz and Keskin (2016) ნაშრომში, სადაც უფრო გაშლილად არის განტოლება წარმოდგენილი. შესაბამისად, სტანდარტული VAR მოდელი, რომელიც p ლაგის მქონე n ცვლადისგან შედგება, შეგვიძლია ჩავწეროთ, როგორც:

$$y_t = c + \sum_{i=1}^p y_{t-p} b_i + Dz_t + \varepsilon_t$$

სადაც y_t მოიცავს n ენდოგენურ ცვლადს და წარმოდგენილია $nx1$ ვექტორით t პერიოდში, D არის nxd პარამეტრების მატრიცა, ხოლო z_t ეგზოგენური ცვლადების $dx1$ ვექტორს წარმოადგენს. c არის მუდმივი წევრის $nx1$ ვექტორი, ხოლო b_i კოეფიციენტების nxn მატრიცას წარმოადგენს, თითოეული ლაგისთვის. ამასთან, ε_t შეცდომების ე.წ „თეთრი ხმაურის“ $nx1$ ვექტორს წარმოადგენს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვინაიდან მონაცემების რაოდენობა არც ისე დიდი გვაქვს მოდელში (კვარტალური მონაცემები 15 წლისთვის, დაკვირვების 60 წერტილი თითოეული ცვლადისთვის - 2010Q1:2024Q4), ზოგჯერ VAR მოდელი შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს შესაბამის ეკონომიკურ შინაარსსა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს.

VAR მოდელში ანალიზის დროს ბევრი ცვლადი რომ არ ჩავრთოთ მოდელში, ფისკალური შოკები დაყოფილი გვექნება, როგორც ცალკე დანახარჯების მიმართულებით (საშემოსავლო, მოგებისა და დღგ-ის ცვლილებით განხორციელებული) და ცალკე ხარჯების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები. რაც შეეხება ენდოგენურ ცვლადებს, ყველა ცვლადზე ცალ-ცალკე გვექნება VAR მოდელი აგებული, რათა თითოეული მათგანზე ვნახოთ ფისკალური შოკების გავლენა. შესაბამისად, დამოკიდებული ცვლადისთვის 2 მოდელი იქნება წარმოდგენილი.

$$X_t \equiv \begin{cases} GDP \\ pr. cons \\ pr. inv \\ export \\ import \\ inflation \\ reer \end{cases}$$

ანალიზში გამოყენებული ცვლადების შესახებ ზოგადი ინფორმაცია წარმოდგენილია 28-ე ცხრილში.

ცხრილი 28: ინფორმაცია ანალიზში გამოყენებულ (რეალურ) ცვლადებზე

ცვლადი	საშუალო	მინიმუმი	მაქსიმუმი	სტანდარტული გადახრა
მთლიანი სამამულო პროდუქტი	11,357	6,134	18,936	2,957
მიმდინარე ხარჯები	2,682	1,516	4,718	702

მიმდინარე (მთავრობის) მოხმარება	864	587	1,363	146
მთავრობის ტრანსფერები	1,264	610	2,299	445
გრანტები	8	1	41	7
პროცენტი	135	44	363	64
სხვა ხარჯები	411	213	837	124
კაპიტალური ხარჯები	602	70	1,483	373
პირდაპირი გადასახადები	1,168	640	2,303	383
საშემოსავლო	770	367	1,385	254
მოგების	280	110	835	129
არაპირდაპირი გადასახადები	1,492	827	2,411	395
დღგ	1,146	664	1,890	296
კერძო მოხმარება	10,029	5,861	16,466	2,430
კერძო ინვესტიციები	2,806	1,257	4,823	816
ინფლაცია	4.5%	-1.9%	13.3%	4.1%
ექსპორტი	4,995	1,926	10,131	1,951

იმპორტი	6,473	2,909	10,311	1,910
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	98	73	135	20
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი	125	105	155	11
საგარეო მოთხოვნა	684	314	1,428	219
იმპორტირებული ინფლაცია	0.9%	-1.4%	4.6%	1.4%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, ავტორის გამოთვლები

მას შემდეგ, რაც რეალური მონაცემები შევასწორეთ სეზონურად და სეზონურობის პრობლემა აღმოიფხვრა, ანალიზის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს დროითი მწკრივების სტაციონალურობის შემოწმება და აქედან გამომდინარე, შერჩეული ცვლადების ქცევის შესწავლა.

სტაციონალურობის შესამოწმებლად ერთეულოვანი ფესვის (unit root) ტესტი გვაქვს გამოყენებული, სადაც აღებული გვაქვს როგორც თავისუფალი წევრი, ასევე - წრფივი ტრენდი. ერთმანეთს შევადარეთ ორი სხვადასხვა ტესტის შედეგები, როგორცაა დიკი-ფულერის დაზუსტებული (Augmented Dickey-Fuller – ADF) და ფილიპს-პერონის (Phillips-Perron – PP) ტესტები, რომლებმაც ძირითადად მსგავსი შედეგები აჩვენა. მიღებული შედეგები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი და როგორც ვხედავთ, ცვლადები არასტაციონალურია დონეებზე, ხოლო პირველი რიგის სხვაობისას ისინი ხდებიან სტაციონალურები 1 პროცენტთან მნიშვნელობით. ამასთან, ცხრილში აღარ წარმოვადგინეთ მიმდინარე ხარჯებისა და პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ცალკეული ელემენტები, თუმცა მათი შემოწმების შედეგადაც იგივე შედეგები მივიღეთ. გამონაკლისია არაპირდაპირი გადასახადები, რაც ცხრილშიც არის ნაჩვენები და

ერთეულოვანი ფესვის შემოწმებისას გამოვლინდა მისი სტაციონალურობა დონეებში, თუმცა ანალიზში არაპირდაპირი გადასახადებისთვის დღგ-ს გამოვიყენებთ, რაც დონეებში არასტაციონალური იყო და პირველი რიგის სხვაობით გახდა სტაციონალური.

ცხრილი 29: ერთეულოვანი ფესვის ტესტი

ცვლადი	ADF ტესტი		PP ტესტი	
	დონე	პირველი რიგის სხვაობა	დონე	პირველი რიგის სხვაობა
მთლიანი სამამულო პროდუქტი (GDP)	-2.21	-10.3**	-1.94	-11.4**
მიმდინარე ხარჯები (g_cons)	-1.82	-12.92**	-3.46	-13.28**
კაპიტალური ხარჯები (cap_exp)	-3.95*	-9.9**	-3.88*	-11.55**
პირდაპირი გადასახადები (dir_tax)	-0.04	-8.87**	-3.28	-15.45**
არაპირდაპირი გადასახადები (indir_tax)	-4.24**		-4.25**	
კერძო მოხმარება (pr_cons)	-3.84*	-11.63**	-3.88*	-14.2**

კერძო ინვესტიციები (pr_inv)	-4.12*	-5.91**	-4.13**	
ინფლაცია (inflation)	-4.19**		-2.5	-4.7**
ექსპორტი (export)	-3.42	-5.76**	-2.23	-5.56**
იმპორტი (import)	-3.67*	-7.42**	-3.61*	-10.41**
CPI (cpi)	-1.53	-5.05**	-1.27	-4.89**
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (reer)	-2.06	-5.49**	-1.7	-5.44**
საგარეო მოთხოვნა (f_demand)	-2.88	-10.59**	-2.9	-10.59**
იმპორტირებული ინფლაცია (imflation)	-3.38	-5.56**	-2.72	-5.06**

სადაც * არის 5 პროცენტის მნიშვნელობის დონე, ხოლო ** არის 1%-იანი მნიშვნელობის დონე

გამომდინარე იქიდან, რომ ცვლადები არასტაციონალური აღმოჩნდა ერთეულოვანი ტესტის შემოწმებისას, ანალიზის შემდეგ ნაბიჯს კონტეგრაციის ტესტის ჩატარება წარმოადგენს, რათა ვნახოთ თუ არსებობს მათ შორის გრძელვადიანი კავშირი.

კონტეგრაციის Trace და Maximum Eigenvalue ტესტებმა აჩვენა კონტეგრაციის არსებობა, რაც ცვლადებს შორის ერთიერთკავშის აჩვენებს. აღნიშნულისთვის შევარჩიეთ სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებელი და ფისკალური ინდიკატორები.

ცხრილი 30: კონტეგრაციის ტესტი სხვადასხვა შერჩეული ცვლადისთვის

Date: 04/21/25 Time: 01:17				
Sample (adjusted): 2010Q3 2024Q4				
Included observations: 58 after adjustments				
Trend assumption: Linear deterministic trend				
Series: GDP CAP_EXP G_CONS TR GR INT OT INCOME_TAX PROFIT_TAX VAT_TAX				
Lags interval (in first differences): 1 to 1				
Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.741735	269.1814	239.2354	0.0010
At most 1	0.604650	190.6628	197.3709	0.1021
At most 2	0.541420	136.8397	159.5297	0.4288
At most 3	0.364479	91.62173	125.6154	0.8334
At most 4	0.322465	65.32970	95.75366	0.8571
At most 5	0.239839	42.75066	69.81889	0.8940
At most 6	0.187578	26.84562	47.85613	0.8600
At most 7	0.161265	14.79699	29.79707	0.7931
At most 8	0.070822	4.597057	15.49471	0.8500
At most 9	0.005788	0.336655	3.841465	0.5618
Trace test indicates 1 cointegrating eqn(s) at the 0.05 level				
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level				
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values				
Unrestricted Cointegration Rank Test (Maximum Eigenvalue)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Max-Eigen Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.741735	78.51860	64.50472	0.0014
At most 1	0.604650	53.82313	58.43354	0.1329
At most 2	0.541420	45.21796	52.36261	0.2233
At most 3	0.364479	26.29202	46.23142	0.9376
At most 4	0.322465	22.57904	40.07757	0.8946
At most 5	0.239839	15.90504	33.87687	0.9567
At most 6	0.187578	12.04863	27.58434	0.9307
At most 7	0.161265	10.19993	21.13162	0.7256
At most 8	0.070822	4.260402	14.26460	0.8309
At most 9	0.005788	0.336655	3.841465	0.5618
Max-eigenvalue test indicates 1 cointegrating eqn(s) at the 0.05 level				
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level				
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values				

Date: 04/21/25 Time: 01:24
Sample (adjusted): 2010Q3 2024Q4
Included observations: 58 after adjustments
Trend assumption: Linear deterministic trend
Series: PR_CONS PR_INV CAP_EXP G_CONS TR GR INT OT INCOME_TAX
PROFIT_TAX VAT_TAX
Lags interval (in first differences): 1 to 1

Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.721531	320.4524	285.1425	0.0007
At most 1 *	0.627085	246.3024	239.2354	0.0231
At most 2	0.615827	189.0908	197.3709	0.1191
At most 3	0.483149	133.6044	159.5297	0.5182
At most 4	0.373996	95.32435	125.6154	0.7415
At most 5	0.335768	68.15719	95.75366	0.7808
At most 6	0.265796	44.42801	69.81889	0.8486
At most 7	0.169952	26.50783	47.85613	0.8722
At most 8	0.161694	15.70409	29.79707	0.7329
At most 9	0.083279	5.474510	15.49471	0.7565
At most 10	0.007408	0.431262	3.841465	0.5114

Trace test indicates 2 cointegrating eqn(s) at the 0.05 level

* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level

**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

Unrestricted Cointegration Rank Test (Maximum Eigenvalue)

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Max-Eigen Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.721531	74.15006	70.53513	0.0223
At most 1	0.627085	57.21154	64.50472	0.2085
At most 2	0.615827	55.48644	58.43354	0.0951
At most 3	0.483149	38.28004	52.36261	0.6030
At most 4	0.373996	27.16715	46.23142	0.9106
At most 5	0.335768	23.72918	40.07757	0.8407
At most 6	0.265796	17.92019	33.87687	0.8816
At most 7	0.169952	10.80374	27.58434	0.9702
At most 8	0.161694	10.22958	21.13162	0.7228
At most 9	0.083279	5.043248	14.26460	0.7364
At most 10	0.007408	0.431262	3.841465	0.5114

Max-eigenvalue test indicates 1 cointegrating eqn(s) at the 0.05 level

* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level

**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

Date: 04/21/25 Time: 01:25 Sample (adjusted): 2010Q3 2024Q4 Included observations: 58 after adjustments Trend assumption: Linear deterministic trend Series: EXPORT IMPORT CAP_EXP G_CONS TR GR INT OT INCOME_TAX PROFIT_TAX VAT_TAX Lags interval (in first differences): 1 to 1				
Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.765130	342.3493	285.1425	0.0000
At most 1 *	0.715484	258.3233	239.2354	0.0051
At most 2	0.615268	185.4192	197.3709	0.1664
At most 3	0.442573	130.0172	159.5297	0.6180
At most 4	0.393239	96.12066	125.6154	0.7192
At most 5	0.300246	67.14268	95.75366	0.8102
At most 6	0.233374	46.43515	69.81889	0.7819
At most 7	0.220315	31.02131	47.85613	0.6653
At most 8	0.153326	16.58712	29.79707	0.6703
At most 9	0.106383	6.933596	15.49471	0.5854
At most 10	0.007042	0.409899	3.841465	0.5220
Trace test indicates 2 cointegrating eqn(s) at the 0.05 level * denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level **Mackinnon-Haug-Michelis (1999) p-values				
Unrestricted Cointegration Rank Test (Maximum Eigenvalue)				
Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Max-Eigen Statistic	0.05 Critical Value	Prob.**
None *	0.765130	84.02594	70.53513	0.0018
At most 1 *	0.715484	72.90408	64.50472	0.0066
At most 2	0.615268	55.40202	58.43354	0.0967
At most 3	0.442573	33.89657	52.36261	0.8475
At most 4	0.393239	28.97798	46.23142	0.8344
At most 5	0.300246	20.70752	40.07757	0.9551
At most 6	0.233374	15.41385	33.87687	0.9680
At most 7	0.220315	14.43419	27.58434	0.7915
At most 8	0.153326	9.653522	21.13162	0.7765
At most 9	0.106383	6.523697	14.26460	0.5469
At most 10	0.007042	0.409899	3.841465	0.5220
Max-eigenvalue test indicates 2 cointegrating eqn(s) at the 0.05 level * denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level **Mackinnon-Haug-Michelis (1999) p-values				

ვინაიდან მოდელში ცვლადები სტაციონალური უნდა იყოს, ყველა მათგანი რეალურ მაჩვენებლებში გადაყვანისა და სეზონურად შესწორების შემდეგ, ლოგარითმების სახით გამოვიყენეთ. თუმცა, ლოგარითმების შემოწმების შემდეგაც აღმოჩნდა ზოგიერთი მათგანი არასტაციონალური, რისთვისაც მათი სხვაობების გამოყენება გახდა საჭირო. ასეთი ცვლადებია მთავრობის მოხმარება, ტრანსფერები, მოგების გადასახადი და ექსპორტი.

ცხრილი 31: ერთეულოვანი ფესვის ტესტი გალოგარითმებულ ცვლადებზე

ცვლადი (ლოგარიტმებში)	ADF ტესტი		PP ტესტი	
	დონე	პირველი რიგის სხვაობა	დონე	პირველი რიგის სხვაობა
მთავრობის მოხმარება (lg_cons)	-2.92	-12.58**	-4.61**	
ტრანსფერები (ltr)	-2.03	-11.89**	-3.19	-11.65**
მოგების გადასახადი (lprofit_tax)	-3.26	-7.76**	-3.06	-14**
ექსპორტი (lexport)	-3.48	-6.17**	-3.06	-6.03**

ამის შემდეგ კი ავაგებთ VAR მოდელებს, რის მიხედვითაც ვნახავთ, თუ როგორ ურთიერთქმედებს როგორც მიმდინარე ხარჯების კომპონენტებისა (მთავრობის მოხმარება, ტრანსფერები, გრანტები, საპროცენტო ხარჯები, სხვა ხარჯები) და კაპიტალური ხარჯების შემცირება, ასევე პირდაპირი (საშემოსავლო და მოგების) და არაპირდაპირი (დღგ) გადასახადების კომპონენტების ზრდა სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე (GDP, კერძო მოხმარება და კერძო ინვესტიცია, ექსპორტი და იმპორტი, ინფლაცია, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი). შესაბამისად, 14 VAR მოდელი გვექნება წარმოდგენილი.

3.2.2 ხარჯების შემცირებითა და შემოსავლების ზრდით გამოწვეული მაკროეკონომიკური ეფექტები

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადი, რაზეც ფისკალური პოლიტიკის ცვლილებების შედეგები გვინტერესებს, არის GDP, შესაბამისად, პირველ რიგში სწორედ GDP-ზე გავლენა გვექნება გაანალიზებული. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ანალიზის დროს ჩატარებული ტესტები და მიღებული შედეგები როგორც ხარჯების შემცირებით, ასევე - გადასახადების ზრდით განხორციელებული ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად. გრაფიკები ისეა წარმოდგენილი, რომ ჯერ ხარჯების შემცირების, შემდეგ კი გადასახადების ზრდის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე გავლენის VAR მოდელების ტესტები იქნება ნაჩვენები.

ხარჯების მიმართულებით ფისკალური შოკებისას GDP-ზე გავლენისთვის აგებული VAR მოდელისთვის საჭირო ლაგების რაოდენობა აღმოჩნდა 1, ხოლო გადასახადების გაზრდის შემთხვევაში VAR მოდელისთვის საჭირო ლაგების რაოდენობა არის 2.

ცხრილი 32: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ლაგების შერჩევა

VAR Lag Order Selection Criteria						
Endogenous variables: GDP CAP_EXP G_CONS TR GR INT OT						
Exogenous variables: C						
Date: 04/22/25 Time: 22:36						
Sample: 2010Q1 2024Q4						
Included observations: 54						
Lag	LogL	LR	FPE	AIC	SC	HQ
0	167.4245	NA	6.20e-12	-5.941647	-5.683816	-5.842212
1	328.3300	274.1353*	9.98e-14*	-10.08630	-8.023645*	-9.290812*
2	367.6322	56.76996	1.56e-13	-9.727120	-5.859651	-8.235589
3	412.1607	52.77442	2.36e-13	-9.561506	-3.889218	-7.373927
4	466.0334	49.88218	3.35e-13	-9.741978	-2.264872	-6.858352
5	555.7028	59.77958	2.12e-13	-11.24825*	-1.966326	-7.668577

* indicates lag order selected by the criterion
 LR: sequential modified LR test statistic (each test at 5% level)
 FPE: Final prediction error
 AIC: Akaike information criterion
 SC: Schwarz information criterion
 HQ: Hannan-Quinn information criterion

VAR Lag Order Selection Criteria						
Endogenous variables: GDP INCOME_TAX PROFIT_TAX VAT_TAX						
Exogenous variables: C						
Date: 04/22/25 Time: 22:37						
Sample: 2010Q1 2024Q4						
Included observations: 54						
Lag	LogL	LR	FPE	AIC	SC	HQ
0	132.5596	NA	1.01e-07	-4.761467	-4.614135	-4.704647
1	248.8940	211.1254	2.45e-09	-8.477555	-7.740895*	-8.193454*
2	265.9359	28.40313*	2.38e-09*	-8.516143*	-7.190154	-8.004761
3	273.8534	12.02294	3.30e-09	-8.216793	-6.301475	-7.478130
4	278.6421	6.562236	5.25e-09	-7.801558	-5.296912	-6.835615
5	292.7124	17.19712	6.14e-09	-7.730091	-4.636115	-6.536866
* indicates lag order selected by the criterion						
LR: sequential modified LR test statistic (each test at 5% level)						
FPE: Final prediction error						
AIC: Akaike information criterion						
SC: Schwarz information criterion						
HQ: Hannan-Quinn information criterion						

ამის შემდეგ გამოწმებთ მოდელში ავტოკორელაციას LM ტესტით, რის შედეგადაც აღმოჩნდა რომ რეზიდუალებს სერიული ავტოკორელაცია არ გააჩნია.

ცხრილი 33: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ავტოკორელაციის შემოწმება

VAR Residual Serial Correlation LM Tests						
Date: 04/21/25 Time: 02:00						
Sample: 2010Q1 2024Q4						
Included observations: 58						
Null hypothesis: No serial correlation at lag h						
Lag	LRE* stat	df	Prob.	Rao F-stat	df	Prob.
1	57.79818	49	0.1822	1.205323	(49, 192.3)	0.1886
2	53.28266	49	0.3129	1.099097	(49, 192.3)	0.3209
Null hypothesis: No serial correlation at lags 1 to h						
Lag	LRE* stat	df	Prob.	Rao F-stat	df	Prob.
1	57.79818	49	0.1822	1.205323	(49, 192.3)	0.1886
2	110.7738	98	0.1781	1.149174	(98, 198.7)	0.2059
*Edgeworth expansion corrected likelihood ratio statistic.						


VAR Residual Serial Correlation LM Tests						
Date: 04/21/25 Time: 04:09						
Sample: 2010Q1 2024Q4						
Included observations: 57						
Null hypothesis: No serial correlation at lag h						
Lag	LRE* stat	df	Prob.	Rao F-stat	df	Prob.
1	20.90509	16	0.1822	1.340411	(16, 125.9)	0.1832
2	7.173893	16	0.9698	0.436425	(16, 125.9)	0.9699
3	14.04224	16	0.5956	0.876926	(16, 125.9)	0.5967
Null hypothesis: No serial correlation at lags 1 to h						
Lag	LRE* stat	df	Prob.	Rao F-stat	df	Prob.
1	20.90509	16	0.1822	1.340411	(16, 125.9)	0.1832
2	33.40698	32	0.3988	1.052325	(32, 138.0)	0.4044
3	53.69489	48	0.2653	1.138671	(48, 129.2)	0.2798
*Edgeworth expansion corrected likelihood ratio statistic.						

მოდელის სტაბილურობა დადასტურებულია, ვინაიდან ავტორეგრესიის განტოლებათა სისტემის ინვერსიული ამონახსნები ერთეულოვანი წრეწირის შიგნით მდებარეობს.

ცხრილი 34: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ერთეულოვანი ფესვის შეზღუდვითი მაჩვენებლის შემოწმება


Roots of Characteristic Polynomial	
Endogenous variables: GDP CAP_EXP G_CONS TR GR INT OT	
Exogenous variables: C	
Lag specification: 1 1	
Date: 04/21/25 Time: 02:09	
Root	Modulus
0.996334	0.996334
0.685366	0.685366
0.476282	0.476282
0.338903	0.338903
-0.331371	0.331371
-0.168030 - 0.130639i	0.212839
-0.168030 + 0.130639i	0.212839
No root lies outside the unit circle. VAR satisfies the stability condition.	

Inverse Roots of AR Characteristic Polynomial



Roots of Characteristic Polynomial	
Endogenous variables: GDP INCOME_TAX PROFIT_TAX VAT_TAX	
Exogenous variables: C	
Lag specification: 1 2	
Date: 04/21/25 Time: 04:11	
Root	Modulus
0.997853	0.997853
0.592181	0.592181
-0.161493 - 0.551609i	0.574763
-0.161493 + 0.551609i	0.574763
-0.460980 - 0.198646i	0.501959
-0.460980 + 0.198646i	0.501959
0.149997 - 0.109836i	0.185912
0.149997 + 0.109836i	0.185912
No root lies outside the unit circle. VAR satisfies the stability condition.	

Inverse Roots of AR Characteristic Polynomial



ნარჩენობითი წევრების ნორმალურობის ტესტმა რეზიდუალების ნორმალურობა არ დაადასტურა არცერთ მოდელში, ამიტომ გამოვიყენებთ ისეთ მეთოდს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სანახავად, რომელიც შედეგების სისწორეს უზრუნველყოფს ნორმალურობის დარღვევის პირობებშიც.

ცხრილი 35: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ნარჩენობითი წევრების ნორმალურობის ტესტი

VAR Residual Normality Tests				
Orthogonalization: Cholesky (Lutkepohl)				
Null Hypothesis: Residuals are multivariate normal				
Date: 04/21/25 Time: 02:10				
Sample: 2010Q1 2024Q4				
Included observations: 58				
Component	Skewness	Chi-sq	df	Prob.*
1	-0.388840	1.461569	1	0.2267
2	0.275329	0.732790	1	0.3920
3	-1.035013	10.35544	1	0.0013
4	-0.689265	4.592494	1	0.0321
5	0.227252	0.499218	1	0.4798
6	-0.165406	0.264471	1	0.6071
7	0.705219	4.807561	1	0.0283
Joint		22.71354	7	0.0019
Component	Kurtosis	Chi-sq	df	Prob.
1	4.437044	4.990646	1	0.0255
2	3.400263	0.387175	1	0.5338
3	4.366363	4.511789	1	0.0337
4	5.702816	17.65427	1	0.0000
5	3.529777	0.678270	1	0.4102
6	3.085809	0.017794	1	0.8939
7	4.102764	2.938881	1	0.0865
Joint		31.17882	7	0.0001
Component	Jarque-Bera	df	Prob.	
1	6.452214	2	0.0397	
2	1.119965	2	0.5712	
3	14.86723	2	0.0006	
4	22.24676	2	0.0000	
5	1.177488	2	0.5550	
6	0.282265	2	0.8684	
7	7.746442	2	0.0208	
Joint	53.89236	14	0.0000	
*Approximate p-values do not account for coefficient estimation				

VAR Residual Normality Tests				
Orthogonalization: Cholesky (Lutkepohl)				
Null Hypothesis: Residuals are multivariate normal				
Date: 04/15/25 Time: 13:17				
Sample: 2010Q1 2024Q4				
Included observations: 57				
Component	Skewness	Chi-sq	df	Prob.*
1	-2.110336	42.30841	1	0.0000
2	-1.136760	12.27613	1	0.0005
3	-0.452837	1.948082	1	0.1628
4	0.180402	0.309177	1	0.5782
Joint		56.84179	4	0.0000
Component	Kurtosis	Chi-sq	df	Prob.
1	14.83476	332.6463	1	0.0000
2	6.099066	22.81000	1	0.0000
3	4.396907	4.634452	1	0.0313
4	3.514230	0.628027	1	0.4281
Joint		360.7188	4	0.0000
Component	Jarque-Bera	df	Prob.	
1	374.9548	2	0.0000	
2	35.08612	2	0.0000	
3	6.582534	2	0.0372	
4	0.937204	2	0.6259	
Joint	417.5606	8	0.0000	
*Approximate p-values do not account for coefficient estimation				

აქედან გამომდინარე, ვარიაციის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სანახავად ნორმალური განაწილების ნაცვლად გამოვიყენებთ ე.წ bootstrap განაწილებას, რაც ნორმალური განაწილების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება. მეთოდი გულისხმობს 95%-იანი სანდოობის ინტერვალს და 999 გამეორებას.

ამასთან, ორივე მოდელი შემოწმებულია ჰეტეროსკედასტურობაზე, რაც აჩვენებს, რომ მოდელში ჰეტეროსკედასტურობას ადგილი არ აქვს და ნარჩენობითი წევრების ვარიაცია მუდმივია.

ცხრილი 36: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ჰეტეროსკედასტურობის ტესტი

VAR Residual Heteroskedasticity Tests (Levels and Squares)		
Date: 04/21/25 Time: 02:13		
Sample: 2010Q1 2024Q4		
Included observations: 58		
Joint test:		
Chi-sq	df	Prob.
364.5766	392	0.8363

VAR Residual Heteroskedasticity Tests (Levels and Squares)		
Date: 04/21/25 Time: 04:37		
Sample: 2010Q1 2024Q4		
Included observations: 57		
Joint test:		
Chi-sq	df	Prob.
158.3699	160	0.5216

ვინაიდან მოდელში გამოვიყენეთ სხვადასხვა ფისკალური ცვლადი ფისკალური პოლიტიკის შოკებისთვის, ვნახოთ ცვლადებს შორის კორელაცია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ცვლადები მნიშვნელოვნად არ არიან ერთმანეთთან კორელაციაში (უმჯობესია, თუ 0.8-ზე მაღალი არ იქნება მათი კორელაცია). შედეგები აღნიშნულ მოთხოვნასაც აკმაყოფილებს.


ცხრილი 37: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის ნარჩენობითი წევრების კორელაციის მატრიცა

VAR Residual Correlation Matrix							
	GDP	CAP_EXP	G_CONS	TR	GR	INT	OT
GDP	1.000000	0.013047	-0.344767	-0.116698	-0.087808	-0.450078	-0.091036
CAP_EXP	0.013047	1.000000	0.132536	0.147089	0.010315	0.161641	-0.190271
G_CONS	-0.344767	0.132536	1.000000	0.418410	-0.153461	0.153777	-0.056140
TR	-0.116698	0.147089	0.418410	1.000000	0.037675	0.173446	0.094640
GR	-0.087808	0.010315	-0.153461	0.037675	1.000000	0.115313	-0.293266
INT	-0.450078	0.161641	0.153777	0.173446	0.115313	1.000000	-0.142472
OT	-0.091036	-0.190271	-0.056140	0.094640	-0.293266	-0.142472	1.000000


VAR Residual Correlation Matrix				
	GDP	INCOME_TAX	PROFIT_TAX	VAT_TAX
GDP	1.000000	0.208125	0.174880	0.674378
INCOME_TAX	0.208125	1.000000	0.182956	0.248724
PROFIT_TAX	0.174880	0.182956	1.000000	0.173415
VAT_TAX	0.674378	0.248724	0.173415	1.000000

ამის შემდეგ შეგვიძლია წარმოვადგინოთ GDP-ს ვარიაციის დეკომპოზიცია, რაც აჩვენებს, თუ რომელი შოკებით არის GDP-ს სამომავლო ვარიაცია ახსნილი.

გრაფიკი 30: GDP-ზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელისთვის წარმოდგენილი ვარიაციის დეკომპოზიცია



Variance Decomposition of GDP
using Cholesky (d.f. adjusted) Factors




როგორც გრაფიკებიდან ჩანს, ტრანსფერები სამომავლოდ ყველაზე მეტად ახდენს გავლენას GDP-ს ცვლილებაზე, ტრანსფერებში კი იგულისხმება სუბსიდიები და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები. გადასახადების კუთხით კი სამომავლოდ GDP-ს ცვლილებაზე საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები მოახდენს გავლენას.


მოდელების შემოწმების შემდეგ შეგვიძლია მიზეზ-შედეგობრივი (impulse-response) გრაფიკების მეშვეობით ვნახოთ ხარჯებისა და გადასახადების თითოეული ფისკალური შოკის გავლენა GDP-ზე, სადაც წარმოდგენილია აღნიშნული ხარჯების შემცირებასა და გადასახადების ზრდაზე GDP-ს რეაქცია.

გრაფიკი 31: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური შოკების GDP-ზე გავლენა

Response to Cholesky One S.D. (d.f. adjusted) Innovations
 95% CI using Standard percentile bootstrap with 999 bootstrap reps



Response to Cholesky One S.D. (d.f. adjusted) Innovations
95% CI using Standard percentile bootstrap with 999 bootstrap reps




როგორც პირველ გრაფიკზე ვხედავთ, კაპიტალური ხარჯების შემცირება მესამე კვარტლიდან GDP-ს შემცირებას იწვევს, მანამდე კი მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს. GDP-ს კლება ჩანს ასევე ტრანსფერების შემცირებიდანაც. ხოლო GDP იზრდება მთავრობის მოხმარების შემცირების შემთხვევაში და ზრდა ფიქსირდება ასევე გრანტებისა და სხვა ხარჯების შემცირების დროსაც. რაც შეეხება გადასახადების ზრდის გავლენას, როგორც გრაფიკზე ჩანს, დღგ-ს (არაპირდაპირი გადასახადი) გაზრდა მცირედით გამოიწვევს GDP-ს ზრდას, ხოლო საშემოსავლო და მოგების (პირდაპირი) გადასახადის ზრდა GDP-ს ამცირებს.


ანალოგიური ანალიზი ჩავატარეთ დანარჩენ ცვლადებზეც. თითოეული მოდელის შემოწმება სხვადასხვა ტესტის საშუალებით მოცემულია დანართ 5-ში. ძირითადი საკითხები კი, რაც გამოიკვეთა, შემდეგია:

კერძო მოხმარებასა და კერძო ინვესტიციებზე ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის ეფექტების ნახვამ აჩვენა, რომ კაპიტალური ხარჯების შემცირება თავდაპირველად ზრდის კერძო მოხმარებას, თუმცა შემდეგ ამცირებს, ხოლო მთავრობის მოხმარების შემცირება უმნიშვნელოდ (ძირითადად დადებითად) მოქმედებს კერძო მოხმარებაზე. რაც შეეხება გადასახადებს, თავდაპირველად მოხმარებას ამცირებს, შემდეგ კი მცირედით ზრდის პირდაპირი გადასახადების შემთხვევაში, დღგ-ს ზრდა კი კერძო მოხმარებაზე მუდმივად უარყოფითად მოქმედებს. კერძო ინვესტიციების შემთხვევაში რეზიდუალების სერიულ ავტოკორელაციას ჰქონდა ადგილი (1%-ზე არ ფიქსირდებოდა ავტოკორელაცია, თუმცა დანარჩენი მოდელებისთვის 5%-ზე არ ფიქსირდებოდა), რისი აღმოფხვრაც მოვახერხეთ მოდელში ეგზოგენურ ცვლადად რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის შემოღებით. მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან არაფერი განსაკუთრებული ცვლილება არ გამოჩნდა ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის შედეგად. აღნიშნულის ძირითად მიზეზს წარმოადგენს სწორედ ის, რომ არ გვაქვს ხელმისაწვდომი დაკვირვების ბევრი ცვლადი (60 დაკვირვების წერტილი) და შესაძლოა მიღებული შედეგები იმის შესახებ, რომ ფისკალური შოკები კერძო ინვესტიციებს არ შეცვლის, ბოლომდე სანდო არ აღმოჩნდეს.

გრაფიკი 32: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური შოკების კერძო მოხმარებაზე გავლენა




Response to Cholesky One S.D. (d.f. adjusted) Innovations
 95% CI using Hall's percentile bootstrap with 999 bootstrap reps




ექსპორტსა და იმპორტზე ფისკალური შოკების გავლენის ანალიზისას ექსპორტის VAR მოდელში ეგზოგენურ ცვლადად აღებული გვაქვს საგარეო მოთხოვნა, ხოლო იმპორტის VAR მოდელში კი - იმპორტირებული ინფლაცია. შედეგად კი მივიღეთ, რომ კაპიტალური ხარჯების შემცირება ექსპორტს უმნიშვნელოდ ზრდის, განსაკუთრებით კი პირველი 4 კვარტლის განმავლობაში, ხოლო მთავრობის მოხმარების შემცირებისას პირველი 3 კვარტლის დროს ფიქსირდება ექსპორტის უფრო მაღალი ზრდა. გრანტების შემცირება კი ექსპორტის შემცირებას იწვევს. აღნიშნული შესაძლოა გამომდინარეობდეს იქიდან, რომ სახელმწიფო ხარჯების შემცირებისას მეტი სივრცე რჩება კერძო სექტორს ხარჯების განსახორციელებლად, რაც წარმოებაზე და შესაბამისად, ექსპორტზეც აისახება. გრანტების შემცირება კი კერძო სექტორისთვის დაფინანსებას გარკვეულწილად ამცირებს. რაც შეეხება გადასახადებს, მოგების გადასახადის გაზრდა თავდაპირველად ზრდის, ხოლო შემდეგ ამცირებს ექსპორტს, რაც შესაძლოა კომპანიების მიერ წარმოების გაძვირებასთან იყოს დაკავშირებული. რაც შეეხება იმპორტს, კაპიტალური ხარჯების

შემცირება უფრო მეტად ზრდის იმპორტს და შესაბამისად, აუარესებს GDP-ს, ვიდრე მთავრობის მოხმარების შემცირება (მცირედით ზრდის იმპორტს პირველი 3 კვარტლის განმავლობაში), ხოლო ტრანსფერების შემცირებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს იმპორტზე. გადასახადების ინსტრუმენტის გამოყენების კუთხით კი იმპორტს ყველაზე მეტად ამცირებს დღგ-ს ზრდა, ვინაიდან აღნიშნული გადასახადი პირდაპირ მოხმარებაზე ახდენს გავლენას, საშემოსავლო გადასახადის გაზრდა კი თავდაპირველად ზრდის იმპორტს და მხოლოდ მეორე წელს (მე-5 კვარტალში) ამცირებს.





გრაფიკი 33: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური მოკვების ექსპორტსა და იმპორტზე გავლენა



Response to Cholesky One S.D. (d.f. adjusted) Innovations
95% CI using Hall's percentile bootstrap with 999 bootstrap reps




Response to Cholesky One S.D. (d.f. adjusted) Innovations
95% CI using Hall's percentile bootstrap with 999 bootstrap reps



VAR მოდელები ასევე აგებული გვაქვს ინფლაციისთვის და გაცვლითი კურსისთვის. ინფლაციის შემთხვევაში reer არის ეგზოგენური ცვლადი და მივიღეთ, რომ ინფლაციის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას მოგების გადასახადის ზრდა ახდენს, ვინაიდან აღნიშნული წარმოების ხარჯების გაზრდას გამოიწვევს.

REER-ის VAR მოდელში ეგზოგენურ ცვლადად ავიღეთ იმპორტირებული ინფლაცია. დღგ-ს ზრდა, რაც პროდუქტის ფასშიც აისახება, კურსის გამყარებას იწვევს. ასევე კურსი მყარდება მე-3 და მე-4 კვარტალში მოგების გადასახადის ზრდის შედეგად, ხოლო საშემოსავლო გადასახადის ზრდა საწყის პერიოდში რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს აუფასურებს.

გრაფიკი 34: ხარჯების შემცირებისა და გადასახადების ზრდის გავლენის VAR მოდელით წარმოდგენილი ფისკალური მოკების ინფლაციასა და reer-ზე გავლენა



3.3 მაკროეკონომიკური ეფექტების რეგულირება

წინა ქვეთავში ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელების შედეგად შემცირებული ხარჯებისა და გაზრდილი გადასახადების შემდეგი ძირითადი გავლენები მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე:

- კაპიტალური ხარჯების შემცირება: ამცირებს GDP-ს მე-3 კვარტილიდან, თავიდან ზრდის კერძო მოხმარებას და შემდეგ ამცირებს, უმნიშვნელოდ ზრდის ექსპორტს 4 კვარტლის განმავლობაში, ზრდის იმპორტს უფრო მეტად, ვიდრე - მთავრობის მოხმარების შემცირება;
- მთავრობის მოხმარების შემცირება: ზრდის GDP-ს, უმნიშვნელოდ ზრდის კერძო მოხმარებას, ექსპორტი იზრდება პირველი 3 კვარტლის განმავლობაში, მცირედით ზრდის იმპორტს პირველი 3 კვარტლის განმავლობაში;
- ტრანსფერების შემცირება: ამცირებს GDP-ს, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იმპორტზე;

- გრანტების შემცირება: ზრდის GDP-ს, მცირდება ექსპორტი;
- საპროცენტო ხარჯის შემცირება: არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. ამასთან, ვინაიდან საპროცენტო ხარჯის შემცირება ნაკლებად არის მთავრობის დისკრეციული პოლიტიკის შედეგი, აღნიშნულ ინსტრუმენტზე ყურადღებას არ გავამახვილებთ;
- სხვა ხარჯების შემცირება: ზრდის GDP-ს, სხვა ცვლადებზე გავლენა უმნიშვნელოა. ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, რაც გამოიკვეთა ხარჯების მიმართულებით, არის კაპიტალური ხარჯები, მთავრობის მოხმარება და ტრანსფერები. კაპიტალური ხარჯების შემცირება თავიდან ზრდის ექსპორტს, თუმცა მე-3 კვარტლიდან ამცირებს როგორც კერძო მოხმარებას, ასევე - GDP-ს და უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე. ამასთან, ზრდის იმპორტს, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს GDP-ზე. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალური ანუ ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები ხელს უწყობს ეკონომიკის სტიმულირებას, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი გათვალისწინება ხარჯების კომპონენტებში, განსაკუთრებით გრძელვადიანი ზრდის მისაღწევად.

ტრანსფერების შემცირებაც ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას, ხოლო მთავრობის მოხმარების შემცირება დადებითად მოქმედებს GDP-სა და მის შემადგენელ კომპონენტებზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შედეგები თანხვედრაშია ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულ ანალიზთან, სადაც მთავრობის მოხმარების კლება ახდენდა ინკლუზიურ ზრდაზე დადებით გავლენას.

მთავრობის მოხმარების, ანუ შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემცირება ზრდის კერძო მოხმარებას, ასევე თავიდან ზრდის ექსპორტსა და იმპორტს (ამ უკანასკნელს მცირედით) და საბოლოოდ ზრდის ასევე GDP-ს. ტრანსფერების შემცირება, სადაც სუბსიდიები და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები იგულისხმება, ასევე ამცირებს GDP-ს.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ფისკალური კონსოლიდაციისას მიმდინარე ხარჯების, უფრო კონკრეტულად კი მთავრობის მოხმარების შემცირების მიზანშეწონილობა, ეკონომიკაზე ნაკლებად უარყოფითი, ჩვენი შედეგების მიხედვით კი - ეკონომიკაზე დადებითი

ეფექტების მისაღებად. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთავრობის მოხმარება, რასაც მთლიანი მიმდინარე ხარჯების 30 პროცენტი უკავია, ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია და ხელს უწყობს სახელმწიფო სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებას. შესაბამისად, გადაწყვეტილება მისი შესაძლო შემცირების შესახებ მიღებული უნდა იყოს მას შემდეგ, რაც გაანალიზდება მთავრობის მოხმარების რა ნაწილი შეიძლება იყოს ნაკლებად აუცილებელი და რამდენად არის შესაძლებელი გამოთავისუფლებული რესურსის ნაწილობრივ გამოყენება მეტად პრიორიტეტული მიმართულებით (ზრდაზე ან უთანაბრობის შემცირებაზე ორიენტირება) - კაპიტალური ხარჯების ან მიზნობრივი სოციალური ხარჯების მიმართულებით.

რაც შეეხება გადასახადების მიმართულებას:

- საშემოსავლო გადასახადის ზრდა: ამცირებს GDP-ს, თავიდან ამცირებს მოხმარებას, შემდეგ კი მცირედით ზრდის, თავიდან იზრდება იმპორტი, ხოლო მე-5 კვარტალში მცირდება, აუფასურებს კურსს საწყის პერიოდში;
- მოგების გადასახადის ზრდა: ამცირებს GDP-ს, თავიდან ამცირებს მოხმარებას, შემდეგ კი მცირედით ზრდის, თავიდან იზრდება ექსპორტი, შემდეგ კი მცირდება, ზრდის ინფლაციას, იწვევს კურსის გამყარებას მე-3 და მე-4 კვარტალში;
- დღგ-ს ზრდა: მცირედით ზრდის GDP-ს, ამცირებს მოხმარებას, იმპორტი მნიშვნელოვნად მცირდება, პირდაპირი გადასახადებისგან განსხვავებით, იწვევს კურსის გამყარებას.

როგორც ვხედავთ, დღგ-ს ზრდა ახდენს GDP-ზე მცირე, მაგრამ დადებით გავლენას, ვინაიდან აღნიშნული მოხმარებაზე არსებული გადასახადია და როგორც ჩანს, გადასახადის ზრდით გამოწვეული ფასების ზრდა მოხმარებას ამცირებს, თუმცა მოხმარების შემცირების ეფექტი უფრო ნაკლებია და საბოლოოდ GDP მაინც იზრდება, კურსი კი მყარდება. დღგ არაპირდაპირ გადასახადს წარმოადგენს, რაც ინკლუზიურ ზრდაზეც დადებით გავლენას ახდენდა ჩვენს ანალიზში.

საშემოსავლო და მოგების გადასახადის ზრდა ორივე ამცირებს GDP-ს, თუმცა მოგების გადასახადის უარყოფითი ეფექტი უფრო დიდია, ორივე ამცირებს მოხმარებას

თავიდან და შემდეგ მცირედით ზრდის. მოგების გადასახადი ასევე ზრდის ინფლაციას, რაც მიწოდების მხრიდან არის გამოწვეული.

ამ ანალიზიდან გამომდინარე, დღგ-ს გაზრდა მეტად მიზანშეწონილია ეკონომიკაზე ნაკლები უარყოფითი გავლენის მოხდენის თვალსაზრისით და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად. თუმცა, აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებული მდგომარეობით, რეფერენდუმის გარეშე გადასახადის გაზრდა (გარდა აქციზისა) ვერ მოხერხდება. ამასთან, დღგ ყველაზე მეტად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენისთვის იქნება ტვირთი, ვინაიდან მათი შემოსავლის დიდი ნაწილი სწორედ მოხმარებას ეთმობა, რაზეც გადასახადი გაიზრდება. ამიტომ მნიშვნელოვანია შემოწმდეს ინკლუზიურ ზრდაზე გავლენა ან მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებზე შესაძლო გავლენა, დღგ-ს გაზრდის დროს. ამასთან, როგორც სხვადასხვა ლიტერატურიდანაც გამოიკვეთა, შესაძლებელია დღგ-ს გაზრდასთან ერთად მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისთვის განხორციელდეს მიზნობრივი ტრანსფერები, მათთვის უარყოფითი ეფექტის შემცირების უზრუნველსაყოფად.

გამოიკვეთა, რომ ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას გამოყენებულ ინსტრუმენტებს შორის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე მეტად დადებითი ეფექტი აქვს მიმდინარე ხარჯების შემცირებას და არაპირდაპირი გადასახადების ზრდას, უფრო კონკრეტულად კი მთავრობის მოხმარების შემცირებასა და დღგ-ს ზრდას. მთავრობის მოხმარების შემცირებას 2 წლის მანძილზე აქვს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი გავლენა. ამ ღონისძიებების გატარებისას არსებული შესაძლო სირთულეებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებამდე ხშირად უპრიანია გაწეული ხარჯების მიზნობრიობის სიღრმისეული ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს, მეტად ეფექტიანად და მიზნობრივად მოხდეს არსებული რესურსების გამოყენება, რაც შემცირებული ხარჯების შემთხვევაშიც კი არ გააუარესებს მისაღებ ეფექტებს.

რაც შეეხება კიდევ ერთ ანალიზს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადზე ფისკალური კონსოლიდაციის ინსტრუმენტების გავლენას, სადაც მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირების ეფექტები გვაქვს ნაჩვენები, მიმდინარე ხარჯების

კლება საშუალოდ უფრო მეტად ზრდის როგორც ციკლურად შესწორებულ პირველად ბალანსს, ასევე - პირველად ბალანსს, ბიუჯეტში მიღებულ შემოსავლებსა და ეკონომიკურ ზრდას მომდევნო წლებში. ეს შედეგები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ფისკალური კონსოლიდაციისას მიმდინარე ხარჯების შემცირების უპირატესობაზე, როგორც ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღების, ასევე - ბიუჯეტის მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

გამომდინარე იქიდან, რომ ფისკალური პოლიტიკის ეფექტები საჭიროა დროის სხვადასხვა პერიოდში იყოს განხილული, მნიშვნელოვანი განსხვავება ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით მიმდინარე ხარჯების გამოყენებისას შეინიშნებოდა. მაგალითად, 2 წლის მანძილზე იზრდება ეკონომიკა როგორც მიმდინარე ხარჯების, ასევე მთავრობის მოხმარების შემცირების შემთხვევაში.

აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი ჩატარებული იყო წლიურ მონაცემებზე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის (რადგან ჯინის ინდექსი წლიურია) და კვარტალურ მონაცემებზე მაკროეკონომიკურ ცვლადებზე გავლენის სანახავად. მონაცემთა დროითი მწკრივი, რაც ხელმისაწვდომია, არ არის ბევრი, ეს კი შედეგების სანდოობას ბოლომდე ვერ გვიდასტურებს. ვინაიდან ქვეყნის განვითარების დონემ და სხვადასხვა სპეციფიკაციამაც შეიძლება შეცვალოს შედეგები, ასევე მონაცემთა უფრო დიდი დროითი მწკრივი, შესაძლოა პანელური მონაცემები ასევე საინტერესო იყოს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ფისკალური კონსოლიდაციის შესაძლო შედეგების თვალსაზრისით, რაც ანალიზის მომდევნო ეტაპსა და გაუმჯობესების გზას წარმოადგენს. ასევე, მეტად დეტალური და სიღრმისეული ანალიზისთვის, ქვეყნის სპეციფიკაციების მეტად გასათვალისწინებლად, ასევე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ისეთი სტრუქტურული მოდელის გამოყენება, როგორცაა მაგალითად DSGE მოდელი, რაც ეკონომიკის თითოეული სუბიექტისთვის, მათ შორის მონეტარული პოლიტიკისთვის, ცალ-ცალკე ქცევით ფუნქციებს წერს, თითოეული ცვლადის კალიბრაციას აკეთებს არსებული დროითი მწკრივის გათვალისწინებით და ისე აანალიზებს სხვადასხვა პოლიტიკის შესაძლო გავლენებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვნება განსაკუთრებით იზრდება კრიზისების დროს, როდესაც სახელმწიფოს ჩარევა და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელი ხდება ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. ბოლო პერიოდის თვალსაზრისით, ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვნება კიდევ უფრო გამოიკვეთა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ. აღნიშნული პერიოდებისას უფრო ნათელი გახდა ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის მნიშვნელობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ფისკალური პოზიციის არსებობა ხელს უწყობს საჭირო დროს შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობას და ამავე დროს, სხვადასხვა ფისკალური ინსტრუმენტის გამოყენება ხელს უწყობს ეკონომიკას გაჯანსაღებასა და მდგრადობის მიღწევაში.

ფისკალური პოლიტიკა ხორციელდება გადასახადებისა და ხარჯების კომპონენტების ცვლილების გზით. სწორი ფისკალური პოლიტიკის განხორციელება კი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისთვის. ფისკალური პოლიტიკა შესაძლოა იყოს ექსპანსიური ან შემზღუდველი, სადაც პირველი მათგანი გულისხმობს ღონისძიებების გატარებას ხარჯების ზრდისა და შემოსავლების შემცირების მიმართულებით, ხოლო შემზღუდველი ანუ გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას უზრუნველყოფს. მიმდინარე ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი ფისკალური პოლიტიკის ეფექტები, რაც გამკაცრებულ ფისკალურ პოლიტიკას გულისხმობს და ხარჯების შემცირებითა და შემოსავლების ზრდით გამოიხატება. აღნიშნულ პოლიტიკას ფისკალურ კონსოლიდაციას უწოდებენ და ძირითადად მიმართულია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე.

ფისკალურ პოლიტიკას, მონეტარული პოლიტიკისგან განსხვავებით, შესაძლოა მყისიერი შედეგი არ ჰქონდეს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის გატარებისას ძირითად მაკროეკონომიკურ

ინდიკატორებზე გავლენა შევაფასეთ როგორც მოკლევადიანი, ასევე - საშუალოვადიანი პერიოდისთვისაც.

ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას შემოსავლების გასაზრდელად შესაძლოა როგორც პირდაპირი გადასახადების, ასევე - არაპირდაპირი გადასახადების გაზრდა, ხოლო ხარჯების კუთხით მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ცვლილება არის გამოყენებული. ამასთან, მიმდინარე ხარჯებიც სხვადასხვა ტიპის ხარჯებად ჩავშალეთ ანალიზის დროს. მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას დამოკიდებული უნდა იყოს იმ შედეგზე, რაც ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება. შესაბამისად, ფისკალური კონსოლიდაციის დროსაც მიზანი უნდა იყოს არამხოლოდ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, არამედ - ზოგიერთი ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესება, როგორცაა ეკონომიკური ზრდა.

როგორც ლიტერატურიდან დგინდება, ხარჯვითი კომპონენტის გამოყენებას უკეთესი დადებითი ეფექტი აქვს ეკონომიკაზე, ვიდრე - გადასახადების ინსტრუმენტის გამოყენებას. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აქცენტი არა მხოლოდ რაოდენობრივ შედეგებზე, არამედ - ხარისხობრივზეც გაკეთებულიყო, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად საჭირო გახდა იმის განსაზღვრა, თუ ვინ ისარგებლებდა აღნიშნული მიღებული სარგებლით, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი თუ მაღალშემოსავლიანი ჯგუფები. ფისკალური პოლიტიკის და კონკრეტულად კი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის ყველა ფენაზე გავლენა იყოს შეფასებული, ვინაიდან ფისკალური პოლიტიკის მიზანს ეკონომიკური ციკლების დარეგულირებასთან ერთად სწორედ მაკროეკონომიკური სტაბილურობა და შემოსავლების გადანაწილება წარმოადგენს. შესაბამისად, ნაშრომში წარმოვადგინეთ ეკონომიკაზე მორგებული ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებით მოსახლეობის დონის გაუმჯობესებაც თუ მოხერხდებოდა ეკონომიკურ ზრდასთან ერთად და გამოვავლინეთ, რომ არაპირდაპირი გადასახადების გაზრდის შემთხვევაში

აქვს ადგილი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მიმდინარე ხარჯების შემცირებისას მთავრობის მოხმარების კლება 2 წლის განმავლობაში არის მნიშვნელოვანი.

ფისკალური კონსოლიდაციის ეკონომიკურ მდგრადობაზე გავლენის ანალიზისთვის რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება არის საჭირო, მათ შორის:

- ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკაციის გათვალისწინება;
- ფისკალური მდგომარეობის გაანალიზება;
- ფისკალური მულტიპლიკატორების შეფასება როგორც დანახარჯების, ასევე - გადასახადების მულტიპლიკატორებისთვის;
- ეკონომიკაზე შესაძლო გავლენის ანალიზის ჩატარება როგორც მოკლევადიანი, ასევე - გრძელვადიანი პერიოდისთვის;
- ფისკალურ პოლიტიკასა და მონეტარულ პოლიტიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა, დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, საქართველოს ფისკალური კონსოლიდაციის მაკროეკონომიკური ეფექტების შესახებ ანალიზი ჯერ ისევ სიახლეა. ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებების რაოდენობრივ და თვისობრივ შედეგებზე აქტიური მსჯელობაც ბოლო პერიოდში დაიწყო. ამასთან, ფისკალური კონსოლიდაციის მიმართულებით ფისკალურ პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების მაკროეკონომიკურ ეფექტებთან დაკავშირებით კვლევები არაჯეროვნად არის წარმოდგენილი და საჭიროებს მეტად სიღრმისეულ კვლევებს.

ფისკალური კონსოლიდაციისთვის შემოთავაზებული კრიტერიუმის მიხედვით, ფისკალური კონსოლიდაციისას ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსის გარკვეული ოდენობით გაუმჯობესებას უნდა ჰქონდეს ადგილი GDP-სთან მიმართებაში. შედარებით რბილი კრიტერიუმით კი კონსოლიდაციად ითვლება ისეთი წელი, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას ჰქონდა ადგილი. შედეგად, საქართველოსთვის გამოვლინდა რამდენიმე (15) წელი, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი გაუმჯობესდა. ამის

შემდეგ კი განისაზღვრა ის წლები, როდესაც ექსპანსიურ ფისკალურ კონსოლიდაციას ჰქონდა ადგილი, ანუ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებასთან ერთად გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდაც. ამ შედეგების მისაღწევად კონსოლიდაციის ინსტრუმენტებად განხილულია მიმდინარე ხარჯებისა და კაპიტალური ხარჯების შემცირება.

ნაშრომში ჩატარებული კვლევა ასევე განიხილავს ბიუჯეტის ხარჯების კომპოზიციის ცვლილებისას ბიუჯეტის მაჩვენებლებსა და ეკონომიკურ ზრდაზე გავლენებს საქართველოში, რაც აჩვენებს, რომ კაპიტალური ხარჯების წილის მთლიან დანახარჯებში შემცირების შედეგად, რაც კაპიტალური ხარჯების შემცირებით განხორციელებული კონსოლიდაციის მაჩვენებელია, ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი უარესდება, მიმდინარე ხარჯების გამოყენებისას მიღებულ შედეგებთან შედარებით, შემოსავლები ნაკლებად იზრდება და ეკონომიკური ზრდაც უფრო ნაკლებია მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მიმდინარე ხარჯების წილის შემცირებისას მიღებულ შედეგებთან შედარებით. აღნიშნული შედეგები აჩვენებს, რომ მიმდინარე ხარჯების შემცირებას უკეთესი შედეგები აქვს ბიუჯეტის მაჩვენებლებსა და ეკონომიკურ ზრდაზე, ვიდრე - კაპიტალური ხარჯების შემცირებას.

ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ის განსხვავებები, რაც ფისკალური კონსოლიდაციის პროცესში ეკონომიკაზე შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენებას. ეს, პირველ რიგში, ეხება შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებას, შემდეგ კი უფრო კონკრეტულად პირდაპირი/არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებისა და მიმდინარე/კაპიტალური ხარჯების ცვლილებას. ამასთან, სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ ფისკალური კონსოლიდაციის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია ქვეყნის ფისკალურ პოზიციაზე, ეკონომიკის სპეციფიკაციაზე და განვითარების დონეზე, კონსოლიდაციის განხორციელების დროის ჰორიზონტზე, გამოყენებული ფისკალური ინსტრუმენტის ზომაზე, მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდსა და ფისკალური მულტიპლიკატორების ზომაზე.

ამასთან, როგორც აღინიშნა, აქცენტი მხოლოდ რაოდენობრივ შედეგებზე არ უნდა გაკეთდეს და საჭიროა ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზიც ჩავატაროთ. მაგალითად, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად უნდა განვსაზღვროთ, თუ ვინ ისარგებლებს აღნიშნული მიღებული სარგებლით, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი თუ მაღალშემოსავლიანი ჯგუფები. შესაბამისად, სწორი ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელებით შესაძლებელია მოსახლეობის დონის გაუმჯობესებაც მოხერხდეს ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. აღნიშნული საკითხი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას გულისხმობს და არსებული მონაცემების მეშვეობით განხილულია ფისკალური ინსტრუმენტების შესაძლო შედეგებზე ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში. როგორც არსებული მონაცემების მიხედვით მიღებული შედეგები აჩვენებს, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება მთავრობის მოხმარების შემცირებაა, რასაც მოკლევადიან პერიოდში, 2 წლის მანძილზე აქვს ეფექტი, ხოლო გადასახადების კუთხით კი არაპირდაპირი გადასახადების ზრდას აქვს დადებითი გავლენა.

